საქართველოს რესპუბლიკა

ხელმოწერილია დასაბეჭდად

საკმერად გამოშვება

ქირა-ორშაბათი, 25-26 ოქტომბერი, 1998 წელი.

№276-277 (2977)

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ფასი 50 თეთრი, თბილისს გარეთ - 55 თეთრი.

თბილისობა — 98

„თბილისი — ჩვენი საფიცარია...“

თბილისობას ზეიმობენ მასპინძლები და დედაქალაქის სტუმრები

პრა პურთა ხოლო ცოცხლობს ალმაანი. მას არანაკლებ სჭირდება სულიერი საბრდო, რომელიც სწყლება მას გულსა და გონებას, ამხნევებს და ალაპაშებს მის ცხოვრებას. სულ რამდენიმე დღის წინათ მთელი საქართველო ფუზზე დგდა – დასავლეთ საქართველომი დაგრალებულმა მოვლენებმა უკან ქლანზე გადასწია ყოველდღიურ დღესასწაულზე უფრიც კი. არადა, ჩვენ ყველანი თბილისობის გრადიეული დღესასწაულისათვის ვემზადებოდით, ველოდით ამ ჭემმარიგად უნიკალურ დღესასწაულს, მეგობრებთან შეხვედრის უსაზღერო სიხარულით რომ გვაჯადღოებდა მუდამ. თბილისში ხომ ამ დღეს იკრიბებოდა საქართველოს ამერ-იმერი და ჩვენი დედაქალაქი – ქვეყნის გული, მართლაც უმშვენიერესი იყო თავისი სტუმარმოყვარეობით, დიდი სიყვარულით, განუმეორებლობითა და სულის სიფაქიზით. მაგრამ ქართველ კაცს ოღითაც მოსდგამს ჭირსა შიგან გამაგრება. მან კარგად ეწყინა, რომ ბორიკის გზა მოელეა, რომ სინათლე სძლევს სიბნელეს. ასეც მოხდა. ბორგ ძალთა წინასწარ ბაფიქრებული აქცია ირწმენე ალაკვეთა. საქართველომ შეეხო ამოსუნთქა, ჩვენ რწმენა დაკვიბრნდა, დღესასწაულსაც თავისი ხიბლი მიეცა და ჩვენ, ჩვეული წესით, გრადიეულად შეეხვედით მას და თბილისობამაც არაერთი სასიამოვნო სიურპრიზი მოგვიმზადა – ბევრი ახალი თბილეკი ჩაღვა მწყობრში, ქალაქი დამშვენდა, თითქოს ფრთა გამესაო...

საქინფორმის კორესპონდენტთა საღღესასწაულო რეპორტაჟმა ასახა თბილისობის პირველი დღე – 24 ოქტომბერი.

თბილისს შეემატა

ღღესასწაულზე 150-მე შეგმა დაგრალებულმა ოჯახმა იზეიმა ახალმოსახლეობა. ღედაქალაქის 1992 წლის ცნობილი მოვლენების შეღეგად თავისუფლების მოედანთან დამწვარი და განადგურებული სახლების მცხოვრებლებს 24 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ და თბილისის მერიამ მესანიშნაეი ნაჩუქარი უძღვნეს. ამ ღღეს მთაწმიწდის რაიონის დაშაოალებულებს ახალი, კომფორტული საცხოვრებელი ბინები გადაეცათ. სასტუმროები ექსკლუზიური „მოხეგაალე“ ცხოვრების

იხ. მე - 2 გვ.

პარლამენტის თავმჯდომარე

საქართველოს მხარდაჭერა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სტრატეგიული მიმართულებაა

24 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შუარა ვენანიამ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დირექტორთა საბჭოს დელეგაცია მიიღო.

როგორც ევროპის ბანკის ამშ რეკონსულმა დირექტორმა ქერენ შეპარდმა შეხვედრაზე აღნიშნა ამ ქვეყნების მხარდაჭერა, სადაც დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკა რეალურად ფეხს იკიდებს, ევროპის ბანკის სტრატეგიული მიმართულებაა და ამ თვალსაზრისით საქართველო მართლაც მთამბეჭდავი სახელმწიფოა. „საქართველოში არ უნდა მოხდეს ის, რაც რუსეთში უინანსური კრიზისმა გამოიწვია“, – განაცხადა მან შეხვედრაზე.

ევროპის ბანკი არ არის დამოკიდებული ინვესტორი. იგი იწვევს მსხვილ ინვესტორებს და მათთან ერთად აფინანსებს მნიშვნელოვან პროექტებს. სწორედ ამიგომ, სახელმწიფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ხაზი გაუსვეს ღირეკტორთა საბჭოს წევრებმა.

შეხვედრეზე ბატონმა შუარა ვენანიამ განაცხადა, რომ მომავალი წელი საქართველოს ეკონომიკაში მსხვილი ობიექტების პრივატიზაციისა და ღიდი ინეესტიციების წელი იქნება. ამდენად, ევროპის ბანკთან აქტიური თანამშრომლობა ვაღამწყვეტ როლს შეასრულებს ქვეყნის განვითარების საქმეში. სტუმართა თხოვნით, პარლამენტის თავმჯდომარემ ვრცლად ისაუბრა საქართველოში მსხვილი ობიექტების პრივატიზაციისა და ფისკალური პოლიტიკის სახელმწიფო სტრატეგიის შესახებ. პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებით, საქართველოს აქვს აუცილებელი რემეღი, რათა ვეგმაზომიერი ხასიათი მისცეს ეკონომიკურ და ფინანსურ პროცესებს, ხოლო მომავლისათვის საინვესტიციო გარემოს ფორმირება სახელმწიფო სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა.

საქინფორმი.

რეზონანსი

„საქართველოში კვლავ დაისადგურებს მშვიდობა“

საქართველოში 19 ოქტომბერს მომხდარ მოვლენებს გამოეხმაურა ამერიკის წეჩენთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ალანა მასხალიდი. „ამ შემთხვოთებაში მოელენამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დემოკრატიულ ძალებს არ სურთ ხელი შეუწყონ მშფოთვისა და წესრიგის განმტკიცების როგორც საქართველოში, ასე მთლიანად კავკასიაში“, წერს იგი საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისათვის გამოგზავნილ წერილში.

ალანა მასხალიდი იმედს გამოთქვამს, რომ ყველაფერს მიუხედავად, „საქართველოს უმეცლეს. მოწაე კვლავ დამკალკურებს მშვიდობა, კეთილდღეობა და კანონიერება“.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.

ინფორმაცია

მშენებარე ნახანძრალზე სახანძრო ბაპოქმედება ვერაფერი ოხუნჯობაა

სასტუმრო „თბილისში“ ხანძრის შესახებ შეგვიძინეთა უნდობი პირისაგან ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურმა გუშინ 18.49 წუთზე მიიღო, – აცნობეს პრაქ-ნოუს თბილისის სახანძრო სამსახურიდან.

გამოძახებიდან ერთი წუთის შემდეგ 6 სახანძრო და 2 სპეციალური მანქანა სახანძრო „თბილისის“ მშენებარე შენობასთან მივიდა. როგორც გაირკვა, „თბილისობის“ ღღესასწაულზე ვილაცამ სურვილი გაღაწყვიტა და გამოძახება ყალბი აღმოჩნდა.

გემს ქართული ეკიპაჟი შეემოიყვანეს

15 ნოემბერს ყოთის ნავსაღგურში ქართული ეკიპაჟი, რომელიც ვერშანიაში გადიოდა სწავლებას, შემოიყვანს. გერშანიის მთავრობის მიერ საქართველოსათვის ნაჩუქარ სამხელრო გემს, რომელიც ქვეყნის სასაზღვრო უწყებას გაადლიერებს.

ისრაელის ინვესტიციები - საქართველოს ტურიზმში

ბრძელდება კონსულტაციები. მსოფლიო ბანკთან ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისათვის 100 მილიონი აშშ ღოლარის გრძელვადიანი, შეღავათიანი კრედიტის გამოყოფის თაობაზე. საქართველოს ამ საქმეში ღიდ ღახმარებას გაუწევს ისრაელის მთავრობა, კერძოდ, ისრაელის ვიცე-პრემიერი, ტურიზმის მინისტრი მოშე კაცაე.

საქართველოსთან თანამშრომლობის პერსპექტივა ისრაელის მთავრობის სხდომაზეც კი განიხილეს. თელ-ავივის ცენტრში გახსნსა საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო ღეპარტამენტის წარმომადგენლობა. ამ ღეპარტამენტის წარმომადგენლად ისრაელი ღაინიშნა ისრაელ-საქართველოს ბიზნესსალაკის პრეზიდენტი, ისრაელის მოქალაქე იცა ქოშე.

ელიპასს კვეღა გრძელდება

ბაქრიის სააღგენტოს კორესპონდენტის საქართველოს უმაძრავის სამსახურებიდან აცნობეს, რომ მიმდინარეობს გამოძიება სვანას ცხინვალ ამბებთან ღაკავშირებით. აშკამად, უკვე ღაკავებულია ღანამაულებრივი ატეის 15 აქტიური მონაწილე. მათ წარეღინათ ბრალღება სამშიაღლის ღალაგში. ელიპასის და სახელმწიფო გადაჭრილების მცღელობის რამდენიმე მონაწილის ძებნა გრძელდება.

ინფორმაციები მოამზადეს პრაქ-ნოუსმა, ბაქრიამ.

გაგეთის გენერალური სპონსორია საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია

საქართველოს რესპუბლიკა
№276-277. კვირა-ორშაბათი. 25-26 ოქტომბერი. 1998 წელი.

თბილისობა — 98

„თბილისი — ჩვენი საფიცარია...“

(პირველი გვერდიდან)

შემდეგ მათ ისევ დაუბრუნდათ მყუდრო, თბილი კერა.

ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ეწვია ახალმოსახლეებს, მიულოცა ორმაგი დღესასწაული – თბილისობა და ახალ ბინებში დამკვიდრება, უსურვა ბედნიერება და წარმატებები. შემდეგ პრეზიდენტმა დაათვალიერა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ერთ-ერთი კორპუსი და კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ქართველმა მშენებლებმა არ დაიშურეს ძალ-ღონე, რათა ამ მოქალაქეებისათვის დიდი და ნათელი ბინები აეშენებინათ.

კმაყოფილმა ახალმოსახლეებმა მადლობა მოახსენეს საქართველოს პრეზიდენტს და ქვეყნის ხელმძღვანელობას თანადგომისა და დიდი დახმარებისათვის.

ქვეყნის პრეზიდენტთან ერთად აქ იყვნენ პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე, ქალაქის მერი ვანო ზოდელავა.

* * *

ამ დღეს საზეიმოდ გაიხსნა ვაჟა-ფშაველას პროსპექტის საავტომობილო გზის მონაკვეთი, „ვიქტორ გოცირიძის“ მეტროს სადგურიდან მშენებარე ახალ სადგურ „ბახტრიონამდე“. პროსპექტის ეს მონაკვეთი 14 წელიწადს არ ფუნქციონირებდა. მშენებლებმა დღესასწაულთან დაკავშირებით ვაჟა-ფშაველას პროსპექტს კვლავინდებური იერი დაუბრუნეს, დაამთავრეს კეთილმოწყობის სამუშაოები. დამშვენდა მარშალ გელოვანის სახელობის სკვერი.

ახალი გზის მონაკვეთზე ლენტი გაჭრა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

ჯერჯერობით პროსპექტის ამ მონაკვეთზე მხოლოდ ავტომანქანები ივლიან, ნოემბრის შუა რიცხვებიდან კი საზოგადოებრივი ტრანსპორტიც ამოძრავდება.

* * *

დიაბეტიან ბავშვთა ასოციაციის პრეზიდენტის, პარლამენტარ კობა ამირხანაშვილის დიდი ძალისხმევით, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, ინვალიდთა დეპარტამენტისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, ქალაქის მერიის ხელშეწყობით თბილისქალაქობის დღესასწაულის პირველ დღეს გაიმართა დიაბეტიან ბავშვთა ცენტრის პრეზენტაცია.

ამ ცენტრში, რომელიც ქავთარაძის ქუჩის №27-ში მდებარეობს, რეგისტრირებულია 6 თვიდან 18 წლამდე ასაკის დიაბეტით დაავადებული 500-მდე მოზარდი, შექმნილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვლევითი ლაბორატორია, სპეციალური საგანმანათლებლო განყოფილება, ხოლო მსოფლიო ლიდერი ინსულინის პრეპარატის წარმოებაში – დანიური ფირმა „ნოვო ნორდისკი“ უზრუნველყოფს დიაბეტიან ბავშვთა ცენტრს საჭირო მედიკამენტებით. აღსანიშნავია, რომ ცენტრი, სახელმწიფო პროგრამის თანახმად, მკურნალობს დიაბეტიანი ბავშვების სხვა ნებისმიერ დაავადებას.

ამიერიდან შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ქართველ ბავშვებს უმაღლეს დონეზე უმკურნალებენ მათ მშობლიურ ქვეყანაში.

პრეზენტაციის დღეს ცენტრს ეწვია საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც დაათვალიერა ცენტრის ლაბორატორიები, გაეცნო სამედიცინო აღჭურვილობას, მის პერსპექტივებს. სახელმწიფოს მეთაურმა მიულოცა ცენტრის დამფუძნებლებს, თანამშრომლებს, ავადმყოფებს და მათ მშობლებს ამ სამედიცინო დაწესებულების გახსნა, სამახსოვრო სურათი გადაიღო ნორჩ პაციენტებთან და მათ მშობლებთან ერთად და უსურვა მათ ჯანმრთელობა და წარმატებები.

* * *

250 დასახელების სამკურნალო პრეპარატს გამოუშვებს 2003 წლისათვის საქართველო-ჩეხეთის ერთობლივი საწარმოს „ლეჩივა-გეოს“ ფარმაცევტული ქარხანა. „ლეჩივა-გეოს“ გახსნის საზეიმო ცერემონიას დაესწრო საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. მან დაათვალიერა საწარმოს სასაწყობო კორპუსი და გაეცნო ქარხნის განვითარების პერსპექტიულ გეგმას.

ერთობლივი საწარმოს გამოშვებული პროდუქცია 30-35 პროცენტით შეავსებს კავკასიის ბაზარს. ტკივილგამაყუჩებელი და გრიპის საწინააღმდეგო ეფექტიანი საშუალების – ატარალგინის პირველი პარტია კი უკვე გაიგზავნა სომხეთსა და აზერბაიჯანში. სულ მალე ეს ქვეყნები, რუსეთი, უკრაინა და შუა აზიის სახელმწიფოები აქ გამოშვებულ კიდევ ხუთ სამკურნალო პრეპარატს მიიღებენ. ამ ეტაპზე ფარმაცევტულ ქარხანაში გარდა დასახელებული მედიკამენტებისა, ათვისებულია „ბ“ ვიტამინის კომპლექსის ორი ფორმა და ჰიპოტენზიური მედიკამენტის – კრისტეპინის წარმოება, მიმდინარეობს პარალენის აპრობაცია, რომელიც პარაცეტამოლის სახეობას წარმოადგენს, მომავალში ნავარაუდევია ანტიბიოტიკების დამზადებაც.

– წამლის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულს და შესაფუთ მასალას პრაღის ფარმაცევტული ქარხნიდან ვიღებთ, – თქვა ფარმაცევტული ქარხნის „ლეჩივო-გეოს“ ხელმძღვანელმა კახა სხიტარიძემ. სამომავლო გეგმები კი შთამბეჭდავია, როცა ავითვისებთ 35 მილიონი ამერიკული დოლარის ინვესტიციას, რაც მთელი კომპლექსის ამუშავებას ითვალისწინებს. აქ შეიქმნება ევროსტანდარტების შესაბამისი ხარისხის ფარმაცევტული პროდუქცია, რომელიც ფასების თვალსაზრისითაც, კონკურენციას გაუწევს საქართველოში ანალოგიური სახის იმპორტულ სამკურნალო საშუალებებს. „ლეჩივო-გეოში“ წარმოებული ყველა წამალი დაცულია საერთაშორისო სერტიფიკატით, ისინი აპრობაციას გადიან როგორც ჩეხეთში, ასევე საქართველოში. სადღეისოდ საწარმოში დასაქმებულია 30 თანამშრომელი, ყველა მათგანმა გაიარა სტაჟირება ჩეხეთის რესპუბლიკაში, სამომავლოდ საწარმოში 600 კაცი იმუშავებს.



* * *

თბილისობის პირველ დღეს სააქციო საზოგადოება „თბილგაზმა“ დაასრულა გლდანის პირველი მიკრორაიონის გაზიფიკაცია. ამიერიდან, ამ მიკრორაიონის სამი ათას ოჯახს მუდმივად მიეწოდება ბუნებრივი გაზი. ამრიგად, ჯერ კიდევ 1997 წლის ზაფხულში დაწყებული „გლდანის“ გაზიფიკაცია მთლიანად დასრულდა. დღეს თბილისში ბუნებრივი გაზით სარგებლობს 22 ათასი ოჯახი, ხოლო წლის დამლევისათვის ეს რიცხვი 35 ათასამდე გაიზრდება. აღსანიშნავია, რომ თუ ბინაში, რომელსაც ბუნებრივი გაზი მიეწოდება, დადგმულია მრიცხველი, საშუალოდ, ოთხი-ხუთი კაცისაგან შემდგარი ერთი ოჯახი მთლიანად თოთხმეტი ლარის ღირებულების გაზს ხარჯავს ყოველთვიურად. იმ შემთხვევაში, თუ არა აქვთ მრიცხველი, რომლის ფასი და დადგმის ღირებულება 120 ლარია, ყოველთვიური გადასახადი გაზის მოხმარებისათვის ერთ კაცზე ოდნავ აღემატება ოთხ ლარს.

* * *

საზეიმოდ მორთულ ბავშვთა საფეხბურთო კლუბ „ირაოს“ წევრებმა სადღესასწაულოდ შეკრებილ უამრავ თბილისელსა და ქალაქის სტუმრებს ისეთი „მინი-ფეხბურთი“ უჩვენეს, რომ მოზრდილებსაც შეშურდებოდათ.

– ჯანსაღი ახალგაზრდობა ხომ მომავალი საქართველოა, – თქვა ახლად გახსნილი სტადიონის დირექტორმა გია ომიაძემ, – დღეს ჩვენთან ნამდვილი დღესასწაულია. ამ კომპლექსის ჩამოყალიბების იდეა ეკუთვნის წარსულში „დინამოს“ ყოფილ ფეხბურთელს ნიკო დოლიძეს, მას მხარში ამოუდგნენ მეგობრები, ასევე ყოფილი ფეხბურთელები გრიგოლ ცაავა, ლევან ყიფიანი და გია ყარყარაშვილი. ასე შეიქმნა საერთაშორისო საზოგადოებრივი საქველმოქმედო კლუბი „ფეხბურთი – ბავშვებს“. სწორედ ამ კლუბში გაიხსნა საფეხბურთო სკოლა „ირაო“, რომლის სპონსორია ქართველი ებრაელი რ. მირელი.

ახალგაზრდული კომპლექსი კეთილმოწყობილია – ფუნქციონირებს საშხაპეები, საუნა, გასართობი და სავარჯიშო ოთახები, სულ მალე დამთავრდება „მინი-ბარის“ რეკონსტრუქცია.

– თავად ხედავთ, რამდენი ბავშვია, უკვე თითქმის სამასზე მეტი. მსურველთა რიცხვი კი დღითი დღე მატულობს, – ამბობს კომპლექსის გენერალური დირექტორი ნიკო დოლიძე. – ამიტომ გადაწყდა, რომ სულ მალე, ახალგაზრდულ ქალაქ „მზიურში“ აშენდეს შედარებით დიდი სტადიონი.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ, ცნობილმა ქართველმა სპორტსმენებმა ნორჩებს მიულოცეს ეს მშვენიერი საჩუქარი.

* * *

თბილისობის დღესასწაულზე ქალაქს კიდევ ერთი ახალი ლამაზი სკვერი შეემატა – კოლმეურნეობის მოედანზე სულხან-საბა ორბელიანის სახელობის განახლებული სკვერი. პატარძალივით კოპწია ყვავილნარი, რომელსაც წყალუხვი შადრევანი ამშვენებს, თბილისელთა და ქალაქის სტუმართა ერთ-ერთი მყუდრო დასასვენებელი ადგილი გახდება.

ჩონგური საქართველოა...

შაბათს დილაადრიან დაიწყო დღესასწაული ღიაცისქვეშა მუზეუმში. თითქოს მთელ საქართველოს თავი მოეყარა კუს ტბის ფერდობზე ამ პატარა ტერიტორიაზე. სახლებსა და კარ-მიდამოებში, რომლებიც ასახავენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის განსხვავებულ ყოფას, სიცოცხლე აჩქეფდა და თვალნათლივ წარმოადგინა ეს ყოფა. ხუთი წუთის სავალია სამეგრელოდან, სადაც მეგრული სიმღერები იღერება, ეროვნულ განსაცმელში გამოწყობილი ქალიშვილები რომ ასრულებენ, კახეთამდე, ეზოში ჩურჩხელებს ავლებენ.

– პირველი წელი როდია, რაც თბილისობაზე ჩამოვდივარ, – თქვა გურჯაანელმა მალხაზ მჭედლიშვილმა. – აბა როგორ. ეს ხომ ჩვენი საერთო ზეიმია. თბილისი საქართველოს გულია, ჩვენი ერთიანობის სიმბოლოა. ეს კი დღეს მთავარია. რას იზამ, დღეს საქართველოში გვიჭირს. პურის ნატეხი და ერთი ჭიქა ღვინო მუდამ მოიძებნება. ერთად კი, შეხმატკბილებულნი მუდამ მოვახერხებთ გაჭირვების დაძლევას.

თითქოს მთელი ქვეყანა მოიარა ამ დღეს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ პარლამენტის თავმჯდომარესთან ზურაბ ჟვანიასთან, სახელმწიფო მინისტრთან ვაჟა ლორთქიფანიძესთან, თბილისის მერთან ვანო ზოდელავასთან, ქვეყნისა და ქალაქის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად ესტუმრა ყოველ სახლს, მშობლიური მიწა-წყლის ამა თუ იმ კუთხეს რომ განასახიერებს. სტუმრებს სიმღერებითა და ცეკვებით, მისალმების კეთილი სიტყვებით ხვდებოდნენ.

აფხაზურ კარ-მიდამოსთან, სადაც დაიდგა თეატრალიზებული წარმოდგენა „ჩვენ აფხაზეთში დავბრუნდებით“, უნებლიედ თვალს ცრემლი მოგადგებოდა.

– თბილისის მიმართ რას შეიძლება განვიცდიდე, მადლიერების გარდა, – ამბობს სოხუმელი დევნილი თინა კუპრავა. – ამ ქალაქმა შემიფარა, როცა უსახლკაროდ დავრჩი. აქ დაიდო ჩემმა ოჯახმა

იხ. მე-4 გვ.

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

1998 წლის 22 ოქტომბერი ქ. თბილისი

ქვემო ქართლის მხარის განათლების დარგის მუშაკთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

მოსწავლეთა აღზრდა-განათლებაში შეგანილი ჯაფაღი წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგური და სამოგადოებრივი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით ქვემო ქართლის მხარის განათლების დარგის მუშაკები:

ორდენით „ღირსების ორდენი":

ნაზი ბლიაძე – გარდაბნის №5 საშუალო სკოლის მასწავლებელი;
ბაქარი გოგბერი – თეთრწყაროს №1 საშუალო სკოლის მასწავლებელი;
გრიგოლ გურიელიძე – ქ. რუსთავის განათლების სამმართველოს მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი;
ნოდარ ვარდოსანიძე – ქ. რუსთავის სპორტიდან დაჯილდებული ბავშვთა რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატის დირექტორი;
თამილე დეკანოზიშვილი – გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალის №2 საბოჭკვილო საშუალო სკოლის მასწავლებელი;
ფეოდორ ვინოგრი – წალკის რაიონის განათლების განყოფილების გამგე;
ნოდარ ლორთქიფანიძე – მარნეულის რაიონის სოფელ წერენოს საშუალო სკოლის მასწავლებელი;
ეკატერინე ოქროპირიძე – დმანისის №3 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე;
მოთა ყავლიშვილი – ბოლნისის პირველი სკოლა-ლიცეუმის მასწავლებელი;
ეთერ ხარაგაშვილი – თეთრწყაროს №2 საშუალო სკოლის მასწავლებელი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.

ორდენით „ღირსების მედლით":

გარახან ალაბოვი – ბოლნისის რაიონის სოფელ ცერგვის საშუალო სკოლის დირექტორი;
შუშანა არუნაშვილი – თეთრწყაროს №1 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი;
მარინა ბუღაა – ქ. რუსთავის №12 საშუალო სკოლის დირექტორი;
რიზა ისპანდიროვი – გარდაბნის რაიონის სოფელ კალინინოს №1 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე;
ეკატერინე კვანტალიშვილი – დმანისის №2 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე;
ანა მაყაბერიძე – წალკის რაიონის სოფელ რუხის საშუალო სკოლის მასწავლებელი;
ლია მაღრაძე – ბოლნისის რაიონის დაბა კაპრეთის №2 საშუალო სკოლის დირექტორი;
კარამ საფაროვი – გარდაბნის რაიონის სოფელ ყარაჯალარის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი;
ზამირა ოქროპაშვილი – დმანისის რაიონის სოფელ ჯავახის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე;
მარდავი ღუნაშვილი – ქ. რუსთავის ვაჩნაძის დაწყებითი კლასების მასწავლებელი;
როზა ხუდავა – მარნეულის №3 საშუალო სკოლის მასწავლებელი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

1998 წლის 22 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოს აბროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა საქართველოს სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებაში შეგანილი ჯაფაღი წვლილისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს პრეზიდენტის ორდენებითა და მედლებით:

ორდენით „ღირსების ორდენი":

ნუგზარ ალუღიშვილი – ლეღოფლისწყაროს რაიონის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციე „ფიროსმანი-1"-ის თავმჯდომარე;
ზია გელაძე – ხულოს რაიონის მთავარი ექიმი;
ბორის ჭელიძე – ბოლნისის რაიონის სოფელ მუურნების მექანიზატორ-ოპერატორი და ხურსათის სამინისტროს უფროსი;
ვახტანგ გურგენიშვილი – საქართველოს სოფლის მეურნეობისა და ხურსათის სამინისტროს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის მექანიზაციის და გრანსპორტის სამმართველოს უფროსის მოადგილე, საქართველოს დამსახურებული ოსტატი;
ნარგიზა ალუქიძე – ახმეტის რაიონის ქედში ალკოს სახელმწიფო ჯიმსახეთის დირექტორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი;
ვალერი ქჭარაია – ზუგდიდის სააქციო სამოგადოება ჩაის ფირმა „ეკლრასა" გენერალური დირექტორი;
ბეთანიდელ ცირეკიძე – გყობილის სოფლის მეურნეობისა და ხურსათის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ორდენით „ღირსების მედლით":

ბორის გოგოლაძე – ხაშურის რაიონის სოფლის მეურნეობისა და ხურსათის სამინისტროს მეცხოველეობის სანაშენე საქმის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე;
მიხეილ ონდაშვილი – გურჯაანის რაიონის ქვემო ალვანის სარწყავი სისტემის სამმართველოს მთავარი ინჟინერი;
ვალერი კერელეიშვილი – სამგრეთის რაიონის ქართველი უუქარის სანაშენე რეპროდუქტორის მეუღაწე;
ალბერტ უკლება – ხელვაჩაურის რაიონის მეშვეულეი პასუხისმგებლობის სამოგადოება „ახალქიას მეურნეობის" მთავარი აგრონომი;
ჯუმბერ ჩხაიძე – საქართველოს სოფლის მეურნეობისა და ხურსათის სამინისტროს მეცხოველეობის სანაშენე საქმის დეპარტამენტის კალეგიის და სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1998 წლის 5 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოს საექსპორტო საქმიანობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ

საექსპორტო საქმიანობას უღიღესი როლი ენიჭება მოსახლეობის შემოსავლებით აღმრდაში და მიღა ტურიზმის უმნიშვნელოვანესი სექტორია, მაგრამ სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება. ექსპორტიორების მოწყობისას ზოგჯერ გამოიყენება შემოხვეეითი გრანსპორტი და მას არაპროფესიონალი ექსპორტიმამღლები ემსახურებიან. მოიშალა ქვეყანაში არსებული საექსპორტო ბიუროების ქსელი. ძირითადად მოუელილია ისტორიულ ტეგდებათ მისახელი გზები, არაორგანიზებული კვება და კომუნალური მომსახურება, გახშირდა ძეგლების მიმართ ვანდალიზმისა და სამოგადოებრივი ქონების დარღვევის უფქტები. სრულიად მოუწესრიგებელია საექსპორტო საქმიანობის ფინანსური აღრიცხვა, რის გამოც სახელმწიფო ბიუჯეტი საგრძნობ თანხებს კარგავს.

საქართველოს მოსახლეობის მიერ საკუთარი ქვეყნის ისტორიის, უნიკალური ბუნებრივი და კულტურული ძეგლების უკეთ გაცნობის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ბიუჯეტში დამატებითი სახსრების მოზიდვისა და ქვეყანაში საექსპორტო საქმიანობის მოწესრიგების მიზნით:

1. საქართველოს გურიაშისა და ცენორგების სახელმწიფო დეპარტამენტმა (ვ. შუბლაძე) ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან ერთად:

ა) ხელი შეუწყოს საქართველოს მხსელ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ტურისტულ-საექსპორტო ორგანიზაციების ქსელის გაფართოებას;

ბ) დაღგენილი წესის მიხედვით შეიმუშაოს ნორმატიული აქტი ექსპორტიის მომმადებისა და მოწყობის წესის შესახებ;

გ) მეთოდური დახმარება გაუწიოს ტურისტულ-საექსპორტო საწარმოებს საექსპორტიო თემატიკის, რეფერატების და მარშრუტების დამუშავებაში;

დ) ხელი შეუწყოს ექსკურსიების დამკვეთთა, ტურისტულ-საექსკურსიო საწარმოთა და სატრანსპორტო საშუალებათა შეპატრონების ურთიერთობას მიღებული კანონის საფუძველზე.

2. საქართველოს განათლების სამინისტრომ (ა. კარტოზია):

ა) სასწავლო დაწესებულებათა პროგრამების შემუშავებისას სასწავლო პროცესში შეძლებისდაგვარად გათვალისწინოს ექსკურსიები ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ისტორიული და კულტურული ძეგლების გასაცნობად, მუზეუმების დათვალიერება, ბუნებრივ სიმდიდრეთა შესწავლა;

ბ) ექსკურსიები მოაწყოს შესაბამისი საქმიანობით დაკავებულ სტრატეგიულ ტურისტულ ფირმებთან ხელშეკრულების საფუძველზე.

3. საქართველოს გრანსპორტის სამინისტრომ (მ. ალფიშვილი) გააძლიეროს გურსატულ-საექსკურსიო საქმიანობით დაკავებულ სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი.

4. საექსკურსიო საქმიანობით დაკავებულმა გურისტულმა საწარმოებმა და ფირმებმა ექსკურსიათა მოწყობისას არ დაუშვან არაპროფესიონალი ექსკურსიამძღოლები და არასტრატეგიულ ობიექტებზე საშუალებები.

5. სამხარეო აღმინისტრაციათა ხელმძღვანელებმა, ქალაქების მერებმა, რაიონების გამგეებმა:

ა) შესაბამის ტერიტორიებზე უზრუნველყონ საექსკურსიო ობიექტებთან მისასვლელი გზები, სავეზრო და კომუნალური ინფრასტრუქტურების მოწესრიგება;

ბ) ხელი შეუწყონ არსებულ ტურისტულ-საექსკურსიო ბიუროების თავიანთ საქმიანობაში და წაბახალისონ, რომ შეიქმნას ახალი ტურისტულ-საექსკურსიო საწარმოები.

ე. შევარდნაძე

მადლობა გამოეცხადათ

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებაში შეგანილი ჯაფაღი წვლილისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით მადლობა გამოეცხადათ:

მახეილ აბრამაშვილს – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევეთი სამუშაოთა კოორდინაციისა და კრებსითი დაგეგმების განყოფილების უფროსს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს;
ნინო ბენიაშვილს – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და ხურსათის სახელმწიფო დეპარტამენტის საფინანსო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსს;
შელქისედეკ ბზიავას – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს;
თემურ კონდეიძეს – ქობულეთის რაიონის ჩაქვის შემღეული პასუხისმგებლობის სამოგადოება „ციგრო-ჩაის" მეუქსე ბრიგადის ბრიგადირს;
გიორგი ღამბარაშვილს – გორის რაიონის სოფელ ზემო ხეითის უერმერს;
ვანო მაისურაძეს – სოხუმის რაიონის ოღემის მეურნეობის ყოფილ ხელმძღვანელეს;
ყაფლან მარწყვიშვილს – ყორის რაიონის კუხეი-ვანაათის სარწყავი სისტემის სამმართველოს ინჟინერ-პიდროტექნიკოსს;
ვლადიმერ მაღლაკელიძეს – ვანის რაიონის არენდატორს;
ალექსანდრე მორჩილაძეს – ცაიპის რაიონის უერმერს;
შურად ომპორაძეს – სახაბინო საწარმო „მგეგვარი-1"-ის ექსკავატორის მემანქანეს;
ბორის პაპასქუას – გალის რაიონის სოფლის მეურნეობისა და ხურსათის სამმართველოს მთავარ აგრონომს;
ბაურ პაპაშვილს – მცხეთის რაიონის მეშვეულეი პასუხისმგებლობის სამოგადოება „ქსოვრისის მეთესლეობის" დირექტორს;
მერი პაგარიძეს – ტყიბულის რაიონის მეჩაიეს;
სერგო ტუღუშს – კასპის რაიონის მეღიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს ელექტრიკოსი უანის უფროსს;
რეზო ქვარცხავას – ხობის რაიონის შეშლილი პასუხისმგებლობის სამოგადოება „ხობულას" მექანიზატორს;
ელადემერ ქევხიშვილს – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეამიქმელების სამეცნიერო-კვლევეთი ინსტიტუტის სილნაის სადელო სადგურის დირექტორს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს;
პაშალე ცაძიკაძეს – ახმეტის რაიონის ალვანის მეცხოველეობის სანაშენე მეურნეობის მთავარ ინჟინერ-მექანიკოსს;
ეგნატე ცერცვაძეს – ყვარლის რაიონის მეჯარეს;
ნუგზარ ცერცვაძეს – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეხილეობა-მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევეთი ინსტიტუტის მევენახეობის სექციის განყოფილების გამგეს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს;
შქერი ჭელიძეს – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საინფორმაციო საგამომცემლო განყოფილების უფროსს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს;
გიორგი ხარგლიანს – სენაკის რაიონის აგრარული კოლეჯის დირექტორს;
ბაურ ჯიქიას – აფხაზეთის უიგრახანგარიანი კარანტინის სახელმწიფო ინსპექციის მთავარ აგრონომს.

„თბილისი — ჩვენი საფიცარია...“

(მეორე გვერდიდან)

მეორე ბინა. მოგეხსენებათ, რომ ამ ბრალდებას ვამბობ დღესასწაულებისათვის არ გვცალია. მე კი სხვა აზრის ვარ. ისევე, როგორც ყველა, ვისაც აქ თავი მიუყრია. როგორ არ ეამებიმთა თბილისობა, თითოეული ჩვენგანისათვის მშობლიური და ახლობელი ქალაქის დღე. და ამ მშვენიერ დღეს გულწრფელად ვუსურვებ ბედნიერებასა და დღეგრძელობას ჩვენს დედაქალაქსაც და მის ყველა მცხოვრებსაც.

“შუბნელებმაც გაისმოდ სმენები კუს გბას ფერდობზე. მთელი საქართველო შეიმღერა თბილისობას.

ოსტატობაც და შთაგონებაც

თბილისის სამხატვრო აკადემიას 75 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა შემთხვევით რიდი გვხსნის მისმა ორგანიზატორებმა პარასკევს – თბილისობის წინა დღეს. სახელმწიფო სურათების გალერეაში წარმოდგენილი ექსპონატები საქართველოს დედაქალაქის კულტურის ერთ-ერთი წარეკვეთი ასრის მხატვრული ზეგანაკვეთი.

აქ თავმოყრილია სამხატვრო აკადემიის დამაარსებლების, პირველი პედაგოგების, თვალსაჩინო ფერმწერების და მოქანდაკეების, იმათი ნაწარმოებები, რომელთა სახელებიც დღეს არა მარტო ეროვნული, არამედ მსოფლიო კულტურის დიდების შეადენენ. გაბამელი და თოიძე, კაკაბაძე და გუდიაშვილი, ქობულაძე და ლანსერე, სხვათა სახელები, რომელთა სხენებისას ქუდს იხდიან შორს, ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

მათ გვერდს უმშვენებს სამუალო თაობის ოსტატების, ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევრები. ვიწრული და სალოცავრად მხატვრების, თემატიკის სიმდიდრე და მისდამი განსხვავებული დამოკიდებულება, მისწრაფება ცხოვრების ურთულესი მოვლენების გააზრებისაკენ – ეს ყოველივე, რაც გამოარჩევს ქართულ სამხატვრო სკოლას. ეს ეკ სათვეს იღებს თბილისის სამხატვრო აკადემიიდან, რომლის სახელოვანი იუბილეც გრძელდება.

ელენე — თბილისს, თბილისი — ელენეს...

ხალამ არ არის შემხსენებით, რომ გამოჩენილი ქართველი მხატვრის ელენე ახელედიანის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა გახსნა შაბათს, იმ დღეს, როცა მისი საყვარელი ქალაქი შეიმოსა თბილისობას. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დარბაზში წარმოდგენილი 64 ნამუშევრიდან უმეტესობა თბილისს ეძღვნება.

ახელედიანისებური თბილისური ეზოები და ქუჩები, ქალაქის კუთხეკუნჭულები, თითქოსდა უცხო თვალთათვის შეუმჩნეველი და შემოქმედის ნიჭიერი თვალით დანახული. ყოველთვის, როცა ამ გალერეის უკურებ, ვგრძნობ, პირველად ხელფეი თბილისის ხიბლმა გაგვკვნილ ქუჩებს.

ექსპოზიციაში წარმოდგენილი ნაწარმოებები ხელოვნების მუზეუმის ფონდიდან, აგრეთვე, თბილისის ისტორიის მუზეუმიდან და კერძო კოლექციებიდანაა. ესენია ფერწერული გალეიები და გრაფიკული ნამუშევრები, პეიზაჟები, პორტრეტები, ვაჭრული კომპოზიციები, თეატრის მხატვრობაში შესრულებით ვერცხლ ქართველ პოეტთა ლექსები, რომლებიც ეხმიანებოდა მხატვრის შემოქმედებას. დადგმამი ავტორებმა შემოიტანეს პოეტური მეხარჩეგი, რომელიც ხაზს უსვამდა ახელედიანის შემოქმედების ერთგულ უსხვებსა და საკაობრით მნიშვნელობას. ცალკე ჩაეთხოს ლექსები თბილისქალაქზე, რომელიც მას თავდაეწყებამდე უყვარდა და რომელსაც უძღვნა ლირიზმით განმსჭვალული გალეები და გრაფიკული ნამუშევრები.

მეორე განყოფილებაში ელენე ახელედიანის შესახებ ლეპარაკეს ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები, რომელთა უმრავლესობასთანაც მხატვარს დიდი პირადი მეგობრობა აკავშირებდა. ორგანორება ხაში გაუსვეს მისი შემოქმედებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის დღე მნიშვნელობას, მისი პიროვნების სიდრმესა და სიმდიდრეს.

– ელენე ახელედიანი, – თქვა, კერძოდ, საქართველოს კულტურის მთანაგრძა ვალერი ასათიანმა, – იმ შემოქმედთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია მეოცე საუკუნის ქართული კულტურა. და ჩვენი ამოცანაცა, ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა ამ შესაანიშნავი მხატვრის შემოქმედება სამუდამოდ ეოცხლობდეს მომავალ თაობებში.

მეცნიერის სახელის უკვდავსაყოფად

თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით გახსნილ მემორიალური დაფა იმ სახლის კედელზე, რომელშიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი ფიზიოლოგოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნიკო ჭავჭავაძე. გახსნის ცერემონიაზე გამოსულმა ორგანოვნება აღნიშნეს მისი მნიშვნელოვანი წვლილი ქართულ მეცნიერებაში, მისი დამსახურება თავისი ხალხის წინაშე. მემორიალური დაფის გახსნას ესწრებოდნენ მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, სამოყადოებრიობის წარმომადგენლები.

ერთი დღის ასი ბაზრობა

ელექტრობის გარჩევ ხელით მოწვლება სამშობლოში ჭორსახლმა ცალვე ათასწერად ათელვარა საქართველოს ღედაქალაქი. ბაბურთალოდან შუხანამდე უხვად მოეფინა ქალაქს ბაბრობა. ხანგრძლივი გვალეის, სხვა სტიქიურ უბედურებათა მიუხედავად, ფერმერებმა თბილისში ჩამოიტანეს უამრავი ბოსტნეული, ხილი, ბაღჩეული და მწვანილი, აგრეთვე, ხორცი და ყველი, თაფლი და ფქვილი, კვერცხელი – ახეთია პროდუქტების სახელსახწაულო სიუხვე. წლეეიანელი თბილისობის დამახასიათებელი თავისებურება ის გახლავთ, რომ სოფლის მცხოვრებთ მათთა ადგილობრივებსა ადმინისტრაციამ უფასოდ გამოუყო ავტომგრასსპორტი ქალაქში პროდუქციის ჩამოსაგანად.

– პირველად რიღი ვარ თბილისობაშე, – თქვა ახალეიხის რაიონის სოფელ ვალეს მცხოვრებმა გოჩა ნასყოფაშვილმა. – ეს ყოველთვის, რომ ბაყვიან, ხელდამშვენებული. აი, ახლაც, იმედი გვაქვს, თავი არ შევირცხვინეთ – მე და ჩემმა თანასოფლელმა ელაჯო გოგალიშვილმა ჩამოვიგანეთ ღონა კომბოსტო, სამი ღონა კარტოფილი, ყველი, და ეს ყველაფერი ჩვენი შრომითაა შექმნილი.

„მოედანი სპორტის სახახლის წინ. აქ სახელდახელო სავაჭრო დახლებზე დაეწყვიათ თავიანთი პროდუქტები სენაკის, მარტვილის, თელავის პროდუქციის ფართო არჩევანი წარმოადგინეს ადგილობრივმა ფირმებმა, კომპანიებმა და ორგანიზაციებმა.

ხულ ხადღესასწაულო ვაჭრობაში რომელშაც ქალაქის ყველა კუთხე მოიცვა, საქართველოს ორმოცდაათზე მეტი რაიონი მონაწილეობდა.

„საქართველო კაჟკაჯისის კარიბჭეა“

თბილისობის დღესასწაულის პირველ დღეს „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიმართა ქართველ და იტალიელ მრეწველთა მეორე საერთაშორისო სემინარი თემაზე: „საქართველო კაჟკაჯის კარიბჭეა“. იგი მოეძღვნა საქართველოში სანეფგიო პროექტის განეთარებას. მას შეესწრა პრეზიდენტის ადგილის დიდი კომპანიებმა – „ენერგიმა“, „სტრედო ჩიგა და მილანო“, პარ ფედერაციის საეგჭრო პალატამ, საქართველოს სალეხომ იტალიაში, საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტრომ.

სემინარის გახსნისას საქართველოს სალეგისტო და სრულუფლებიანმა ელჩმა იტალიაში რუსუდან ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ საქართველოსა და იტალიის მრეწველთა თბილისის შეხვედრა ბოლო წელში ორი სახელმწიფოს ინტენსიური საეგჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის რეალური გაგრძელება.

„ენერგიმის“ ხაბჭოს წევრმა ლორენცო პელიციმ აღნიშნა, რომ მისი კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აღსანახელი ეურიპას ქვეყნებთან საქმიანი თანამეშრომლობის სრულეყოფას. – საქართველოსადმი იტალიელ ბიზნესმენთა გაბრწყინებული ინტერესი, – აღნიშნა მან, – აისხება თქვენს ქვეყანაში სგაბილური პოლიტიკური ვითარებით, აქტიური მიმდინარე ეკონომიკური რეფორმებით. საქართველოს საკანონმდებლო და სამართლებრივი ბაზითა და ეკონომიკური პოტენციალით. დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს, აგრეთვე, მისი ეკონომიკური მდებარეობა.

თავის გამოსულაბი სოფლის მეურნეობის ა სურსათის მინისტრმა ბაკურ გულეიშ აღნიშნა, რომ ქვეყანაში შექმნილი საქართველო – იტალიის ეროთხეული საწარმოები, რომლებიც აქტიურ საქმიანობას ეწევიან და დიდი პერსპექტივები აქვთ. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გააბარდა საქართველოში ეუხოეთის ინვესტიციები.

დიდი პერსპექტივა ესახებათ ენერგეტიკას, გრანსპორტს, კომუნიკაციის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, შუაეუნი და მრეწველობის, აგრეთვე, შეღეინებისა და მინერალური წყლების დარგში მოქმედ კომპანიებს, – ხაბი გაუეკეთებისა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობის მინისტრის მოადგილემ ვალერი ხოსელაძემ.

სემინარში მონაწილეობდნენ საქართველოსა და იტალიის სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თბილისის ტრუბადური

თბილისობის პირველ დღე აგეორეუნა დიდ საკონცერტო დარბაზში დამართული ვახტანგ კახიძის კონცერტი, რომელც მოეძღვა პოპულარული მომღერლის და მასხიობის 60 წლისთავს. როგორც ღამშენდა ეს დღე ჩვენი ბებას სამღერებმა, რომლებიც ახე მოენაგრა თბილისელ მეხედრეს, მოხელრეს ნების თაყვანისცემელებს. იგი ხომ ჭეშმარიტად თბილისის ტრუბადური. მისი ნამღერი მოქალაქე ვახტანგ კოკაბიძემ თბილისელებს შესთავაზა ახალი პროგრამა – „თბილისქალაქს გაუმარჯოს!“

გამოცდა

მოსამართლეები რუბიკონს ერთ კვირაში გადალახავენ

როგორც იქნა, დადგა 24 ოქტომბერი და მოსამართლეობის მსურველებმა ბედის საცდელად პარლამენტის შენობას მიაშურეს. როგორც ცნობილია, ამ დღეს მოსამართლეთა მეორე საკვალიფიკაციო გამოცდები იყო დანიშნული. არც ის არის საიდუმლო, რომ მასში მონაწილეობის სურვილი სულ 375-მა იურისტმა გამოთქვა. მაგრამ რატომღაც, გუშინ მხოლოდ 305 კაცი გამოცხადდა. ბათუმში გამართულ გამოცდას კი, იქიდან მოსული ცნობის თანახმად, ორმოცდათექვსმეტივე კანდიდატი დაესწრო.

დილის 9 საათზე, პარლამენტის სხდომათა დარბაზისა და პირველი რესპუბლიკის სახელობის დარბაზის კარები დაიხურა. თუმცა, უშუალოდ, გამოცდის დაწყების დრომ ერთი საათით გადაიწია, რადგან, ამ ხნის განმავლობაში აშშ ელჩი საქართველოში კენედ იალოვიცი და გერმანიის საელჩოს მუდმივი წარმომადგენელი მიხეილ კინკლავი პოტენციური მოსამართლეების წინაშე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ. ხოლო საქართველოს იუსტიციის მინისტრმა ლადო ჭანტურიამ და სასამართლო რეფორმის სხვა „მამებმა" მოსამართლეობის მსურველთ ინსტრუქტაჟი ჩაუტარეს და გამოცდების წარმატებით ჩაბარებაც უსურვეს.

შემდეგ კი დაიწყო მძიმე ექვსი საათი, რომელიც გამოცდისათვის იყო განსაზღვრული. თუმცა, ზოგიერთმა იურისტმა იმარჯვა და 2-3 საათში დაასრულა თავისი „სამუშაო". სამწუხაროდ, ზოგიერთებმა პირიქით, გეგმას გადააჭარბეს და საგამოცდო დროის დასრულების შემდეგაც განაგრძეს ცოდნის გამოვლენა. ვინაიდან, მათი ქცევა წესების დარღვევად აღიქვეს, მათზე უცხოელი მეთვალყურეების მიერ შესაბამისი ოქმები შედგა.

რაც შეეხება უცხოელ მეთვალყურეებს, მათი რაოდენობა დაახლოებით 22 კაცი იყო და ისინი 10 საერთაშორისო ორგანიზაციას წარმოადგენდნენ. გარდა ამისა, საკვალიფიკაციო გამოცდებს დიდი რაოდენობით ქართველი მეთვალყურეებიც ესწრებოდნენ, რომლებიც სხვადასხვა ორგანიზაციას ეკუთვნოდნენ. მაგალითად, იყვნენ როგორც იუსტიციის საბჭოს აპარატის თანამშრომლები, ასევე საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის წევრებიც. ეს უკანასკნელი კი ის ორგანიზაციაა, რომლის წევრებიც თავის დროზე, კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ მოქმედი მოსამართლეების მიერ გამოცდების ჩაბარებას და მას უკანონოდ მიიჩნევდნენ. სწორედ ამის გათვალისწინებით, ჟურნალისტთა კორპუსის დიდი გაოცება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ მოსამართლეთა ასოციაციის ყველაზე შეურიგებელი წევრები არათუ მეთვალყურის როლში, არამედ გამოსაცდელთა შორისაც ვიხილეთ. ხოლო, თუ რა ფაქტორებმა განაპირობეს მათი პოზიციის შეცვლა, ამის დაზუსტება ჟურნალისტებს გაგვიჭირდა, რადგან ყოველმა მათგანმა კომენტარისაგან თავაზიანად შეიკავა თავი.

რაც შეეხება მოსამართლეობის იმ დანარჩენ კანდიდატებს, რომლებიც ბედს უკვე მეორედ ცდიდნენ, მათ ერთხმად აღიარეს წინანდელისაგან განსხვავებით ამ გამოცდების სირთულის ფაქტი. თუმცა, ეს მოულოდნელი არც უნდა ყოფილიყო, რადგან ჯერ კიდევ პირველი საკვალიფიკაციო გამოცდის წინ საქართველოს იუსტიციის საბჭო მოსამართლეობის კანდიდატთა მეორე ნაკადს „დაემუქრა" — მომავალში საგამოცდო საკითხები ძალზე გართულდებაო. როგორც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში რიგით მეორე მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდებმა დაგვანახა, იუსტიციის საბჭომ თავისი დანაპირები მართლაც პირნათლად შეასრულა. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მაისის გამოცდებისაგან განსხვავებით, პარლამენტის ფოიეში მოქმედი (სპეციალურად გამოცდების დღისთვის) სამედიცინო პუნქტის დახმარება ამჯერად მხოლოდ ერთ კანდიდატს დასჭირდა.

აი, ჯერჯერობით, ჟურნალისტებს, რომლებსაც, ტრადიციისამებრ, ამ გამოცდებზე აქტიური მეთვალყურის ფუნქცია გვქონდა დაკისრებული, მხოლოდ გამოსაცდელთა, უცხოელ სპეციალისტთა და გამოცდის სხვა სუბიექტთა რაოდენობის დაზუსტება თუ მოგვიხერხდა. სხვა „სტატისტიკურ" მონაცემებს — მაგალითად, იმას, თუ რამდენმა მოსამართლეობის კანდიდატმა გადალახა პირველი ბარიერი — რამდენიმე დღეში იუსტიციის საბჭო ოფიციალურად გამოგვიცხადებს.

ბექა ჭედია.

მსჯავრი

დაისაჯნენ დაშვებული სერიოზული შეცდომებისათვის

19-20 ოქტომბერს დასავლეთ საქართველოში ანტისახელმწიფოებრივი შეიარაღებული შეთქმულების დროს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შენაერთების მოქმედება იყო კანონიერი და ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, რომელმაც ქვეყანას ახალი სამოქალაქო ომი ააცილა, — განაცხადა საქართველოს მთავარმა სამხედრო პროკურორმა, პოლკოვნიკმა ბადრი ბიწაძემ 23 ოქტომბერს წყალტუბოში, სამხედრო კოლეგიის გამსვლელ სხდომაზე, რომელშიც პარლამენტის, სამხარეო ადმინისტრაციისა და უშიშროების საბჭოს წევრებიც იღებდნენ მონაწილეობას.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის, გენერალ-ლეიტენანტ დავით თევზაძის თქმით, ინფორმაცია მოსალოდნელი დესტაბილიზაციის შესახებ დასავლეთ მიმართულების სარდლობას ჯერ კიდევ სექტემბრის დამლევს ჰქონდა მიღებული. მაგრამ მათ რეალურად არაფერი იღონეს საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ის, რომ ელიავას მომხრეები რამდენიმე ხნის განმავლობაში დაუფარავად ეწეოდნენ ანტისახელმწიფოებრივ აგიტაციას სენაკის ბრიგადაში, ალმზრდელობითი და საჯარისო სამსახურის უსუსტეს მუშაობას მეტყველებს. მთელი რიგი სამსახურების შეუთანხმებელი მუშაობის ბრალია ისიც, რომ მეამბოხეთა წინააღმდეგ დაგეგმილი სამხედრო ოპერაცია 3 საათის ნაცვლად, 12 საათში დამთავრდა. ზოგიერთი მეთაურის გაბედულმა მოქმედებამ შესაძლებელი გახადა ახალი ფართომასშტაბიანი სისხლისღვრის თავიდან აცილება, აღნიშნა გენერალ-ლეიტენანტმა დავით თევზაძემ. მანვე განსაკუთრებით გამოჰყო 21-ე ბრიგადის დაზვერვის ბანაკის, კოჯრის მოსამზადებელი ცენტრის, საჩხერის გვარდიული ბატალიონის, ბათუმის 25-ე და მე-11 ბრიგადის, ფოთის საზღვაო ქვეითთა და ტყიბულის შინაგანი ჯარების ქვედანაყოფების თავდადებული მოქმედება, რომლებიც მოვალეობისა და ფიცის ერთგულნი დარჩნენ და მოწინააღმდეგე უკუაგდეს.

დაშვებული სერიოზული შეცდომების გამო კოლეგიამ დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა დასავლეთ მიმართულების ჯარების სარდალი, გენერალი უჩაძე, თანამდებობრივი შეუსაბამობა გამოუცხადა ალმზრდელობითი სამმართველოს უფროსს, გენერალ-მაიორ დავით სოხაძეს და საჯარისო სამსახურის სამმართველოს უფროსს, პოლკოვნიკ ალეკო გულქანიანს.

თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრი — საქინფორმი.

პოზიცია

ნუ დავამძიმებთ ფსევდოპრობლემებით ქვეყნის სატრანსპორტო სისტემის ერთიანობას

საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს პრესცენტრის განცხადება

ამ რამდენიმე დღის წინათ საინფორმაციო სააგენტო „ბეამ" გაავრცელა 13 ოქტომბერს ბათუმში გამართულ პრესკონფერენციაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მრჩევლის ვალერი გელბახიანის მიერ გაკეთებული განცხადება, რომელიც ეხებოდა საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში ფოთსა და ბათუმში სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელების მშენებლობას. („7 დღე", 15 ოქტომბერი).

იმის გამო, რომ გავრცელებულ ინფორმაციაში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს არ შეეფერება და ზემოხსენებული განცხადება საქართველოს ხელისუფლების მიმართ უსამართლოდ წაყენებულ ბრალდებად მიაჩნია, საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს პრესცენტრი, უფლებამოსილია განაცხადოს:

ბ-ნი გელბახიანის განცხადებაში მოტანილი ფაქტები და დასკვნები არასწორია. მსგავსი არაკომპეტენტური, არაკვალიფიციური და დილეტანტური შეფასებები აღნიშნულ თემაზე პირველად არ კეთდება. ამიტომ, სამინისტრო დროულად მიიჩნევს, განმარტოს ეს საკითხი და ფართო საზოგადოებრიობას გააცნოს საქმის ნამდვილი ვითარება.

როგორც ცნობილია, ტრანსპორტი ერთი მთლიანი სისტემაა, სადაც ყველა რგოლი უნდა მუშაობდეს სინქრონულად და კომბინირების პრინციპით. არ შეიძლება რკინიგზა, საავტომობილო ტრანსპორტი, რომელიმე ნავსადგური, ცალ-ცალკე იყოს ეფექტიანი, თუ არა დარგების შეთანხმებული ურთიერთშემავსებელი მოქმედებით. სწორედ ამ პრინციპით ხელმძღვანელობს საქართველოს ტრანსპორტის სამინისტრო, რომლისთვისაც მეტად მნიშვნელოვანია ორივე საზღვაო ნავსადგურის ეფექტიანი და მომგებიანი საქმიანობა. ჩვენი კონცეფცია არ შეიძლება ეყრდნობოდეს იმ მოსაზრებას, რომ ტვირთბრუნვა ორივე პორტში შემოიფარგლოს 6 მლნ ტონით (დღეს თითოეული მათგანი ამუშავებს დაახლოებით 3-4 მლნ ტონა ტვირთს). ასეთი ვიწრო მიზნებისათვის, რა თქმა უნდა, ჩვენი სატრანსპორტო დერეფნის „ტრასეკას" ამბიციური იდეა თავიდანვე განწირულია. დღევანდელი მოთხოვნები კი ორივე ნავსადგურისაგან უახლოეს ხუთ წელიწადში მოითხოვს თავისი ტვირთბრუნვის გაზრდას დაახლოებით 20-25 მლნ ტონამდე — ეს არის დერეფნის განვითარების გარდაუვალი ამოცანა. ამიტომაც ჩვენი ნავსადგურების შესაძლებლობების სათანადო სიმძლავრემდე მიყვანა სამინისტროს მუდმივი ზრუნვის საგანია.

ფოთსა და ბათუმში ამჟამად მიმდინარეობს სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელების მშენებლობა. მათი ამოქმედება დაახლოებით 6-7 მლნ ტონით გაზრდის ტვირთბრუნვას საქართველოზე გამავალ საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანში. სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელების დაჩქარებული მშენებლობა ფოთსა და ბათუმში, მათი ზემოაღნიშნული შესაძლებლობების გათვალისწინებით მეტად მნიშვნელოვანია. სწორედ ამ მიზნით საქართველოს ტრანსპორტის სამინისტრომ ორივე ნავსადგურში სარკინიგზო ბორნის მშენებლობას თავიდანვე დაუჭირა მხარი.

ბ-ნი გელბახიანი კი ფაქტების გაყალბებით წარმოაჩენს სურათს, თითქოსდა ბათუმის ნავსადგური ცენტრალური ხელისუფლების ზრუნვის ობიექტს არ წარმოადგენს და „ვიღაცეები" ფოთში საბორნე გადასასვლელის მშენებლობით ბიუჯეტს ზარალს აყენებენ.

ფაქტები კი ასეთია: ფოთში დაწყებული სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელის მშენებლობაზე გამოყოფილია მხოლოდ 5 მლნ და არა 15 მლნ ეკიუ, როგორც ბ-ნი გელბახიანი აცხადებს. რაც მთავარია, ეს თანხა არის ევროკავშირის გრანტი და არა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯი. ევროკომისიამ დამოუკიდებლად გადაწყვიტა ასეთი გრანტი ფოთის ნავსადგურისათვის გაეცა და მას ანალოგიური წინადადება და პროექტი არ წარმოუდგენია ბათუმის ნავსადგურისათვის. ამგვარად, ჩვენთვის უცნობია, თუ რომელ ანალოგიურ პროექტს გამოეცხადა უარი მისი „სიძვირის" გამო. ბათუმის ნავსადგურს კი დამოუკიდებლად ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელის მშენებლობაზე მოსკოვის ფირმა „სენტრაკოსთან". სწორედ ამ პროექტის ღირებულება შეადგენდა 16 მლნ აშშ დოლარს, მათ შორის 12 მლნ აშშ დოლარი თითქოსდა უნდა ყოფილიყო ევრობანკის კრედიტი. ამ წინადადების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ იგი ყოველგვარ საფუძველს მოკლებული იყო და ევრობანკში ამ წინადადების შესახებ არავინ არაფერი უწყოდა. ზემოთქმულის საფუძველზე სამინისტრომ რეკომენდაცია მისცა ბათუმის ნავსადგურს, გაეწყვიტა ურთიერთობა „სენტრაკოსთან", რომელიც ორი წლის განმავლობაში პრაქტიკულად აჭყუებდა ნავსადგურს და ურჩია, ურთიერთობა დაემყარებინა თურქულ კომპანია „მიდლაინთან", რომელიც ანკარაში საქართველოს საელჩომ წარმოგვიდგინა. ამ ფირმის ხელმძღვანელობა ჩვენ თბილისში მოვიწვიეთ თურქეთის ტრანსპორტის მინისტრის თანხლებ დელეგაციაში, სადაც განვიხილეთ ბათუმის პროექტი. ეს ერთობლივი ოქმითაც დაფიქსირდა. სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, რომ აჭარის ხელმძღვანელობის ძალისხმევას გარკვეულად სამინისტროს მცდელობაც დაეხმარა ბათუმში სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელის მშენებლობის იდეის რეალიზაციაში. მოგვიანებით ამ პროექტის მშენებლობაზე და მომავალ ექსპლუატაციაზე პასუხისმგებლად გვევლინება ერთობლივი კაპიტალით დაფუძნებული კომპანია „ბათუმმოსტრანსი". სამწუხაროდ სამინისტროსათვის დღემდე უცნობია ამ კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაცია, პირობები და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ კომპანიაში ერთ-ერთი პარტნიორი სწორედ ზემოთ ნახსენები თურქული ფირმა „მიდლაინია". „ბათუმმოსტრანსი" გასული წლის ივლისში აფორმებს ხელშეკრულებას სომხეთის რკინიგზასთან ბათუმის სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელის კომპლექსის ერთობლივ მშენებლობაზე და მისი საექსპლუატაციოდ ერთობლივად მიღების თაობაზე. რა თქმა უნდა, კერძო კომპანიას უფლება აქვს, გააფორმოს ხელშეკრულება ნებისმიერ სტრუქტურასთან, მაგრამ ბუნებრივია, ისმის კითხვა — სად არის ამ დროს საქართველოს რკინიგზის შესაძლებლობები და ინტერესები? საქმე გვაქვს წმინდა წყლის კომერციულ გარიგებასთან, რომელშიც არ არის გათვალისწინებული საქართველოს რკინიგზის, როგორც დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეულის ინტერესი. სწორედ ამიტომ გახდა გაუგებარი ამ პროექტში საქართველოს რკინიგზის მონაწილეობის ფორმაც და მის მიმართ წაყენებული პრეტენზიებიც. სამინისტრო მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში ორივე მხარეს მოეთხოვებოდა მეტი პასუხისმგებლობა, კონკრეტული შეთანხმებების დაფიქსირება, რაც თავიდან აგვაცილებდა წამოჭრილ უხერხულობებს. პირველ რიგში კი საბორნე კომპლექსის ზურგის იმ შეუთანხმებელ ტექნიკურ პროექტს, რომელსაც ძალიან ბევრი ნაკლი აღმოაჩნდა, და მოითხოვა რადიკალური გადაკეთება. სამინისტრო მიიჩნევს, რომ აუცილებლად გადასახედია საკითხი, თუ ვინ გაუწევს ექსპლუატაციას გადასასვლელს და როგორი სახით იქნებიან აქ წარმოდგენილნი ბათუმის ნავსადგური და საქართველოს რკინიგზა. მათი სინქრონული მუშაობა კი აუცილებელი პირობაა ბორნის ეფექტიანი მუშაობისათვის.

სამინისტროსათვის დღემდე უცნობია, თუ რა ჯდება ბათუმის პროექტის განხორციელება, მაშინ, როცა ფოთის პროექტის ღირებულება ჩვენთვის ნათელია. ევროკავშირის მიერ წარმოდგენილი 5 მლნ ეკიუს გრანტის სახსრებით მათ მიერვე გამოცხადებული ტენდერის შედეგად, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს ბერძნული ფირმა „ათენა" ასრულებს და ობიექტის ჩაბარების შემდეგ აშენებულ ფოთის სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელს ექსპლუატაციას სახელმწიფო გაუწევს და იგი ფოთის ნავსადგურის საკუთრება იქნება. შეიძლება ესეც ჩაითვალოს იმის მიზეზად, რომ ზოგიერთი უცხოელი პარტნიორი ჩვენთან საუბრის დროს მეტ ყურადღებას ამახვილებს სწორედ იმ პროექტზე, რომლის ირგვლივაც სამინისტრო სრულყოფილად ინფორმირებული და კომპეტენტურია. ასე იყო ბულგარეთის ტრანსპორტის მინისტრთან ბოლო შეხვედრის დროსაც, თუმცა ბ-ნი ვ. გელბახიანის მტკიცების საწინააღმდეგოდ სინამდვილეში არავითარი ხელშეკრულება ბულგარეთთან „ტვირთების საბორნე გადასასვლელით მომსახურების შესახებ ფოთის გათვალისწინებით" არ გაფორმებულა.

რაც შეეხება ორივე გადასასვლელის დასაქმებას, ილიჩოვსკის, ნოვოროსიისკის, კონსტანცის, ვარნის, სამსუნისა და მერსინის ნავსადგურები შავ და ხმელთაშუა ზღვებზე იძლევიან იმის გარანტიას, რომ ორივე ბორანი ფოთშიც და ბათუმშიც ეფექტიანად იმოქმედებენ. ამ მიზნით სამინისტრო წინასწარ წარმართავს ფართო მუშაობას, რის შესახებაც კარგად მოეხსენება ბათუმის ნავსადგურის ხელმძღვანელობასაც, რომელთანაც შეთანხმებული მოქმედება დღევანდელ დღეს მნიშვნელოვნად განაპირობებს როგორც ნავსადგურის, ასევე მთლიანად სატრანსპორტო სისტემის ეფექტიან მუშაობას.

დასასრულ, გვინდა დავძინოთ, რომ ზემოაღნიშნული გარემოება, რომელმაც გვაიძულა ასეთი სახის განცხადება გაგვეკეთებინა, სამინისტროსათვის მეტად დასანანია. ამიტომ დაბეჯითებით ვთხოვთ ყველას, ვინც დაკავშირებულია ბათუმში სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელის მშენებლობასთან ან დაინტერესებულია ამ საკითხით, მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინონ საჯარო განცხადებების გაკეთების დროს და ნუ შეეცდებიან, წმინდა ეკონომიკური საკითხები პოლიტიკური დავის რანგში გადაიყვანონ. სატრანსპორტო სისტემის ერთიანობა ქვეყნის მთლიანობისა და ეკონომიკური აღმავლის მტკიცე გარანტიაა, სწორედ ამიტომ, ამ სისტემაში ფსევდოპრობლემების შემოტანის არც ერთი ცდა არ შეიძლება უპასუხოდ დარჩეს.

საქართველოს რესპუბლიკა
№276-277, კვირა-ორშაბათი, 25-26 ოქტომბერი, 1998 წელი.

მოვლენის კვალზე

როცა სახელმწიფოს ბედი ბეწვზე ეკიდა

იმაში, რაც მოხდა, არიან თუ არა დამნაშავე ის სახელმწიფო სტრუქტურები, რომელთა პროფესიული და სამსახურებრივი მოვალეობა ამგვარი მოვლენების პროგნოზირება და საფუძველშივე აღკვეთაა? – ჰკითხეს ჟურნალისტებმა 20 ოქტომბრის პრესკონფერენციაზე საქართველოს პრეზიდენტს სენაკის სამხედრო ავანტიურის შემდეგ.

მკითხველმა ჩვენი გაზეთით უკვე იცის, რა უპასუხა პრეზიდენტმა. გავიმეორებ, რადგან საუბარი, რომელიც ქვემოთ უნდა შემოგთავაზოთ, სწორედ ამ პასუხიდან გამომდინარეობს.

დამნაშავეები, რა თქმა უნდა, არიან, თანაც იმდენად დამნაშავეები, რომ პრეზიდენტს დღესვე შეუძლია ათამდე ბრძანებულების ხელმოწერა ამა თუ იმ თანამდებობის პირის გადაყენების შესახებ. მაგრამ იგი ითვალისწინებს, ამ წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანას უმძიმეს პირობებში ცხოვრება და უმძიმესი მემკვიდრეობის გამოსწორება რომ უხდებოდა.

აქედან გამომდინარე, პრეზიდენტი ამბობს, რომ ზოგიერთი სტრუქტურა, რომელიც სახელმწიფოს უშიშროების პრობლემებზე მუშაობს, ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ქვეყნისთვის მისაღები სტანდარტების დონეზე. თუმცა, ამის მიუხედავად, სიგნალები, იმავე ელიავას საეჭვო მოქმედების შესახებ, – ხელისუფლებაში შემოდიოდა.

„მაგრამ, თუ ჩვენ დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოს ვაშენებთ, იმის გამო, რომ საეჭვოდ იქცევა, ადამიანის იზოლირება და დასჯა არ შეიძლება“.

ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უშიშროების სტრუქტურების მუშაობის სრულყოფაზე ზრუნვაა, – ასე მიაჩნია საქართველოს პრეზიდენტს, ხოლო თუ სადმე უპასუხისმგებლობის ელემენტი არსებობს, მაშინ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება სასჯელის შესახებ.

სასჯელი? ვინ უნდა დაისაჯოს, თუ არა უშიშროების მინისტრი? მისმა უნიათობამ ლამის ქვეყანა წამში თავზე დაგვაქცია. ყველამ ყველაფერი იცოდა, სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა კი – არაფერი. თვითონ რომ ტყვედ ჩავარდება, ჩვენ რისი იმედი უნდა გვქონდესო... ვინ იცის, კიდევ რას არ გაიგონებდით ამ დღეებში ჯემალ გახოკიძის მისამართით. დღეს არის, ხვალ მინისტრის სავარძელს გამოეთხოვებაო, ნიშნისმოგებით ტაშიც კი შემოკრა ზოგიერთმა.

ის, რომ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახური მოსალოდნელი საფრთხის თაობაზე ინფორმირებული იყო და გულხელდაკრეფილიც არ მჯდარა, საქართველოს პრეზიდენტის პასუხშიც ნათლად გამოიკვეთა. სრულყოფა და მეტი მოქნილობა რომ სჭირდებათ, არც თვითონ უარყოფენ, კონკრეტულად ვის რა უნდა გაეკეთებინა და არ გააკეთა, ამას გამოძიება დაადგენს და მანამდე დასკვნების გამოტანა, ვფიქრობ, ნაჩქარევია, ან კიდევ, პრეზიდენტზე სიტყვიერი ზეწოლა რომ არ ჭრის, ვიცით და რისთვის ვირჯებით?

მოდით და ჯერ ვკითხოთ ტყვედ ნამყოფ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრს, მომხდარის თაობაზე რას გვეტყვის.

შორიდან იწყებს. ყველაფერი ერთმანეთზეა აკინძული და თავიდან უნდა დაიწყოო.

– 9 თებერვლის ტერაქტის შემდეგ სამეგრელო ჩვენი ყურადღების ცენტრში იყო, რადგან, ფაქტობრივად, ამ აქტის თითქმის ყველა მონაწილე (თუ ჩეჩნებს არ ჩავთვლით) სამეგრელოს მხარის სხვადასხვა რაიონის მცხოვრებნი იყვნენ. იქიდან ნაწილი დავაპატიმრეთ, ნაწილი ვერ მოიძებნა.

გარდა იმისა, რომ დადგინდა, ვინ იყო ტერაქტის ორგანიზატორი და ვინ მონაწილეობდა, დადგინდა მათი კავშირები იმათთან, ვინც უშუალოდ არ მონაწილეობდა, მაგრამ ყველაფერი იცოდა და თუკი ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა, ისინი მხარს დაუჭერდნენ და მათთან გაერთიანდებოდნენ.

ფაქტობრივად, ყველანი ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული ფორმირებების წევრები იყვნენ ან ეგრეთ წოდებული პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც პოზიციების დათმობას არ აპირებდნენ და რევანშისათვის ემზადებოდნენ, – დაასკვნის მინისტრი და არ ფარავს, რომ მაშინ 1995-96 წლებში, როდესაც „ზვიადისტები“ საერთოდ არ აქტიურობდნენ, თითქმის არც ჩანდნენ, უშიშროების სამსახურმა მათ მიმართ (რა თქმა უნდა, კანონის ფარგლებში) ძალაუნებურად კონტროლი შეასუსტა.

სამწუხაროდ, საქართველოს სახელმწიფო უშიშროებას ამ პერიოდში რაიმე სამსახურებრივი მიმართულებაც კი არ ჰქონდა.

ექსპრეზიდენტის მომხრეთა გამოცოცხლება 1997 წლის მეორე ნახევარში შეინიშნა. უწინარეს ყოვლისა, აქტივობა სხვადასხვა ფორმით დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოს მხარეში გამოჩნდა.

ჯემალ გახოკიძე საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრად 1997 წლის 18 სექტემბერს დაინიშნა და მას საქართველოს პრეზიდენტისგან სამინისტროს ეტაპობრივი რეორგანიზაცია დაევალა. მაშინვე დაზვერვის სამსახურის ცალკე უწყებად გასვლა გადაწყდა. ასეც მოხდა, იგი დეპარტამენტად ჩამოყალიბდა. უშიშროების სამსახურიდან გავიდა საბრძოლო დანაყოფი „ომეგა“ და, ეგრეთ წოდებული, სამხედრო ბრიგადა.

ფაქტობრივად, ამ სამსახურის მოვალეობად კონსტიტუციური წყობის დაცვა და ტერორიზმთან ბრძოლა დარჩა. ამავე დროს საქართველოს პრეზიდენტის მოთხოვნით, აქ შეიქმნა კონტრდაზვერვისა და კონსტიტუციის დაცვის სამსახური, რომელიც მანამდე არ არსებობდა, მისი ამოცანა იყო სწორედ იმ ძალების კანონიერ ფარგლებში კონტროლი, რომლებსაც ანტიკონსტიტუციური საქმიანობისკენ ჰქონდათ მიდრეკილება და ძალადობით, შეიარაღების გზით სურდათ ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლა.



გადაწყდა: ასმავა სხვა სამსახურში წავიდოდა. მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს საკითხი რატომღაც გაჯანჯლდა. 19 ოქტომბრამდე რეზო ასმავა კვლავ ძველ თანამდებობაზე რჩება. რატომ? თანაც ამ პერიოდში ბრიგადის ხელმძღვანელი საავადმყოფო ფურცელზეა და მთელი ძალაუფლება ასმავას ხელშია. სწორედ ასმავამ გამოაცხადა 19 ოქტომბრის ღამეს განგაში.

– შარშანდელი წლის ბოლომდე მოვუნდით სამხედრო კონტრდაზვერვის ახალი სტრუქტურის შექმნას. ეს იყო მიმართულებები, რომლებიც მოემსახურებოდა თავდაცვის სამინისტროს, სასაზღვრო და შინაგან ჯარებს. ყოველივეს დალაგებას გვარიანი დრო მოვანდომეთ.

გარდა ამისა, სამინისტროში შეიქმნა მანამდე არარსებული კონტროლისა და კოორდინაციის სამსახური. სწორედ მას უნდა ეკისრა ორგანიზაციული უზრუნველყოფა პერიფერიებში. ამავე პერიოდში შეიქმნა ასევე მანამდე არარსებული უშიშროების სამხარეო სამსახურები სამეგრელოში, შიდა ქართლში, იმერეთში, სამცხე-ჯავახეთსა და რაჭა-ლეჩხუმში, სულ ახლახან კი, – გურიაში. ის იყო, რეორგანიზებული უშიშროების სამსახური მუშაობას შეუდგა და 9 თებერვლის ტერორისტული აქტიც მოხდა.

– ჩვენ მაშინ ამის თაობაზე კონკრეტული ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ, – აღიარებს მინისტრი, – ვიცოდით მხოლოდ 1997 წლის მიწურულს მიღებული რეალური ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მოსკოვში მოქმედებდა საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ ყოფილი ექსპრეზიდენტის მომხრეები. მათ შორის ზაურ კვარაცხელია – აფხაზეთის სუბტროპიკული ინსტიტუტის ყოფილი პროფესორი და ზუგდიდის პრეფექტის ყოფილი მოადგილე სოსო ლაგვილავა, რომლებიც 19 ოქტომბრის სენაკის მოვლენებში გამოჩნდნენ. საკოორდინაციო საბჭოში იყვნენ ნემო ბურჭულაძე, სოსო ჯომიდავა და სხვები. ისეთ ინფორმაციას კი, რომ ჩეჩნეთში მზადდებოდა ტერორისტული ჯგუფი, ვერ ვფლობდით. ვერ მიიღო იგი ვერც დაზვერვის დეპარტამენტმა, საბჭოს არსებობის თაობაზე კი, მაშინვე ვაცნობეთ დაზვერვის სამსახურს, ეს მათი ფუნქციაა და იმიტომ.

9 თებერვალი მოხდა. მას მოჰყვა 19 თებერვალი. ყველანაირად ვეცადეთ უსისხლოდ გამოგვეხსნა მძევლები. შევძელით, დაიწყო შემორიგება. თუმცა ამ შემორიგებას იმავე წუთში გამოუჩნდა სერიოზული ოპოზიცია, ოპონენტები.

სამწუხაროდ, მაშინ, პრესამ, ტელევიზიამ და ზოგიერთმა თანამდებობის პირმა რანაირად არ მონათლეს ეს ხალხი. უშიშროების აგენტები, მოღალატეები... არადა, მათი უმეტესობა დღესაც ჩვეულებრივად ცხოვრობს და მუშაობს. მადლიერი არიან, რომ ოჯახებში დაბრუნების საშუალება მიეცათ. მართალია, ზოგიერთებმა გვიღალატეს, მაგრამ ამ დროს მსგავსი რამ ხდება.

მაისში გალის მოვლენებმა უშიშროების სამსახურს მუშაობა გაურთულა. იმ დროს, როგორც ამბობენ, ბრძოლის საბაბით, დაახლოებით 500 კაცმა აიღო იარაღი ხელში და ყველანი საშიში იყვნენ სახელმწიფო უშიშროების თვალსაზრისით.

– მთელი მუშაობა იქითკენ მივმართეთ, რომ მათ ან არ ეყაჩაღათ ან ამ იარაღით სახელმწიფოს წინააღმდეგ არ წასულიყვნენ, ერთადერთი გადაწყვეტილება, რაც მაშინ მივიღეთ, ის იყო, რომ ეს ხალხი მაქსიმალურად ჩაგვერიცხა სახელმწიფო სტრუქტურებში, მიგვეცა მათთვის სამსახური, რამდენიმე ჯგუფმა ეს არ ისურვა. სწორედ ამ პერიოდში გამოიკვეთა აკაკი ელიავას აქტიურობა, თუმცა მისი მხრიდან რაიმე კონკრეტული ნაბიჯი სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ არ აღრიცხულა.

ვინ არის აკაკი ელიავა?

ექსპრეზიდენტის აქტიური მომხრე. ქობალიას ერთ-ერთი რაზმის ხელმძღვანელი. როდესაც დასავლეთ საქართველოში სამოქალაქო ომი დამთავრდა, თავისი შეიარაღებული ასამდე კაცით ტყეში იმალებოდა. რა თქმა უნდა, ხელისუფლება მუშაობდა მის შემოსარიგებლად და, მართლაც, შინაგან საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა შოთა კვირაიამ იგი შემოირიგა. 1994 წლიდან ელიავა თავისი 15-20 თანარაზმელით შინაგან ჯარში დაასაქმეს. მისცეს თანამდებობა, წოდება. თუმცა უყურადღებოდ არავის დაუტოვებიათ. 1997 წლის თებერვლიდან კი, როცა შოთა კვირაია სახელმწიფო უშიშროების მინისტრი გახდა, აკაკი ელიავა სამუშაოდ აფხაზეთის უშიშროების სპეცდანიშნულების რაზმში შტაბის უფროსად გადაიყვანეს.

მართალია, ელიავას 19 თებერვლის მოვლენებში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ არც არსებული ხელისუფლების მხარდასაჭერად გამოუღია თავი. იყო აშკარად ექსპრეზიდენტის მომხრე და ამას არც მალავდა. უშიშროების სამსახურის დაკვირვებით, მას არც გალის მოვლენებში მოუმოქმედებია რაიმე კანონსაწინააღმდეგო. ზაფხულში კი კვლავ გამოჩნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ ელიავა შეიძლება ჩაბმულიყო ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში.

როდესაც ამგვარი ინფორმაცია გახშირდა, ჩვენ მასთან ინტენსიური მუშაობა დავიწყეთ. უწინარეს ყოვლისა, არაერთხელ გააფრთხილა იგი აფხაზეთის უშიშროების მინისტრმა, სისტემატიურად ხვდებოდა მას ჩემი მოადგილე ალეკო ქვანია. ორჯერ პირადად შევხვდი მე და ძალზე სერიოზულად ვისაუბრეთ.

ელიავას ისიც კი ვუთხარი, ისეთ არაკაცობას სჩადიხარ, საქართველოში არ დაიმარხები-მეთქი, მაგრამ მას ტვინი უკვე გადაბრუნებული ჰქონდა.

ისეთ საქმეში, რომელიც სისხლისღვრასა და სახელმწიფო გადატრიალებასთან არის დაკავშირებული, არ ჩაერევი, მზად ვარ პასუხი ვაგო ამისათვისო, ხრწმუნებოდა.

წლეულს აგვისტოში ელიავას გაუჩნდა იმის შიში, თითქოს ძველი საქმეების გამო დააპატიმრებდნენ, რომ მას სდევნიდა პოლიცია. ამ პრეტენზიით მომართა უშიშროების სამსახურსაც კი. ჩვენ ავუხსენით, თუ შენ ახალი დანაშაული არ ჩაგიდენია, ძველი უკვე გეპატიაო, რომ გენერალურ პროკურატურაში აღძრული სისხლის სამართლის საქმეების ძიება 1992-93 წლებში მისი დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ, შეჩერებულია შემორიგებასთან დაკავშირებით.

მართალია, ელიავას სახელმწიფო სტრუქტურაში რამდენიმე თანამებრძოლი და თანამოაზრე გამოჰყვა, ზოგიც შემოეფანტა, მაგრამ 50-60 თანამოაზრესთან მას ურთიერთობა არ გაუწყვეტია. ისინი მარტვილის, ჩხოროწყუსა და სენაკის რაიონებში ცხოვრობდნენ. ელიავას უშუალოდ აკონტროლებდა სენაკის უშიშროების სამსახურის უფროსი, მისი დეიდაშვილი გია კუპრეიშვილი, ამ ნათესაობასაც იმისათვის ვიყენებდით, რომ მას როგორმე გზიდან არ გადაეხვია და ჯანსაღად მოაზროვნე ხალხთან ერთად მდგარიყო, უშიშროების სამინისტროს მეტი სხვა საშუალება არ გააჩნდა.

– იზოლაცია? ელიავას დაპატიმრება არ შეიძლებოდა? თუნდაც წინა წლებში ჩადენილ დანაშაულთა გამო?

– რა თქმა უნდა, შეიძლებოდა და ჩვენ ამის თაობაზეც არაერთხელ ვიმსჯელეთ, მაგრამ ამავე დროს გავითვალისწინეთ ის 50-60 კაცი, რომლებიც მის თანამებრძოლებად ითვლებოდნენ, როგორ შეიძლებოდა ერთდროულად მათი გაკონტროლება? და იყო თუ არა საშიშროება იმისა, რომ თავს დაგვესხმოდნენ ბრალდებით: სახელმწიფომ მოატყუა ელიავა, ჯერ თითქოსდა აპატია დანაშაული, მერე მისი საქციელი თვალში არ მოუვიდა, რადგან არ იყო ამ ხელისუფლების ერთგული და დააპატიმრაო.

აი ეს საკითხი ფასდებოდა და იწონებოდა დიდი სიფრთხილით. ერთნი მისი დაპატიმრების მომხრენი იყვნენ და ირწმუნებოდნენ, არაფერი მოხდებაო, მეორენი შიშს გამოთქვამდნენ. სრულ გარანტიას ვერავინ იძლეოდა, რადგან არავინ იცოდა, შურისძიების მოტივით, რას ჩაიდენდნენ მიმოფანტული მისი თანამებრძოლები.

რაც შეეხება ახალ დანაშაულებრივ ქმედებებს, ამის თაობაზე მოპოვებული მასალები მტკიცებულებებისთვის არ კმაროდა.

ეჭვი სხვაა, მისი მტკიცებად გადაქცევა – სხვა. ეჭვი შეიძლება ბევრ ადამიანზე გქონდეს, მაგრამ ვერ დააპატიმრებ, ეს უკან დაბრუნებას ნიშნავს.

როგორც სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ამბობს, პირველი სერიოზული ინფორმაცია წლეულს 20 სექტემბრის ღამეს ფოთიდან მიიღეს. სამხედრო კონტრდაზვერვის უფროსმა აცნობათ, რომ შესაძლებელია ხვალ დილით სენაკის ბრიგადის ხელმძღვანელის პირველმა მოადგილემ რეზო ასმავამ ბრიგადიდან გამოიყვანოს ტანკები და დაიწყოს არეულობა, არ არის გამორიცხული, რომ ამ არეულობაში ჩაერთოს აკაკი ელიავაც.

– იმავე წუთში გამოვიძახე თანამშრომლები, და დავიწყეთ ამ ინფორმაციის გადამოწმება. ალეკო ქვანია ზუგდიდში იყო და იქიდან სასწრაფოდ წავიდა სენაკში. ნახა სამხედრო კომენდატურის თანამშრომელი, სენაკის უშიშროების სამსახურის უფროსი გია კუპრეიშვილი და შევიდნენ სენაკის ბრიგადაში. გაირკვა, რომ იმ ღამით გამოეცხადებინათ სასწავლო განგაში, მაგრამ უკვე შეწყვეტილიყო. ისიც დადგინდა, რომ ასმავა შინ იყო და ეძინა. შინ იყო მთვრალი ელიავაც და მასაც ეძინა. უშიშროების თანამშრომლებს დილამდე ბრიგადიდან ფეხი არ გამოუდგამთ.

რადგან არენაზე რეზო ასმავა გამოჩნდა, უშიშროების სამინისტრომ მისი შესწავლა დაიწყო. გაირკვა, რომ ის და კაკო ელიავა კარგად იცნობდნენ ერთმანეთს, ერთ დროს ორივე შინაგან ჯარში მსახურობდა, და რაც ყველაზე საგანგაშო იყო, ასმავა წვევამდელთა შორის ეწეოდა ანტისახელმწიფოებრივ აგიტაციას ექსპრეზიდენტის მომხრეთა სასარგებლოდ.

სასწრაფოდ დავუკავშირდით თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ ხელმძღვანელს, გენერალ ჯონი ფირცხალაიშვილს (მინისტრი დავით თევზაძე მივლინებაში იყო). მის კეთილსინდისიერებაში ეჭვი არ მეპარება და ვაცნობე არსებული მდგომარეობა, ისიც ვუთხარი, რომ ასმავას ამ ბრიგადაში ყოფნა საშიში იყო და მისთვის სასწრაფოდ უნდა მოენაცვლებინათ სამსახურის ადგილი.

რამდენიმე დღეში ბატონმა ჯონიმ დამირეკა და მითხრა, რომ იგი ჩავიდა სენაკში, დასავლეთის მიმართულების ხელმძღვანელს მისცა მი-

თითება, რომ ასმაევასთვის შეეთავაზებინათ სამხედრო კომენდანტის ადგილი, სადაც მას არც ტექნიკა ექნებოდა და არც შეიარაღებული ძალა (სენაკის ბრიგადაში საკმაოდ დიდი ძალაა ტექნიკის თვალსაზრისით, ამ მხრივ მას მუდმივი ყურადღება და კონტროლი სჭირდებოდა. რაც მთავარია, იქ უნდა ყოფილიყვნენ სანდო ხელმძღვანელები). გადაწყდა: ასმაევს სხვა სამსახურში გადაიყვანდნენ.

მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს საკითხი რატომღაც გაჯანჯლდა. 19 ოქტომბრამდე რეზო ასმაევა კვლავ ძველ თანამდებობაზე რჩება. რატომ? თანაც ამ პერიოდში ბრიგადის ხელმძღვანელი საავადმყოფო ფურცელზეა და მთელი ძალაუფლება ასმაევს ხელშია. სწორედ ასმაევამ გამოაცხადა 19 ოქტომბრის ღამეს განგაში, სამხედრო სწავლების საბაბით წამოყარა წვევამდელები და უთხრა, რამდენიმე განკით უნდა გავემგზავროთ ხონში, სადაც სენაკის ერთ-ერთი ბატალიონი არის განლაგებულიო.

უკვე ბინდდებოდა, როდესაც მითხრეს, შოთა კვირაიას უნდა თქვენთან შეხვედრაო. ხიდზე შევხვდით. იგი ამბოხებულ მეთაურებთან საუბრობდა. ტანკებს უკვე ხონისკენ ჰქონდა პირი ნაბრუნები, გაფანტული ჯარისკაცებიც გროვდებოდნენ.

ეს 19 ოქტომბრის ღამეს იყო. მანამდე კი, ჯერ კიდევ 15 ოქტომბერს, უშიშროების სამინისტრომ კვლავ მიიღო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მოსალოდნელი იყო ამბოხი სენაკის ბრიგადაში. როგორც უშიშროების მინისტრი ამბობს, უშიშროების სამინისტროს სამხედრო კონტრდაზვერვამ ამის თაობაზე ოფიციალური ტელეფონოგრამით აცნობა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს. პარალელურად კი შეიტყვეს, რომ იყო მცდელობა ფოთის სამხედრო შენაერთის უფროსის მოადგილის ექსპრეზიდენტის მომხრეთა მხარეს გადასაბირებლად. ასეთ ინფორმაციას იღებს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ერთი საგულისხმო ფაქტიც. 19 ოქტომბრის დილას გენერალური პროკურორი, სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრები ზუგდიდს უნდა ჩასულიყვნენ და ყველა საჭირბოროტო პრობლემა გადაეწყვიტათ. მათ შორის ელიავას საკითხიც. გათენებამდე ამბოხი დაიწყო. სენაკის ავანტიურა მოხდა, ვერ ავიცილეთ. სახელმწიფო უშიშროების მინისტრი მეამბოხეებთან მოსალაპარაკებლად ხონში ჩადის და იგი, ფაქტობრივად, მძევლის როლში გვევლინება.

მანამდე?

ავანტიურის დაწყებიდან რამდენიმე წუთში სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრები ერთმანეთს ხვდებიან. შექმნილ ვითარებას აცნობენ საქართველოს პრეზიდენტს და უშიშროების მინისტრი ასმაევასა და ელიავასთან შესახვედრად სამეგრელოში წასვლას სთხოვს პრეზიდენტს. დილის ოთხ საათზე უშიშროების საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილე მალხაზ სალაყაიასთან ერთად იგი მიდის და რადგან იცის მეამბოხეები უკვე ხონში არიან, ჩადის ქუთაისში, სადაც მას ხვდებიან ზუგდიდიდან ჩასული ალეკო ქვანია და შიო სურმავა. აქედან ჯემალ გახოკიძე მანქანით ხონის გზას ადგება.

– რატომ წავედი? პირად საფრთხეზე არ მიფიქრია, რომც მცოდნოდა მომკლავდნენ, მაინც წავიდოდი, რადგან ისინი ქუთაისისკენ უკვე გზას ადგნენ, ქუთაისის მისადგომები კი, ჯერჯერობით დაცული არ იყო. დრო, რომელიც მათ სასარგებლოდ ითვლიდა წამებს, ჩვენ უნდა მოგვეგო. რამდენიმე საათი ისინი ხონში უნდა დამეყოვნებინა, ამ ხნის განმავლობაში კი, იმას, ვისაც ქუთაისის დაცვა ევალებოდა, უნდა მოესწრო. იქ სამხედრო ძალას უნდა მოეყარა თავი. მე წაველი იქ, საიდანაც ტანკები საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ უნდა დაძრულიყვნენ და არა იმიტომ რომ იქიდან გამოვქცეულიყავი.

ხონში ჩასულს ასმაევა და ელიავა რიხიანად შემხვდნენ.

– რას აკეთებთ, ქართველების სისხლის დაღვრა გსურთ? – ვუთხარი მკაცრად.

– სულაც არა. ჩვენ გვსურს ჩავიდეთ ქუთაისში და იქ შევხვდეთ დღევანდელ ხელისუფლებას, – განმიცხადეს მათ. რა არ ვუთხარი, ელიავა სინდისზეც კი შევაგდე, გონს რომ მომეყვანა, ჯერ გაჯიუტდა, მაგრამ მერე მითხრა, ყველაფერი კარგად იქნება, ტანკებს ბრიგადაში შევიყვანთო. ჩვენც ეს გვინდოდა და პირობა მივეცი, თუ ბრიგადასთან დაკავშირებით რაიმე პრეტენზია გაქვთ, მზად ვარ ამ საკითხებზე დავიწყო მუშაობა-მეთქი. მერე რამდენიმე წუთი მარტო დამტოვეს და როცა უკან მობრუნდნენ, კვლავ უარი მითხრეს, – ბიჭებს პირობა მიეეცით და ვერ მოვატყუებთო.

ვინ ბიჭებს? – გავიკვირვე და მათი ნახვა მოვითხოვე. წამიყვანეს, რამდენიმე ოთახი გამატარეს და მიმაყენეს ექსპრეზიდენტის მომხრე მოსკოვიდან ჩამოსულ ზაურ კვარაცხელიასა და სოსო ლაგვილავასთან. იქვე იჯდა იმერეთის რწმუნებული თემურ შაშიაშვილიც. უცაბედ მათთან გასაუბრება, რა სურდათ, რატომ მიდიოდნენ ამ გზით, რაში სჭირდებოდათ უაზრო სისხლისღვრა. ერთი სული მქონდა გამეგო, რატომ დგამდნენ ისეთ არაკაცურ ნაბიჯს, რომელსაც სამშობლოს ღალატი ჰქვია, მაგრამ მალევე მივხვდი: მათთან საუბარს აზრი არ ჰქონდა. მაშინ ვუთხარი, რომ ისინი ქუთაისში ტანკებით ვერ შევიდოდნენ, რადგან მთელი ქუთაისი გარეთ არის და ხალხს ტანკებით ვერ გადაუვლით-მეთქი. ზაურ კვარაცხელიამ ბრალი წამიყენა: 9 თებერვლის ამბებში რატომ მომიხსენიეო. მე განვუმარტე, რომ ტრიბუნიდან ვთქვი ის, რის თქმის უფლებასაც საქმის მოკვლეული მასალები მაძლევდა, რომ მე ახალი არაფერი მომიგონია. ისიც ვუთხარი, 9 თებერვალი სწორედ თქვენ მოაწყვეთ, სისხლიც დაღვარეთ, ჩვენ 19 თებერვლის უსისხლოდ დამთავრება მოვახერხეთ, დღეს კი კვლავ სისხლისღვრისთვის ხართ მზად-მეთქი. ამაზე ზაურ კვარაცხელიამ კბილებში გამოსცრა, 19 თებერვალი თქვენ მოიგეთ, 19 ოქტომბერს ჩვენ მოვიგებთო.

სამწუხაროდ, ზაურ კვარაცხელიას მოსკოვში „მოღვაწეობა" და სენაკში ლაგვილავასთან „ჩამობრძანება" შეუმჩნეველი დაგვრჩა არა მარტო ჩვენ, არამედ ქართველ მზვერავებსაც.

ჩვენ თქვენთან ერთად ცოცხალი თავით ქუთაისში არ შევალთ, თქვენ ამას ვერ მოესწრებით, ქუთაისი გადაგვიელით, – უთხრა მათ თემურ შაშიაშვილმა.

ამასობაში თითქმის სამი საათი გავიდა და მთელი ამ დროის განმავლობაში ტანკების გრუხუნი არ შეწყვეტილა. როგორც გაირკვა, ტანკებს აკუმულატორები არ ჰქონია და თუ ჩააქრობდნენ, ხელახლა ველარ დაქოქავდნენ. ამის გამო საწვავიც შემოაკლდათ და „სალიარკის" ძებნა დაიწყეს. ამითაც ვერ იშოვით „სალიარკას"? – თქვა ზაურ კვარაცხელიამ და დოლარების შეკვრა გადაუგდო ასმაევასა და ელიავას. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მათ საწვავი უკვე ჰქონდათ. მე და თემურ შაშიაშვილს ჯერ მოგვებოდიშეს, ჩვენთან ერთად უნდა დაადგეთ გზას ქუთაისისკენო. როცა ჩვენი კატეგორიული უარი მიიღეს, – რა აზრი აქვს უჩვენოდ წახვალთ თუ ჩვენთან ერთად, ქუთაისში მაინც ვერასგზით ვერ შეხვალთო, ასმაევამ ავტომატი მოგვიშვირა, ერთ წუთს გაძლევთ მოსაფიქრებლად, თუ არადა ორივეს ადგილზე დაგვხრეტთო. მე და თემურმა მოვახერხეთ ერთმანეთისთვის აზრის გაზიარება, რომ წინააღმდეგობას სჯობდა ისინი მარტო არ დაგვეტოვებინა, რადგან მათი თავის ნებაზე მიშვება საქართველოს დაღუპავდა. ერთი წუთით წარმოიდგინეთ შეიარაღებული ხალხი, რომლებსაც თავიანთი გაუკულმართებული იდეოლოგიით ტვინს უბურღავდნენ კვარაცხელია და ლაგვილავა.

ამბოხებულები საღამოს ათი საათისათვის მთელი ტექნიკითა და იარაღით ბრიგადაში შევიდნენ. ჩვენ ქუთაისში დავბრუნდით. ავანტიურის მოთავენი სენაკიდან დილის ოთხის ნახევარზე გაიქცნენ.

ელიავას ისიც კი ვუთხარი, ისეთ არაკაცობას ჩადიხარ, საქართველოში არ დაიმარხები-მეთქი, მაგრამ მას ტვინი უკვე გადაბრუნებული ჰქონდა.

როდესაც გუბისწყალს მივუახლოვდით, კოლონა გაჩერდა. დაიწყო ორმხრივი სროლა, ახლომახლო აფეთქდა რამდენიმე ნაღმი, დაიცხრილა ჩვენი მანქანები, აშკარა ბრძოლის ხასიათი ჰქონდა ყველაფერს. ჩვენ დაცვა გვყავდა მოჩენილი, უყურადღებოდ წამითაც არ გვტოვებდნენ. მთელი ამ ხნის განმავლობაში უცლის დახმარებით შემორჩენილი ერთადერთი გადამცემით მალულად ვახერხებდი ცნობების მიწოდებას ხელისუფლებისათვის. როგორც კი სროლა შეწყდა, ელიავას ვუთხარი, როდემდე გინდა გაგრძელდეს ეს, ხომ ხედავ იქით ისეთი ძალა დგას, მას ვერ გადალახავ. ქუთაისიც ხალხით არის სავსე. სჯობს დაელაპარაკო თავდაცვის მინისტრს-მეთქი. ჯერ დამთანხმდა, მერე იუარა. პრეტენზია გამოთქვა, ხიდზე შევხვდები, როგორც თანასწორი თანასწორსო. როგორ გგონია, სხვა ქვეყანას ეომები? – ავენთე მე, თემურ შაშიაშვილი კი დაჟინებით ურჩევდა, მოლაპარაკებას, სხვანაირად სისხლისღვრას ვერ ავცდებითო, არწმუნებდა მათ.

თხუთმეტი წუთი ითათბირეს, მოვიდნენ და გვითხრეს: უკან ებრუნდებით, შევიყვანთ ტანკებს ბრიგადაში და ამით დავამთავრებთ ყველაფერსო. ამოვისუნთქეთ, მაგრამ კვლავ პირი გვიტეხეს. ჯერ ის ერთი ტანკი დაგვიბრუნონ, იქით რომ გადავიდაო. თავდაცვის მინისტრს დავუკავშირდი, რომელმაც მითხრა, რომ ტანკი დაზიანებულია და ვერ მობრუნდებოდა. უკვე ბინდდებოდა, როდესაც მითხრეს, შოთა კვირაიას უნდა თქვენთან შეხვედრაო. ხიდზე შევხვდით. იგი ამბოხებულ მეთაურებთან საუბრობდა. ტანკებს უკვე ხონისკენ ჰქონდა პირი ნაბრუნები, გაფანტული ჯარისკაცებიც გროვდებოდნენ. შოთა კვირაიამ მთხოვა თავდაცვის მინისტრთან გამერკვია, რატომ არ აბრუნებდნენ ტანკისტს. როგორც მითხრეს, მას სამხედრო პროკურატურის წარმომადგენელი დაჰკითხავდა. დაიჟინეს, ვიდრე არ გამოუშვებენ, აქედან ფეხსაც არ მოვიცვლითო. ყველაფერი მოგვარდა და ამბოხებულები საღამოს ათი საათისათვის მთელი ტექნიკითა და იარაღით ბრიგადაში შევიდნენ. ჩვენ ქუთაისში დავბრუნდით. ავანტიურის მოთავენი სენაკიდან დილის ოთხის ნახევარზე გაიქცნენ.

ეს სულ ის, რაც საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა მიამბო. უსათუოდ არის ისეთიც, რაც არ თქვა, ვერ დააძალებ, ბოლოს და ბოლოს მისგან სიჩუმეს პროფესია მოითხოვს. მაგრამ მისმა ნაუბარმაც მრავალი პასუხგაუცემელი შეკითხვა დაბადა. თუნდაც იმ ადამიანების მისამართით, ვისაც მინდობილი საქმისადმი ცოტა მეტი გულისყური და პასუხისმგებლობა ევალა.

თუმცა რას გაიგებ ვის საით გაურბის თვალ-ყური. ყოველი ადამიანი ხომ გამოცანაა. არიან ამოუცნობნიც, გულის გასაღები დაკარგული რომ აქვთ. ზოგს კი ადვილად მოარგებ გასაღებს, მაგრამ იქ, შიგნით კვლავ ახალი კარი აღმოჩნდება ხოლმე საგულდაგულოდ დაგმანული. არადა, მთავარი სწორედ რომ გულში ჩასაფრებული ზრახვაა, თორემ გულს გარეთ „კარგი ბიჭები" ვართ ყველანი.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

რეგიონი

დიდი ენათმეცნიერის მშობლიურ რაიონში

დიდი ენათმეცნიერისა და ღირსეული მამულიშვილის, აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავი ზეიმით აღინიშნა მისი მშობლიური რაიონის საზოგადოებრიობაში.

სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენის სიღრმეში მოსჩანს დიდი პორტრეტი წარწერით „არნოლდ ჩიქობავა – 100".

სახელოვანი მეცნიერისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა სენაკის რაიონის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის თავმჯდომარემ ტარიელ დგებუაძემ.

არნოლდ ჩიქობავას ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით და სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის პროფესორები ზურაბ ჭუმბურიძე, იზოლდა ჩანტლაძე, მიხეილ ქურდიანი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ასოციაცია „ლაზიკას" პრეზიდენტი ჟორა სორდია, ეგრისის სამეცნიერო აკადემიის პროფესორი ილია ანთელავა.

ზეიმი გაგრძელდა მეცნიერის მშობლიურ სოფელ ძველ სენაკში. ამ სოფლის მაცხოვრის ეკლესიაში გაიმართა პარაკლისი.

სტუმრებმა დაათვალიერეს არნოლდ ჩიქობავას სახლ-მუზეუმი, რომლის შექმნასა და გაფორმებაში დიდი წვლილი მიუძღვის ამ სოფლის მკვიდრს, ცნობილ მხატვარს რეზო ადამიას.

შემდგომ სტუმრებმა გადაინაცვლეს ა. ჩიქობავას სახელობის ძველი სენაკის საშუალო სკოლაში, სადაც დაათვალიერეს არნოლდ ჩიქობავას ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ამ უძველესი სკოლის ისტორიის ამსახველი კაბინეტები.

ნიშანდობლივია, რომ ამ სკოლაში სწავლობდნენ კონსტანტინე გამსახურდია, ვარლამ თოფურია, სიმონ ჯანაშია, პეტრე ქავთარაძე, სხვა მრავალი.

სკოლის ეზოში საზეიმოდ გაიხსნა არნოლდ ჩიქობავას ბიუსტი.

იოსებ გოგეჩია,
„სრ" საკ. კორ.

სანთელი

შეხვედრა სენაკში

22 ოქტომბერს ქალაქ სენაკში, ჩვენი ეროვნული გმირის ქიული შარტავას ბიუსტთან უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი.

საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულს იმერეთის მხარეში თეიმურაზ შაშიაშვილს და მის თანმხლებ პირებს აქ შეხვდნენ საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში ბონდო ჯიქია, სენაკის რაიონის გამგებელი ტარიელ დგებუაძე, საქართველოს პარლამენტის წევრები დემურ გაბელია, რევაზ გაგულაშვილი, რაიონის წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, განათლების, კულტურის სფეროს წარმომადგენლები, პრესისა და ტელევიზიის მუშაკები.

ბატონმა თეიმურაზ შაშიაშვილმა გვირგვინით შეამკო ქვეყნის მთლიანობისათვის ზვარაკად შეწირული ქიული შარტავას ბიუსტი.

შემდეგ სტუმრები ქალაქის მერიაში შეხვდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. იმერეთის მხარის გუბერნატორმა ვრცლად ისაუბრა 19 ოქტომბრის მოვლენაზე.

სტუმრები სენაკში დისლოცირებულ სამხედრო ნაწილსაც ესტუმრნენ, სადაც გაესაუბრნენ მეორე მოტომსროლელი ბრიგადის მეთაურს, პოლკოვნიკ ავთანდილ კვარაცხელიას, გენერალ ზაურ უჩაძეს, სხვა ოფიცრებს, რიგით ჯარისკაცებს.

თეიმურაზ შაშიაშვილმა მადლობა გადაუხადა ყველა ოფიცერსა და ჯარისკაცს კრიტიკულ მომენტში გამოჩენილი გონიერებისათვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს უნდა ჰყავდეს პროფესიული, ქვეყნისა და ხალხის ერთგული არმია, რადგანაც სწორედ მასზეა დამოკიდებული სახელმწიფოს ძლიერება. მან ასევე მადლიერებით მოიხსენია ტარიელ დგებუაძე და დემურ გაბელია 19 ოქტომბერს მომხდარი ფაქტის დროს მისთვის გაწეული თანადგომისათვის.

სტუმრები შეხვდნენ ქიული შარტავას მშობლებს, ღვაწლმოსილ ადამიანებს – კალისტრატე და ფენია შარტავებს.

საკ. ინფ.

პარტიებსა და მოძრაობებში

რა აფერხებს ანტიკორუფციული კომისიის შექმნას?

საქართველოს დამოუკიდებელმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურაში მოკალათებული ჩინოვნიკების კორუმპირებულობა აიძულებს მათ ყველა ღონე იხმარონ, რათა გაახანგრძლივონ არასტაბილური მდგომარეობა. გამორიცხული არ არის, რომ პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად, გარკვეულ ეტაპებზე ისინი გარიგებებზე წავიდნენ რადიკალურ ოპოზიციასთან და ხელოვნურად შეუქმნან პრობლემები პრეზიდენტს, პარლამენტს და, საერთო ჯამში, მოსახლეობას. დაბალანსების პოლიტიკამ საგარეო პოლიტიკაში ნაყოფი გამოიღო. სამწუხაროდ, იგივე პოლიტიკამ საშინაო საქმეებში არ გაამართლა. ვფიქრობთ, ამის შედეგია ქვეყნის მმართველ ფენებში დაუსჯელობის სინდრომის დამკვიდრება, რაც მოსახლეობას უკიდურესად აღიზიანებს, იწვევს უნდობლობას ხელისუფლების და მის მიერ განხორციელებული თუ გასახორციელებელი სოციალური რეფორმების მიმართ. შექმნილი ვითარებიდან ერთადერთ გამოსავლად პრეზიდენტთან არსებული ანტიკორუფციული კომისიის შექმნა მიგვაჩნია, რომელიც ანგარიშვალდებული მხოლოდ ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთან იქნება. გასაკვირი ისაა, რომ ამ კომისიას, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებაში უამრავი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, რამაც შეაფერხა კიდეც პრეზიდენტის ამ ინიციატივის განხორციელება. როგორც ჩანს, დაუსჯელობის სინდრომი ისეა გამჯდარი ზოგიერთების ფსიქიკაში, რომ იმასაც ვერ ხედებიან, რომ ანტიკორუფციული კომისიის შექმნის წინააღმდეგ გამოსვლა ავტომატურად წარმოაჩენს მათ კორუმპირებულობას.

საქართველოს რესპუბლიკა

№276-277. კვირა-ორშაბათი. 25-26 ოქტომბერი. 1998 წელი.

ბასიანის ბრძოლის

„... და წარგზავნა ვარძიით ლაშქარნი, რომელთა თვით თამარ უძღოდა წინა შიშველითა ფერხითა და ცრემლითა ასოვლებდა ღაწვთა თვისთა".

„ქართლის ცხოვრება".

„ჩვენო ლამაზო დედაო!"

ვაჟა-ფშაველა.

„ფეხშიშველი მიდიოდა თამარ..."

ანა კალანდაძე.

— აუუ! გიორგა! აუუ! — გაჰკიოდა პერანგა გოგო და ფეხშიშველი მირბოდა ალაზნისკენ.

ლამის გალმა იყვნენ გასული ცურვით ძმები, დის შეძახილი რომ შემოესმათ. იმწამსვე უხმოდ შემობრუნდნენ და მხარულით გასწიეს ნაპირისაკენ.

გაზაფხული ინწურებოდა და ალაზანი კარგა მოდიდებულიყო, ჩვეულებრივზე სწრაფად მიაგორებდა შუაწყალში აქოჩრილ, მღვრიე და ტლაშუნა ტალღებს.

გოგომ ძმების ტანსაცმელს დაავლო ხელი, თვალით მოზომა, სად გამოვიდოდნენ დინებას გაჯიბრებულნი და ჩქარი ნაბიჯით დაჰყვა მდინარის ნაპირს.

თითქმის ერთდროულად დედისშობილა ამოვიდნენ წყლიდან ძმები და ასევე უხმოდ გაყვეს სველი, დაკუნთული ფეხები შარვლის ტოტებში. პერანგები არ გადაიცვეს, შუადღის მწველ მზეს მიაფიცხეს ალაზნის გრილი წვეთებით მოკირწყლული გულმკერდი.

— ერისთავთან მეფის კაცი მოსულა წვევის წიგნითაო,[1] — ზურგშექცევით მდგარი, გულამომჯდარი ამბობდა და, — თურქები მოდიანო, ხორნაბუჯის პატრონი გიბარებს, გიორგა!

საღამოჟამს ერისთავის სასახლესთან თავმოყრილ მოლაშქრეებს შეუერთდნენ გიორგი და მისი უმცროსი ძმა, რომელიც უფროსის აბჯრისმტვირთველი და მემარქაფე მსახური იყო. ძმები ჩერქეზულ ულაყებზე ამხედრებულიყვნენ. საომარი საჭურველი ფაფარშეჭრილ მებარგულ ცხენს ჰქონდა აკიდებული — პაპისეული საკურტაკე ჯაჭვი, ჩაჩქანი, მრგვალი ფარი, სამკლავეები, ჯაჭვის ხელთათმანები, საბარკულები, რკინით შეჭედილი მათრახი, მშვილდისარი კაპარჭით, ჰოროლი და ორიც შუბი.

ხორნაბუჯის პატრონი, ერისთავი საღირ მახატლის ძე — ტანმორჩილი, თითქმის მთლად გათეთრებული, — თავისი ძმების, ვაჟებისა და მეფის მალემსრბოლის თანხლებით, ასეულებად დაყოფილ ლაშქარს ათვალიერებდა და თითოეულ გუნდს შეკრების მიზეზს ძუნწად განუმარტავდა:

— მეფეთ მეფე და პატრონი ჩვენი თამარ გვიბრძანებს ვარძიას ვეახლოთ. რუმის სულთანი რუქნ ად-დინ წამოსულა ჩვენზე დიდი ლაშქრით. დედა უნდა ვუტიროთ მაგათ, ბიჭებო!

იმ საღამოსვე დაძრა თავისი მეომრები თბილისისაკენ საღირ მახატლის ძემ.

ეს გიორგის მესამე ლაშქრობა იყო ხორნაბუჯის საერისთავო დროშით. მხედრული ნათლობა მაშინ მიიღო, როცა 1193 წელს რანის ათაბაგის რაზმით გიორგი რუსი შემოიჭრა კამბეჩანში[2] დაკარგული ტახტის დასაბრუნებლად. ორი წლის შემდეგ კი შამქორთან ისახელა თავი. საღირ მახატლის ძემ სამგზის გადაკოცნა ჭრილობებით დასერილი ჭაბუკი და თავისი ხმალი უბოძა.

მამა ადრე დაკარგა გიორგიმ, მერე დედაც ქმრის ჯავრს გადაჰყვა და შვილიშვილები პაპა ღვთისომ დაზარდა...

გამთენიისას მიაღწია მახატლის ძის მხედრობამ თბილისს. მტკვრის თავზე გაშლილ პლატოზე დასცეს მეომრებმა კარვები და ღრმა ძილს მიეცნენ.

ვერ იქნა და ვერ დაიძინა გიორგიმ. გაახსენდა, როგორ დალოცა ღვთისო პაპამ პირველი ბრძოლის წინ. თოთხმეტი წლიდან წვრთნიდა სამხედრო საქმეში შვილიშვილს ღვთისო — თამარის პაპისა და მამის ტაძრეული ლაშქრის[3] მოისარი.

ხელები თავქვეშ ამოიდო გიორგიმ და თვალები მილულა...

... პირისპირ აღმოჩნდა ჩვიდმეტი წლის გიორგი თავის უილბლო, დევნილ სეხნიასთან. ორჯერ მძლავრად მოუქნია მახვილი თამარის ნაქმრევმა პირტიტველა ჭაბუკს. ორჯერვე ფარი იფარა გიორგიმ, როგორც მრავალჯერ გაუკეთებია პაპა ღვთისოსთან ვარჯიშის დროს, მაგრამ საპასუხო დარტყმა ვერ გაუბედა გალმერთებული თამარის ყოფილ თანამეცხედრეს, თუმცაღა საღირამ საგულდაგულოდ დაარიგა მოიერიშენი — ტახტის ორგული და მოღალატე არ დაინდოთო.

ვითომც ცხრა წელი არც გასულიყოს, ისე ცხადად ხედავს გიორგი ახოვან, საოცრად ლამაზ ოქროსფერთმიან ვაჟკაცს, სულ ამაოდ რომ იქნევს თავის გრძელ და ფართე მახვილს...

ნაშუადღევს აიშალა მახატლის ძის ლაშქარი, უმალ გადასერა მტრის შემოსევის ცნობით აფორიაქებული თბილისი და მხოლოდ ტაშისკართან ასწია თავისი მოკლე დაკუნთული მარჯვენა ჭაღარა საღირამ იმის ნიშნად, რომ მეომრები ერთხელაც შეისვენებენ ვარძიაში ჩასვლამდე.

... მზის სხივები ოქროსფრად ავარაყებდნენ კლდეში გამოკვეთილ ქალაქ-სასახლეს, ოღონდაც ის იყო, რომ აქ ჩვეულებრივი სიმშვიდის ნიშანწყალიც აღარ სუფევდა, — 90 ათასამდე მეომარს მოეყარა თავი ვარძიის შემოგარენში.

„მაშინ მოუწოდეს სპათა იმერთა და ამერთა, ნიკოფსიით დარუბანდამდის და შეკრბეს ჯავახეთს".

„და ცოტათა შინა დღეთა შემოკრბეს ვითარცა ვეფხნი სიკასკასითა და ვითარცა ლომნი გულითა... მსწრაფლ მიმართეს ტაძარსა ყოვლად წმინდისა ღმრთისმშობლისასა ვარძიას". — დასწერენ მოგვიანებით თამარის ჟამთაღმწერელნი.

ვარძიამდე ცოტა არმისული, იფნის ტყეში დაბანაკდნენ მახატლის ძის გუნდები, რომლებსაც საღირამ შეატყობინა, რომ ხვალ დილით, ვიდრე მთელი ლაშქარი ბასიანისკენ[4] დაიძრება, განახვაზე[5] თვით მეფეთ მეფე თამარ მობრძანდება მეფე დავითისა და უფლისწულ ლაშას თანხლებითო.

ძმებმა ცხენები იფნის ხეს გამოაბეს, კისრებზე ქერის ტოპრაკები ჩამოჰკიდეს და ის იყო გზაში დამტვერილი საჭურვლის წმენდას შეუდგნენ, რომ თავზე საღირა და უცნობი დიდებული წარმოადგნენ თავიანთი მხლებლებითურთ.

— აი, ეგ გამოგადგება, — მოკლედ უთხრა საღირამ გოლიათური აღნაგობის უბრალოდ ჩაცმულ აზნაურს და გიორგიზე მიანიშნა.

თავი დაუკრეს ძმებმა ტანმორჩილ საღირასთან მთასავით ამართულ ვაჟკაცს, რომელშიც გიორგიმ ახლაღა შეიცნო ზაქარია მხარგრძელი, შამქორთან რომ მიუძღოდა ქართულ ლაშქარს.

ნაბდის ქუდის მოხდა დააპირა გიორგიმ იმის ნიშნად, რომ იცნო ამირსპასალარი, მაგრამ ზაქარიამ არ დაანება, მაგრად ჩამოართვა ხელი, მერე ორიოდე ნაბიჯით უკან დაიხია, მოულოდნელად ამოიღო მახვილი და მთელი ძალით მოუქნია გახევებულ მეომარს. ძლივს მოასწრო განზე გახტომა გიორგიმ, ძმისკენ გაიხედა, იმანაც მყისვე ხმალი და ფარი შეაშველა, „გცდისო", უთხრა ჩუმად და გაეცალა. ისევ წამოვიდა გიორგისკენ მხარგრძელი, ახლა პირდაპირ აძგერა მახვილი. ხმლით აიცილა მეორე დარტყმა პაპა ღვთისოს მოწაფემ და ვიდრე ზაქარია ხელახლა ალმართავდა იარაღს, ელვისებურად მიეჭრა და ისე მძლავრად ატაკა თავისი პატარა მრგვალი ფარი გულმკერდში, რომ ამირსპასალარს სუნთქვა შეეკრა, წამით თვალთ დაუბნელდა და მხლებლები რომ არ შეშველებოდნენ, მიწაზე გაიშხლართებოდა.

— ხომ გითხარი, გამოგადგება-მეთქი! — კმაყოფილებით ჩაიცინა მახატლის ძემ და შეცბუნებულ გიორგის ანიშნა, — ნუ ღელავ, ყველაფერი რიგზეაო.

— მძიმე ხელი გქონია კამბეჩანელო, — ძლივს მოითქვა სული მხარგრძელმა, მერე კი უბრძანა, გამომყევიო.

ბრძოლებში დაოსტატებული ოცდახუთი მეომარი პირადად შეარჩია იმ საღამოს ამირსპასალარმა, უპირატესად მთიელები, მესხები, ტაძრეული ლაშქრის მეომარნი, ახალნი ყივჩაღნი[6] და თავის კარავში მოუხმო.

დაწვრილებით გააცნო მათ მომავალი ბრძოლის გეგმა ზაქარიამ, თან საგანგებოდ გააფრთხილა საიდუმლოდ შეენახათ მოსმენილი. მერე ისიც განუმარტა, თუ რას მოითხოვდა მათგან მეფე დავით — რუქნ ად-დინის პირადი დაცვის მოსპობას იმისათვის, რომ გზა გაეხსნათ მარცხენა ფრთაზე სოსლანისათვის რუმის სულთანთან პირისპირ შესაბმელად.

— ხვალ განახვაზე ერისთავების მხარმარცხნივ დადგებით, — ყრუ ჩახველებით დაასრულა ამირსპასალარმა განწირულთა დამოძღვრა, — თვით მეფეთ მეფე, პატრონი ჩვენი, დაგლოცავთ და გაგიძღვებათ ბასიანისკენ. გუმანით მიუხვდა გიორგი ზაქარიას საფიქრალსა და განწყობილებას, ალბათ სხვაც ყველა, მაგრამ უხმოდ დაუკრეს თავი მეომრებმა მხარგრძელს და გავიდნენ კარვიდან.

ზმანება

ვუძღვნი დღევანდელ ქართველ ჯარისკაცს

ძმასაც არ გაუმხილა გიორგიმ ის, რაც გაანდო მას ამირსპასალარმა, საგანგებოდ შეარჩია სამხედრო საჭურველი და შეუდგა განახვისთვის მზადებას. ეს ღამეც ლამის თეთრად გაათენა პაპა ღვთისოს მოწაფემ, რომელსაც საღირამ მხარგრძელის მიერ ბოძებული ფართე მახვილი და ზუჩიანი ჩაჩქანი პირადად გადასცა.

როგორც იქნა გათენდა და ქართული ლაშქარი გაირინდა ვარძიის მისადგომებთან.

... ატყდა თუ არა ზარების რეკვა, მარდად აირბინეს ქვის მაღალი საფეხურები ტაძრეული ლაშქრის მეომრებმა და ვარძიის მარჯვენა ფრთის მაღალი თაღიდან დაყოლებით ვიდრე სულ ძირამდე კიბის ორივე მხარეს გაშეშდნენ.

ვერა და ვერ დაიჯერა გიორგიმ, რომ ახლა, აი ამ წუთს იხილავს ხორცშესხმულ თამარს. მოულოდნელად გაახსენდა დიდი ხნის წინათ ნანახი სიზმარი, როცა ალავერდის ტაძრის კედელზე გამოსახული პირსავსე გვირგვინოსანი ქალი უცებ გაცოცხლდა და რატომღაც საყვედურით გააქნია თავი. ერთი კვირა გონს ვერ მოვიდა მაშინ შეძრწუნებული ჭაბუკი. ღამეებს თეთრად ათენებდა. ბოლოს, როგორც იქნა, პაპა ღვთისოს გამოუტყდა. გაუკვირდა, პაპამ მისი სიზმარიცა და შეკრთომაც რომ არად ჩააგდო, სიზმარში კაცი რას არ ნახავსო, — უთხრა და ზედ ეშმაკური ღიმილით დააყოლა: ი მეფეებიც ჩვენნაირი ხალხია, ხან იცინიან, ხანაც ილუშებიან, ნეტავი ერთი შენაო. გიორგი გააოცა პაპის ეგეთმა სითამამემ, მაგრამ უცებ დამშვიდდა და გულიც გაიმაგრა.

... ჯერ ჯვრისმტვირთველი გამოიკვეთა თაღის სიშავიდან. ფრთხილად ჩამოჰქონდა ვერცხლით ნაჭედი ძელი — ცხოველი. და როცა მეფეთ მეფე თამარ გამოჩნდა მუქ, შინდისფერ მოსასხამში, ერთბაშად იგრიალა ვარძიის მისადგომებთან თავმოყრილმა ლაშქარმა. მყისვე დააბრუნა მქუხარე ექო კლდეში გამოკვეთილმა ქალაქ-სასახლემ და ხეობა შეატორტმანა გაბმულმა გუგუნმა.

ოდნავ, სულ ოდნავ ჩამორჩებოდნენ თამარს მეფე დავით და ტახტის მემკვიდრე, თერთმეტი წლის ლაშა, თუმც მცირეწლოვანი, მაგრამ მამასავით ტანადი და ბეჭბრტყელი. ოდნავ დაცილებით მოვერცხლილ საზეიმო იარაღში ჩამჯდარი მძიმედ მოაბოტებდა ზაქარია ამირსპასალარი, მის უკან სარდლები შალვა და ივანე ახალციხელები, ბასილი ეზოსმოძღვარი და სხვა დიდებულნი, ისინიც საალლუმოდ აღჭურვილნი.

თამარის და მისი მხლებლების მოახლოებისას მუხლი მოიყარეს დროშებთან მდგარმა ერისთავებმა და მხარგრძელის მიერ შერჩეულმა მეომრებმა. მყისვე შენიშნა გიორგიმ, რომ მეფეთ მეფე სრულებითაც არ გავდა თავის გამოსახულებას ტაძრების ფრესკებზე. ოდნავ, სულ ოდნავ ჩაცვენილ, ფერმკრთალ ლაწვებზე ცრემლი სდიოდა სევდით სავსე დიდრონ თვალთაგან, და ჩვეულებრივ ჭირთამთმენ ქართველ დედას უფრო მოაგონებდა ადრე დაობლებულ გიორგის ორმოცდაორი წლის თამარ, ვიდრე სრულიად საქართველოს განმგებელსა და პატრონს. მუხლმოყრილი გიორგის წინ შეჩერდა მეფეთ მეფე თავისი ამალით, წამოდგომა ბრძანა და წყნარად უთხრა: დამილოცნიხარ, შვილო. შავს ნუ ჩააცმევ დედაშენს, ისე მოიხადე ვალი სამშობლოს წინაშე, შვილო.

— შამქორთან ისახელა თავი, მეფეთ მეფეო, — თქვა ამირსპასალარმა, — მტკიცე მარჯვენა აქვს (ამ სიტყვების წარმოთქმისას დაბეჟილი მკერდი შეარხია ზაქარიამ) და კიდევ უფრო მტკიცე გული. მისი გუნდი გაუხსნის მეფე დავითს გზას რუმის სულთანის მოსაშთობად.

როცა თამარ შებრუნდა ვარძიისაკენ, კვლავ იგრიალა ლაშქარმა მისი სადიდებელი.

ნაშუადღევს ქართველი მხედრობა დაიძრა ბასიანისკენ.

ლაშქარს თვით მეფეთ მეფე თამარ მიუძღოდა „შიშველითა ფერხითა და ცრემლითა ასოვლებდა ღაწვთა თვისთა" — დაწერს თამარის ისტორიკოსი. მას ჩამოქვეითებულნი მიჰყვებოდნენ მეფე დავით, ზაქარია ამირსპასალარი, შალვა და ივანე ახალციხელები, ბასილი ეზოსმოძღვარი, ჯვრისმტვირთველი, შემდეგ კი ასეულებად დაყოფილი გუნდები საერისთავო დროშებით, მესხნი, ამერელნი, ჰერ-კახნი, იმერელნი და აფხაზნი, მთიელები, აგრეთვე ჩერქეზები, ოსები და ახალნი ყივჩაღნი.

სულ ბოლოს, ჭაკ ცხენზე ამხედრებული ორ ქართველ მეომარს შუა მიჩაქჩაკებდა რუქნ ად-დინის მიერ ჰასანყალადან გამოგზავნილი ელჩი, რომელმაც რუმის სულთანის თავხედური წერილი გადასცა მეფეთ მეფეს და კიდევ უფრო უმსგავსო ზეპირი დანაბარები. მაშინ ვერ მოზომა თავისი მკლავის ძალა ზაქარიამ და ხელუკულმა ისე შემოჰკრა ელჩს ყბაში, რომ სელჩუკმა გონი დაჰკარგა და კარის მკურნალს მოუხდა მისი სააქაოს გამობრუნება, თუმცა ასე დაუნდობლად გასილაქებულ ელჩს მეტყველების უნარის დაკარგვის გარდა ტვინიც შეერყა, ვინაიდან, როცა თამარის ნაბოძები უძვირფასესი ხალათი ვიწრო მხრებზე წამოასხეს, მადლობის ნაცვლად რაღაც გაურკვეველი წაილუღლუღა, მერე იმწამსვე ლოყაზე იტაცა ხელი და კვლავ წაუვიდა გული, რამაც დიდად გაამხიარულა უფლისწული ლაშა, რომლის ხითხითი მეფე დავითისა და სარდლების გოლიათურმა ხარხარმა დაჰფარა.

გონსმოსულ ელჩს თამარის პასუხი პირადად მხარგრძელმა ჩააბარა, თან დააყოლა, ბასიანს რომ მივუახლოვდებით, მაშინ გაგიშვებთო, მაგრამ თუ გაქცევას დააპირებ, აღარც ყბა შეგრჩება და აღარც თავიო.

მეფე დავითის ჩანაფიქრით, რაც მომავალი ბრძოლის გეგმას საფუძვლად დაედო, მესხებისაგან შემდგარი 40-ათასიანი ლაშქარი — მთელი ქართული მხედრობის შუაგული — ამირსპასალარისა და ახალციხელების სარდლობით უთენია მოულოდნელად ეკვეთებოდა ბასიანის ზეგანის ბუნებრივ სიმაგრეებს და შეავიწროებდა სელჩუკთა მეწინავე რა-

795 წლისთავი

ბასიანთან...

ბრძოლაში მოესპო სულთანი. „ერთ კერძო აფხაზნი და იმერელნი, ერთ კერძო ამერელნი, ჰერნ-კახნი". — დასწერს თამარის ჟამთაღმწერელი. ამ გეგმის შესრულებას სრული გამარჯვება უნდა მოეტანა ქართული მხედრობისათვის. დავით მეფის ეს ჩანაფიქრი სარდლებმა ერთხმად მოიწონეს და თამარმაც დასტური მისცა.

... ყარსამდე ერთი დღის სავალზე, მცირე შემაღლების წინ შეჩერდა ქართული ლაშქარი. ჯვრისმტვირთველმა ბექობზე აიტანა ძელი — ცხოველი. ისევ იმ შინდისფერ მოსასხამში ჯვრის გვერდით დადგა მეფეთ მეფე და მარჯვენა ხელი ძელი — ცხოველს შეახო. იგივე გააკეთა ბასილი ეზოსმოძღვარმა.

ერთი მეორის მიყოლებით ამოდიოდნენ მაღლობზე სარდლები და ერისთავები, ჯვარს ემთხვეოდნენ და თამარის წინ მუხლმოდრეკილნი ფიცს სდებდნენ, რომ თავს გასწირავდნენ სამშობლოსათვის და მეფეთ-მეფისათვის.

... და მთელ საქართველოს დედად აღიქვა გიორგიმ ძელი-ცხოველთან ქანდაკებასავით გარინდული თამარ.

სულ ბოლოს ძელი-ცხოველს დავით მეფე ემთხვია და მანაც ერთგულების ფიცი მისცა თავის დიდ თანამეცხედრეს. „მომინდვია შენთვის, მეფე დავით, ჩემი მხედრობა და საქრისტიანოს ბურჯი — მამული ჩვენი. დამილოცნიხარ" — უთხრა თამარმა დავითს, მერე დაეყრდნო ქმრის მარჯვენას და მაღლობიდან ფრთხილად დაეშვა. მეფეთ მეფე ბრუნდებოდა უფლისწულთან ვარძიაში, რომ იქ დალოდებოდა ქართული ლაშქრის გამარჯვების სასურველ ცნობას.

მიეფარა თუ არა თვალთაგან თამარ თავისი ამალითურთ, მყისვე მოახტა თავის ყორნის ფრთასავით შავ, მოლაპლაპე ულაყს დავით სოსლანი. აბაგუნდა სისხლის ამაჩქროლებელი დოლი, აჭყვიტინდა ზურნა და მოუთმენელი, ბრძოლას მოწყურებული გუნდები ხალისით დაიძრნენ ბასიანისკენ.

ერთი ალაჯა[7] თუ აკლდა ბასიანის ზეგანს, როცა შებინდებისას დავით მეფის ბრძანებით სარდლებმა გამეჩხერებულ მუხრანში შეაჩერეს ლაშქარი და იქ დაბანაკდნენ.

კიდევ ერთხელ დააზუსტეს ბრძოლის გეგმა სარდლებმა და ერისთავებმა, მერე ილოცეს კარავ-ეკლესიაში, ერთმანეთს გადაეხვივნენ და გუნდების საიერიშოდ გამწესებას შეუდგნენ.

უთენია იმავე ჭაკზე ამხედრებული, მეფეთ-მეფის ნაბოძებ ხალათში გამოწყობილი რუქნ ად-დინის ყბამოქცეული ელჩი თამარის საპასუხო წერილით ჩორთით გაემართა ბასიანისკენ.

მას ფეხდაფეხ გაჰყვა მესხების ორმოზმებს, რომელთა სათავეში, მსტოვართა ცნობით, იდგნენ მთელს აღმოსავლეთში განთქმული სარდლები და მეომრები — სულთანის ღვიძლი ძმა — მუღის ად-დინი თოღრულ-შაჰი აბულისტანელი და რუქნ ად-დინის სიძე — ფახრ ად-დინი ბაჰრამ-შაჰი, ერზინჯანის მფლობელი. მსტოვრებმა ისიც დააზუსტეს, რომ ბასიანის უკანა, ხელოვნურად გამაგრებულ ზღუდეებს მრავალრიცხოვანი, კარგად შეიარაღებული მეომრები იცავდნენ ბირიტისა და შამის ამირების მეთაურობით.

თვით რუქნ ად-დინი თავისი მთავარბანაკით ბასიანის შუაგულში იმყოფებოდა, — მსტოვრებმა კარგად გაარჩიეს ფართე, ჭრელი საჩრდილობელი, კარვიდან გამოსვლისას სულთანს რომ იფარავდა მზის მწველი სხივებისაგან, და მისი საოცრად მაღალი თეთრი ულაყი.

დავით მეფის ვარაუდით, მეწინავე რაზმების შევიწროებით შეშფოთებული რუქნ ად-დინი ძირითად ძალებს მესხების წინააღმდეგ გადმოისროდა, რომ სიმრავლით დაეთრგუნა თამარის მხედრობა. მაშინ ამირსპასალარი დატოვებდა ბრძოლის შუაგულს და ჰერ-კახთა ოცდაათიათასიანი ლაშქრით შეუტევდა სელჩუკთა მარჯვენა ფრთას, ხოლო მეფე დავით იმერლებითა და აფხაზებით მარცხენა ფრთიდან შეიჭრებოდა რუქნ ად-დინის ბანაკში და შეეცდებოდა ორთაციათასიანი ლაშქარი ამირსპასალარის, შალვა და ივანე ახალციხელების მეთაურობით.

და როცა პირისპირ აღმოჩნდნენ ქართველები რუქნ ად-დინის მეწინავე რაზმების კარვებთან, მხოლოდ მაშინ გაარკვია იქაურობა თავზარდაცემული გუშაგის კივილმა „მოვიდა სპა ურიცხვი ქაფარი!" ბევრმა სელჩუკმა იარაღის ასხმაც ვერ მოასწრო, ისე დაეცა მახვილით განგმირული.

ზაქარია მუღის ად-დინის კარვისაკენ მიარღვევდა გზას, შალვა და ივანე — ფახრ ად-დინის ადგილსამყოფელისაკენ. მოშორებით რუქნ ად-დინის ჭრელი საჩრდილობელი შეირხა — რუმი სულთანმა ხელში აილო ბრძოლის სადავეები.

ფრთხილი მუღის ად-დინი მოერიდა ამირსპასალართან პირისპირ შებმას, სწრაფად დაიხია კარგა შეთხელებული მეწინავე რაზმებით; ფახრ ად-დინთან ერთად შიკრიკის მეშვეობით სულთანს შეუთანხმდა — როგორც კი ამოივაკებენ, მთელი ძალებით შეუტიოთო მცირერიცხოვან ქართულ ლაშქარს და იქნებ ალყაშიც მოვაქციოთო. რუქნ ად-დინმა დასტური მისცა.

ბასიანის ოღრო-ჩოღრო აღმართების ბრძოლით გადალახვა ცხენდაცხენ გაჭირდა. პირველი ზაქარია ჩამოქვეითდა, მას სარდლებმა და ერისთავებმა მიჰბაძეს, შემდეგ კი მთელმა ლაშქარმა. ამან გააოცა სელჩუკები, რომლებიც საბოლოოდ გამოერკვნენ და მიუხედავად უკანდახევისა, თავგამოდებით იბრძოდნენ ზეგანის ყოველი გოჯისათვის.

ზევით, პლატოზე კი რუქნ ად-დინმა ორასი ათასზე მეტ მეომარს მოუყარა თავი.

როგორც კი ამოივაკეს ქვეითად მებრძოლმა მესხებმა, შეტევაზე გადავიდა გოლიათური აღნაგობის მუღის ად-დინი ურიცხვი ლაშქრით. ერთი კი შენიშნა სულთანის ძმამ, — არც მისთვის კარგად ნაცნობი ამირსპასალარი ჩანდა სადმე, არც სამეფო ალამი, რომელიც მიანიშნებდა დავით მეფის ადგილსამყოფელს. მაგრამ ფიქრის დრო არ იყო, — მუღის ად-დინისა და ფახრ ად-დინის მეომრებმა გახელებით შეუტიეს საკმაოდ მოღლილ მესხებს. რიცხობრივი განსხვავება იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ რის ვაივაგლახით შესძლეს სარდლებმა და ერისთავებმა ქართული ლაშქრის შეჩერება და ბრძოლაში ჩაბმა, თორემ „კნინღა სივლტოლად მოიდრიკნეს" (ლამის გაიქცნენ), — დასწერს მოგვიანებით თამარის ჟამთაღმწერელი.

მარჯვნივ გაიხედა სამგზის დაჭრილმა შალვა ახალციხელმა და დაინახა ის, რასაც ასეთი სასოებით ელოდა, — ვეება წაბლისფერ იაბოზე ამხედრებული, ჰერკახთა სამკუთხედად შეკრული გუნდებით მოჰქროდა ზაქარია ამირსპასალარი თავზევით აღმართული ფართე მახვილით.

სულთანმა დაინახა თუ არა ქართველების ახალი ლაშქარი, ფახრ ად-დინს უბრძანა შამის ამირასთან ერთად მოეგერიებინა ეს შეტევა.

— ამირსპასალართან პირისპირ შებმას მოერიდე! — დაარიგა გამოცდილმა მუღის ად-დინმა ერზინჯანის მფლობელი, მაგრამ სულთანის სიძე, რომელსაც მხოლოდ ოცდაოთხი წელი შეუსრულდა, სულსწრაფი აღმოჩნდა და ჯიქურ შეუტია მხარგრძელს. მახვილის ერთი ჩამოქნევა დასჭირდა ზაქარიას და ფახრ ად-დინი თავის ცხენიანად მიწას დაენარცხა.

შამის ამირას დაუწყო თვალებით ძებნა ამირსპასალარმა, მაგრამ დააგვიანდა, — ტანმორჩილ საღირ მახატლის ძეს, ღმერთმა უწყის, რა მანქანებით, აწონილი და კბილებამდე იარაღში ჩამჯდარი ამირა ცხენიდან გადმოეგდო და დინჯად, საქმიანი იერით კოჭავდა. უნებლიედ გაეცინა მხარგრძელს, მერე კვლავ აღმართა მახვილი და თავისი მრისხანე ცოცხალი სამკუთხედით სოლივით შეიჭრა სელჩუკთა შუაგულში.

კარგა ხანი დასჭირდა რუქნ ად-დინს იმისათვის, რომ შემოებრუნებინა თავისი მხედრობის საკმაოდ დიდი ნაწილი ამირსპასალარის გუნდებისაკენ და როცა ეს ბოლოს და ბოლოს მოახერხა, ახლა მარცხენა ფრთიდან გაისმა სისხლის გამყინავი ყიუინა, — იმერლებისა და აფხაზების ოცდაათიათასიანი ლაშქარი დავით მეფის მეთაურობით გაიჭრა სულთანის მთავარი ბანაკისაკენ. მესხებიც წელში გაიმართნენ, ცხენებს მოახტნენ და ახალი ძალით შეუტიეს დაბნეულ სელჩუკებს.

მუღის ად-დინმა, რომელმაც ახლა უკვე გარკვევით დაინახა სამეფო ალამი, რის ვაი-ვაგლახით მოახერხა მეომართა გადანაცვლება მარცხენა ფრთაზე, თანაც ძმას ურჩია, — ბრძოლის ველს განერიდეო.

დავითის გარშემო წრე შეკრეს გიორგიმ და ამირსპასალარის მიერ შერჩეულმა სხვა მეომრებმა. გეგონება ხომალდი მიარღვევსო ზღვის ურჩ ტალღებს, ისე უახლოვდებოდა ეს ფოლადის სალტე სულთანის ჭრელ საჩრდილობელს.

რუქნ ად-დინმა არ შეისმინა ძმის შეგონება, არ მიატოვა ბრძოლის ველი, თუმცა თითქმის დარწმუნდა, რომ სამი მხრიდან შეტევას მისი მხედრობა ალბათ ვერ გაუძლებს და სადაცაა თავად „სივლტოლად მოიდრიკება". ამას ისიც დაერთო, რომ ცხენს იმ მსახურისას, საჩრდილობელი რომ ეჭირა, ფეხი ნადირის სოროში ჩაუვარდა და წაიქცა მსახურიან საჩრდილობლიანად. სელჩუკებმა საჩრდილობლის დამხობა რომ დაინახეს, იფიქრეს, სულთანის თავს უბედურება დატრიალდაო და შედრკნენ.

მუღის ად-დინის მეომრებმა არაერთგზის სცადეს, მაგრამ ვერ გაარღვიეს დავითის გარშემო შეკრული წრე, რომელიც ულმობელი სისწრაფით უახლოვდებოდა რუქნ ად-დინის ადგილსამყოფელს. მაშინ სულთანის პირადი დაცვა — ბრძოლებში გამობრძმედილი ორმოცდაათამდე გოლიათი მუღის ად-დინის მეთაურობით გამეტებით ეკვეთა დავით მეფის რაზმს და როგორც იქნა, შეაჩერა იგი. რუქნ ად-დინმა ოდნავ უკან დაიხია, მის თავზე ისევ აღიმართა საჩრდილობელი, რამაც კვლავ შეაგულიანა სელჩუკები.

ახლა ბირიტის ამირამ შეუტია ამირსპასალარის ლაშქარს მარჯვენა ფრთაზე, მაგრამ უშედეგოდ, — საღირამ ისიც გადმოაგდო ცხენიდან და ასევე დინჯად და საქმიანი იერით გაკოჭა. ბედმა გაუღიმა შამისა და ბირიტის ამირებს, — ტყვეობამ იხსნა ორივე სიკვდილისაგან. მერე თბილისსაც ნახავენ და მეფეთ მეფის პატიებასაც ეღირსებიან.

საზარელი ჩეხვა გაიმართა მარცხენა ფრთაზე, განსაკუთრებით სამეფო ალამის გარშემო. ზაქარიას ნაბოძები ფართო მახვილით მუღის ად-დინისაკენ იკაფავდა გზას გიორგი. აბულისტანის მფლობელმა შენიშნა საკურტაკე ჯაჭვში ჩამჯდარი მისკენ დაძრული ახოვანი მხედარი, ერთი მეორეზე რომ აწყობდა სულთანის დაცვის მეომრებს დავით მეფის შავი, ყორნის ფრთასავით მოლაპლაპე ულაყის ფლოქვებთან. შუბი სტყორცნა მუღის ად-დინმა გიორგის. თავის ჩერქეზული ულაყის გაქაფულ კისერს გაეკრა პაპა ღვთისოს შეგირდი, შუბი აიცდინა და ზედ სულთანის ძმაზე მიაგდო ცხენი. მასთან ხმალდახმალ შებმას თავი აარიდა მუღის ად-დინმა, სულთანის პირადი დაცვის მეომრებს ამოეფარა.

მთიელებთან ერთად მაინც მოახერხა გიორგიმ რუქნ ად-დინის ადგილსამყოფლისკენ დერეფნის გაჭრა, და თუმც ძვირად დაუჯდათ ეს მხარგრძელის მიერ შერჩეულ რაინდებს, მაგრამ თავისი მაინც გააკეთეს, — დავით მეფე სულთანის პირისპირ აღმოჩნდა. გაქცევა ითაკილა ჩია, მაგრამ უშიშარმა რუქნ ად-დინმა, დეზი ჰკრა თავის „მთასავით მაღალ" ცხენს და პირდაპირ შეუტია მეფეს, ოდნავ უგანა ჯვაროსანთა ლაშქრობისას ორთაბრძოლებში დაოსტატებულმა სოსლანმა სულთანის აქლემის ოდენა ულაყს, და როცა რუქნ ად-დინმა მარცხენა მხრიდან ჩაუქროლა, მძლავრად მოუქნია მახვილი. ცხენის სიმაღლემ იხსნა რუმის სულთანი, — მხოლოდღა ბარძაყი ღრმად დაუსერა მას დავით მეფემ. მასთან მეორედ შებმა აღარ ისურვა ტკივილით დაოსებულმა რუქნ ად-დინმა და მიატოვა ბრძოლის ველი. ამის შემხედვარე სელჩუკებმაც იწყეს უკანდახევა და ბოლოს გაქცევაც იკადრეს ბასიანის ზეგანიდან. უმოწყალოდ ჩეხავდნენ რუქნ ად-დინის თავზარდაცემულ მხედრობას ქართველები. ბასიანის მაღლობი და დასავლეთის კალთა მოფენილი იყო სელჩუკთა გვამებით.

შუბი სტყორცნა გიორგიმ მუღის ად-დინს, გამეტებით რომ ურტყამდა მათრახს თავის ცხენს, და ძირს გადმოაგდო. წამოდგომა ვერ მოასწრო სულთანის ძმამ, — დავით მეფის გუნდებმა ცხენებით გადათელეს მთელ აღმოსავლეთში განთქმული სარდალი და მეომარი მუღის ად-დინი თოღრულ-შაჰი აბულისტანელი...

უკან მოიხედა გიორგიმ, — იმ ოცდახუთი მეომრისაგან, ამირსპასალარმა რომ შეარჩია, არავინ ჩანდა, — არც მთიელი, არც მესხი, არც ყივჩაღი...

თავბრუსხვევა იგრძნო გიორგიმ და ცხენი შეაჩერა. შორს ბუნდოვნად ჩანდნენ სელჩუკებს დადევნებული მხედრები. ეტყობა ვერ შენიშნა, რომ მისი ჩერქეზული ულაყი ჭენებიდან კარგა ხანია ჩორთზე გადასულიყო, მერე კი სულაც ნაბიჯით სვლაზე, რახან მხედარი აღარ აჩქარებდა.

მძიმედ ჩამოქვეითდა გიორგი, ზაქარიას ნაბოძები ზუჩიანი ჩაჩქანი მოიხადა და მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ დაჭრილია და ძალა ეცლება. ერთხანს მიეყრდნო თავის ჩერქეზულ ულაყს, მერე პირაღმა წამოწვა გათელილ მინდვრის ყვავილებზე, ღრმად შეისუნთქა მათი სურნელი და თვალები მილულა.

ჯერ პაპა ღვთისო მოელანდა, ჩვეულებრივ მღიმარი და ხალისიანი, წამოდგომა უბრძანა შვილიშვილს და თავისი დაკოურილი ხელი გაუწოდა. მერე ზაქარია ამირსპასალარმა ჩაიკრა გულში და პატიება სთხოვა. პირველად ნახა გიორგიმ ცრემლი საღირ მახატლის ძის თვალებზე...

— აკი გთხოვე, შავს ნუ ჩააცვამ დედაშენს, შვილო, ისე მოიხადე ვალი სამშობლოს წინაშე, — უთხრა შავოსანმა ქალმა და პირჯვარი გადასწერა.

— ეს ხომ მეფეთ მეფეა, — გაიელვა გიორგის დაბინდულ გონებაში და მძიმედ წამოსწია თავი, მიმოიხედა. დაჭრილ-დახოცილ მეომრებს დაეფარათ ბასიანის ზეგანი. შორს, ძალიან შორს კახური სიმღერა ისმოდა, ალბათ ესეც მეჩვენება, — გაიფიქრა გიორგიმ. მერე წამოდგომა დააპირა, მაგრამ კვლავ ჩაიკეცა, სისხლისგან დაწრეტილი.

მეორედ გონს მოსულმა ისევ წამოსწია თავი და დაჭრილ-დახოცილი მეომრებით მოფენილი მაღლობის ნაცვლად ზღვასავით უკიდეგანო, მზით გავარვარებული უდაბნო დაინახა, სწორედ ისეთი, აღმოსავლეთში ლაშქრობის ქართველ მონაწილეთაგან რომ გაეგონა.

გაკვირვება ვერ მოასწრო გიორგიმ.

... ფეხშიშველი მიდიოდა თამარ, ოქროსფერ, გამჭვირვალე მტვერში გახვეული. ცხელ ქვიშაზე ტოვებდა პაწაწინა ნაფეხურებს. არც ახლა ჰგავდა ალავერდის ტაძრის კედელზე დახატულ პირსავსე გვირგვინოსან ქალს. როგორც იქ, ვარძიასთან, ცრემლი სდიოდა გაფითრებულ, ოდნავ, სულ ოდნავ ჩაცვენილ ლაწვებზე...

დევი სტურუა.

1. „წვევის წიგნი" — ფეოდალურ საქართველოში მეფის დარბაზის მიერ დადგენილი წერილობითი განკარგულება ლაშქრის განსაზღვრულ ადგილზე შეკრების თაობაზე.
2. კამბეჩანი — ქიზიყი.
3. ტაძრეული ლაშქარი — მეფის პირადი გვარდია.
4. ბასიანი — არზრუმიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით დაახლოებით 50 კილომეტრი (ამჟამად თურქეთის ტერიტორია).
5. განახვა — ლაშქრობის წინ ჯარის მზადყოფნის შემოწმება, მწყობრის წინ გავლა.
6. ახალნი ყივჩაღნი — თამარის დროინდელი რეგულარული ჯარი.
7. ალაჯა — დაახლოებით 7 კილომეტრი.

საქართველოს რესპუბლიკა
№276-277. კვირა-ორშაბათი, 25-26 ოქტომბერი. 1998 წელი.

ეკონომიკური იდეები — ნაფტალინიდან

რუსეთში გამართულ მრეწველთა და მეწარმეთა კავშირის ყრილობაზე მტვრიანი სკივრებიდან ამოიღეს არა მარტო სოციალისტური ეპოქის იდეები, არამედ თვით ლექსიკაც, წერს „იზვესტია“. კავშირის პრეზიდენტმა არკადი ვოლსკიმ სახელმწიფოს მოუწოდა, ჩაერიოს საბაზრო ეკონომიკაში სწორედ „ბაზრის შენარჩუნების ინტერესებისათვის“. ჩარევა უნდა გამოიხატოს ვალების პატიებით (ცივილიზებულად ამას რესტრუქტურიზაცია ეწოდება) და საკვანძო დარგების საბიუჯეტო მხარდაჭერით. როდესაც ყრილობაზე გამოსვლისას რუსეთის პრემიერმა პრიმაკოვმა განაცხადა: პოზიცია — „ბაზარი ყველაფერს გადაწყვეტს“ — არ გამართლდაო, დარბაზში ოვაციამ იქუხა. შეკრებილთა უმრავლესობამ ეს სიტყვები აშკარად აღიქვა ისე, რომ მოდის სახელმწიფოს სასწრაფო დახმარება მუქთა ფულის, დამცავი საიმპორტო ბაჟისა და ვალების პატიების სახით. საქმე ის არის, რა ეკონომიკას მივიღებთ შედეგად ყოველივე აქედან, დასძენს გაზეთი.

სურათზე: ნიკოლოზ რიჟკოვი და იური მასლიუკოვი საბჭოთა ეკონომიკის პრობლემებს განიხილავენ.

მოკავშირეებს მეტი ხვდებათ

რუსეთის კრიზისმა ყველაზე მეტად უახლოესი მოკავშირე — ბელორუსია შეაზანზარა. არ არის პროდუქტი, არ არის ფული, კრედიტებს არ იძლევიან... ქვეყნის ხელისუფალნი იძულებული გახდნენ, გაეხსენებინათ ძველი გამოცდილება — სურსათის ნორმირებული გაცემა. პრეზიდენტის ბრძანებულებით ახლა ყოველ მცხოვრებს აქვს უფლება, იყიდოს ორი კილოგრამი პური, სამი კილოგრამი ფქვილი, ორიც — ხორცი და 400 გრ კარაქი. რას იზამ, სულ არარაობას, სჯობია.

ნუ ენდობით სონა ბაბოს ბალახებს!

წამლების ნაკლებობისა და მათი ღირებულების მკვეთრი ზრდის გამო ეკონომიკური ბლოკადის ალყაში მოქცეული ერაყელები „იაფ“ ფიტოთერაპიაზე გადავიდნენ. შუამდინარეთში ბალახებით მკურნალობის ისტორიას ათასწლეულების სიღრმეში აქვს გადგმული ფესვი. ხალხური მედიცინის ბევრი თანამედროვე რეცეპტი ასურეთის მეფეთა დროიდან მოდის. მაგალითად, ჭინჭრის ხმარება კუჭის ტკივილისა და თირკმლის კენჭების წინააღმდეგ, ძირტკბილასი — ამოსახველებლად, გვირილის ნაყენისა — ანთებითი პროცესებისა და სურდოს სამკურნალოდ.

ბაღდადში უკვე ორმოცდაათზე მეტი ფიტოთერაპიული აფთიაქი გაიხსნა. ბუნებრივია, გაჩნდნენ შარლატანებიც, რომლებიც ყოვლად უსარგებლო, ზოგჯერ კი ჯანმრთელობისათვის მავნე ბალახის ნაზავებს ჰყიდიან. ვინაიდან სქესობრივი პოტენციის მასტიმულირებელ ამერიკულ პრეპარატ „ვიაგრაზე“ ერაყელთა უმრავლესობას არ მიუწვდება ხელი, ადგილობრივი ფიტოთერაპევტები ურჩევენ „შინაურ“ საშუალებას, რომელიც ბოლოკის თესლისაგან მზადდება. ნაყენზე ტაციაობაა, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ მისი ეფექტი უფრო თვითშეგონებით არის განპირობებული.

ბალახით მკურნალობის უმართავი განვითარების გამო შეშფოთებული ერაყის მთავრობა იძულებული გახდა სასწრაფოდ შეექმნა ჯანდაცვის სამინისტროში სპეციალური განყოფილება, რომელიც კონტროლს გაუწევს ფიტოთერაპევტული აფთიაქების მუშაობას და ქუჩის ჰაქიმ-ექიმბაშთა საეჭვო გამოგონებებს.



რადიო თავისუფლება

ამშ მხარს უჭერს ტრანსკასპიის ნავთობ და გაზსადენების მშენებლობის იდეას, განაცხადა აშხაბადში გამართულ პრესკონფერენციაზე კლინტონის ადმინისტრაციის კოორდინატორმა იან კალიცკიმ და გამოთქვა რწმენა, რომ ბაქოსა და თურქეთის ტერმინალებს შორის მილსადენი უეჭველად აშენდება, შეიძლება მხოლოდ გადაიწიოს მისი რეალიზაციის ვადამ. რაც შეეხება ირანის მარშრუტს, ვაშინგტონი არ აპირებს შეცვალოს თავისი ნეგატიური პოზიცია ამ პროექტთან დაკავშირებით და გამოთქვამს ოპტიმიზს, რომ საქართველოში მომხდარი ამბები არავითარ გავლენას არ მოახდენს ტრანსკასპიის პროექტების რეალიზაციაზე.

საზავო შეთანხმება ახლო აღმოსავლეთის შესახებ მიღწეულია, — ეს ოფიციალურად გამოაცხადა აშშ პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა. ამავე დღეს ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ნეთანიაჰუმ და პალესტინელთა ავტონომიის ლიდერმა არაფატმა, რომლებიც 9 დღის მანძილზე ეწეოდნენ მოლაპარაკებას მერილენდში, თეთრ სახლში მოაწერეს ხელი შეთანხმებას. გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა ნეთანიაჰუსა და არაფატისათვის გაგზავნილ მილოცვაში საგანგებოდ აღნიშნა პრეზიდენტ კლინტონისა და იორდანიის მეფის ჰუსეინის წვლილი, რომლებმაც ყველაფერი იღონეს მოლაპარაკების წარმატების დასაგვირგვინებლად.

რუსეთსა და დასავლეთს შორის სახელმწიფო მოკლევადიან ობლიგაციებთან დაკავშირებული ვალის დაფარვის შესახებ ლონდონში 10 დღეს მიმდინარე მოლაპარაკების მეორე რაუნდი უშედეგოდ დამთავრდა. დასავლეთმა უაღრესად სერიოზული და მკაცრი ფორმით წაუყენა პრეტენზიები რუსეთს. მოკლევადიანი რუსული სახელმწიფო ობლიგაციების მფლობელი ბანკები მოითხოვენ, დაუყოვნებლივ დაიწყოს რუსეთის კომერციული ბანკების ბანკროტობის პროცედურა და მათი სახსრები გადაეცეს დასავლეთს ვალების ანგარიშში.

კვირას ჩეჩნეთში იწყება ფართომასშტაბიანი ოპერაცია დანაშაულებრივ დაჯგუფებათა ლიკვიდაციისათვის, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის ყველა ძალოვანი სტრუქტურა, განაცხადა შარიათული სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა არშაევმა.

კოსოვოში სამი დღის შედარებითი სიმშვიდის შემდეგ კვლავ განახლდა გააფთრებული საარტილერიო სროლა. დასავლელ მეთვალყურეთა ინფორმაციით, ცეცხლი პირველებმა გახსნეს ალბანელმა ამბოხებულებმა, რომლებიც ცდილობენ, თავიანთ კონტროლს დაუმორჩილონ რაიონები, საიდანაც სერბთა ჯარები გადიან. ხოლო კოსოვოელ ალბანელთა ლიდერმა რუგოვამ იქით დააბრალა ბელგრადს სამშვიდობო მორიგებათა საბოტაჟი.

მოლდავეთის, უკრაინისა და რუმინეთის პრეზიდენტებმა მოუწოდეს რუსეთს, გაიყვანოს ჯარები დნესტრისპირეთიდან. პრეზიდენტთა კიშინიოვის შეხვედრაზე მიღებულ რეზოლუციაში გამოთქმულია შეშფოთება დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარებაში პროგრესის არარსებობის გამო. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საპასუხო განცხადებაში ხაზი გაუსვა, რომ 1994 წლის შეთანხმების მიხედვით, რუსეთის ჯარების გაყვანა უშუალოდ არის დამოკიდებული დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარებასა და რეგიონის სტატუსის გადაწყვეტაზე.

69 ქურთი მეამბოხე მოკლეს უკანასკნელი რამდენიმე დღის მანძილზე თურქეთის აღმოსავლეთში, იუწყებიან თურქეთის ხელისუფალნი. ქვეყნის ჯარების დანაკარგმა შეადგინა 10 კაცი. მას შემდეგ, რაც 14 წლის წინათ ქურთების მუშათა პარტიამ დაიწყო შეიარაღებული ბრძოლა თურქეთის ტერიტორიაზე დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისათვის, უკვე ათიათასობით კაცი დაიღუპა.

სულ ცოტა, 25 ადამიანი, — მეტწილად, ქალები და ბავშვები, — დაიღუპა ინდოეთის ქერალის შტატში მომხდარი ავტობუსის კატასტროფის შედეგად. ისინი ცოცხლად დაიწვნენ ავტომობილის სალონში, როდესაც დიდი სიჩქარით მიმავალი მანქანა ტრანსფორმატორის ჯიხურს შეასკდა, გადატრიალდა და ცეცხლი წაეკიდა. ავტობუსში სამოცზე მეტი კაცი იყო, მათგან ნახევარი გადარჩა, მაგრამ ყველანი სამძიმოდ არიან დამწვრები.

რა მოდაა მარსზე?

არსებობს ასეთი ეჭვი: ამერიკელებმა უკვე კარგა ხანია, დაამყარეს კონტაქტი უცხოპლანეტურ ცივილიზაციასთან. ისე სწრაფად ვითარდება შტატებში ფანტასტიკური ტექნოლოგიები, რომ მარტო აქაური გონება მათ არ ეყოფოდათ. ახლა ამერიკელებმა გადაწყვიტეს, ეს კონტაქტი მოდაში გაემჟღავნებინათ. პარიზის ბოლო ჩვენებაზე ამერიკელმა დიზაინერებმა გამოიტანეს უცხოპლანეტელთა მოდა და იგი სწორედ ისეთი აღმოჩნდა, როგორც ფანტასტიკოსები გვიხატავდნენ, ულსით დაწყებული და ბრედბერით დამთავრებული.



ამერიკელი იურისტის გაქანება — $ 350/სთ!

...გარდაცვლილ ადვოკატს სამოთხის კარში რიგგარეშეატარებენ. წმინდა პეტრე ასე განმარტავს განსაკუთრებული წყალობის მიზეზს: „თუ ვიმსჯელებთ საათობრივი ანაზღაურების თანხით, რომელიც თქვენი სიცოცხლის განმავლობაში მიგიღიათ, გამოდის, რომ 195 წლისა მაინც ბრძანდებით“... ეს მხოლოდ ერთ-ერთია იმ უამრავ ანეკდოტთაგან, რომლებიც გამოხატავენ ამერიკელების დამოკიდებულებას ვექილებისადმი, — თანაც, — ყველაზე უწყინარი. კაცმა რომ თქვას, ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან შეერთებული შტატების მცხოვრებთა თვალში „იურისტი იმით განსხვავდება წურბელისაგან, რომ ადამიანს სიკვდილის შემდეგაც კი არ სცილდება“. ყველას პირზე აკერია ადვოკატთა ჰონორარიც, რომელიც ვაშინგტონში საშუალოდ შეადგენს 350 დოლარს საათში.

არადა, თვით სამართალმცოდნეები ამტკიცებენ, რომ მათი მომსახურებისათვის ასეთი საფასური სულაც არ არის „უთოფო ყაჩაღობა“. ამის დასტურად იმიზეზებენ საკუთარ გვარიან ხარჯებს საქმის წარმოებისათვის. ადვოკატებთან საუბრის შემდეგ ჟურნალისტებმა შეადგინეს ყბადაღებული საათობრივი ანაზღაურების ხარჯთაღრიცხვა ასეთი იურიდიული ფორმით:

იურისტთა სარგოები — 77 დოლარი; მდივნებისა და სხვა ტექნიკური პერსონალის ხელფასი — 52,5 დოლარი; ადმინისტრატორთა და ბუღალტერთა ჯამაგირი — 7 დოლარი; იჯარის ქირა — 35 დოლარი; აუნაზღაურებელი სამუშაო დრო (მოცდენა) — 17,5 დოლარი; კომპიუტერები და სხვა ტექნიკა — 10,5 დოლარი; საწარმომადგენლო ხარჯები (საქმიანი სადილი, სპორტული შეჯიბრების, კულტურული ღონისძიების ბილეთები და სხვ.) — 10,5 დოლარი; იურიდიული ბიბლიოთეკის მომსახურება — 7 დოლარი; სხვადასხვა (საკანცელარიო საქონელი, მუშახელის ძებნისა და აყვანის ხარჯები და ა. შ.) — 17,5 დოლარი.

თუ მთელ თანხას შევაჯამებთ, ვნახავთ, რომ ჰონორარის სრულოდენობას აკლია 115 დოლარი და 50 ცენტი. ეს ნაწილი, ვაშინგტონელი იურისტების თქმით, შეადგენს ფირმის შემოსავალს, საიდანაც იგი, ბუნებრივია, ნამუსიანად იხდის გადასახადს.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით

უძღვებიან

არჩილ მანჯგალაძე, ლევან ბოჭორიშვილი.

ექსპრესი

საქართველოს რესპუბლიკა | ყოველკვირეული დამატება | №37 (44). 25-26 ოქტომბერი, 1998

პერსპექტივა

საქართველოს რკინიგზისკენ ღღეს მსოფლიოს ბევრი სახელმწიფოს ყურადღებაა მოქცეული. და იმიტომ კი არა, რომ ჩვენი „თვალები“ მოსწონთ. უბრალოდ, უმთავრესი დერეფნის წარმატება წარმოუდგენელია. მიუხედავად საავტომობილო მიმოსვლის მზარდი მნიშვნელობისა, რკინიგზა მაინც ინარჩუნებს პრიორიტეტს. თუნდაც იმიტომ, რომ ეკოლოგიურად სამყაროა, ეკონომიკური თვალსაზრისით – მომგებიანი.

საიმედო ტრანსპორტს — საიმედო ინფრასტრუქტურა

რკინიგზამ ღღეებიდან ღღეში მოთხოვნებს რომ უპასუხოს, ბევრი რამ სჭირდება, უპირველესად მოღერნიზაცია და ფინანსები. ბრძანებისა, რომ ბოლო პერიოდში ამერ-ამერში საკმაო სამუშაოები შესრულდა, რითაც გეორგიკაკლებიც გაიმარჯვა და გადამდგების სანერვე. ამგვარად რთულ და მნიშვნელოვან მონაკვეთებზე ინტენსიური შეპაობა მომდინარეობს ძველი კონსტრუქციების აღდგენისა თუ ახლების ასაშენებლად.

და მაინც, საკუთარი ძალებით ეს პროცესი, ალბათ, დაუსრულებლად გაჭიანურდება. დრო კი, როგორც ცნობილია, ოქროდ ფასობს – სადაც არის, შეა და ცენტრალური ბანკის ექსპერტებიც ინტენსიურად ღაიწყება გეორთოა ახალი ნაკადების მოღინება. და რაღგან ეს მარტო საქართველოს ინტერესებში არ შედის, ბევრი ქვეყანა ცდილობს „ხელს წამეკვეთას“.

ამ ღღეებში რკინიგზის ალხაღგენად ახალი პროექტის არსზე იყო საუბარი გრანსპორკის სამინისტროში. აქ სკეპტიკოსი იმყოფებოდა გასისის პროგრამისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ხელმძღვანელი ღამუშავებული პროექტის პეტორი ბაგონი ჯეკ პიკინსი, ევროპული რკინიგზების გაერთიანების ყოფილი პრეზიდენტი. აქვე ღაიქნი, რომ პროექტის მენეჯერის გამოცღილი ინჟინერი და კონსულგანტი ბრაიან ბრეკი. პროექტის განხორციელება ამა წლის იელისში ღაიწყო, სანოლო ანგარიში კი ღეკემბერში იქნება მზად. მას ახორციელებენ გამოცღილი საერთაშორისო საკონსულგაციო კომპანიები GEBB (ბრიგანეთი) და CLE Consult (ირლანღია).

რა მიზანს ისახავს პროექტი? ჯეკ პიკინსის განმარგებით, გათვალისწინებულია რკინიგზის საგზაო ეკონომიკასთან მისაღაგება და კომერციული საქმიანობის განვითარება, რამაც, თავის მხრივ, სახელმწიფო ხაზინის ხარჯები უნდა შეამციროს.

როგორც სგუმარმა ბრძანა, იღე გაეცნო საქართველოს საკონსულგაციო კომპანიების სარკინიგზო მოღელირების გამოცღილებას. ამიგომ, მისი აზრით, არსებითად უნდა შეიცვალოს მისადმი ღღემდე გაბაგებული ღამოკიღებული. პირველი ინვესგიციები წარმოჩრთება ინფრასგრუქგურის განვითარებისკენ, ვინაიღან უამისოდ რკინიგზის ნორმალური მუშაობა წარმოუღგენელია.

რეფორმის ქვაკუთხედი იქნება რკინიგზის კონკურენგუნარიანობის გაღიღება მის მარგეაში კერძო სექგორის აქგიური მონაწილეობით. ეს, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ მთელი სამუალებები გაიყიღოს. პრივაგიზება არამც და არამც არ უნდა შეეხოს ცენგრალურ მაგისგრალებს – ის სახელმწიფოს ხელში უნდა ღარჩეს.

ამჟამად მთელი ყურაღება მიმართულია საქართველოსა და აზერბაიჯანის რკინიგზათა რესგრუქგურიზაციისაკენ. გამოყოფილია 6 მილიონი ღოლარის ჯრანგი.

ბაგონ ჯეკ პიკინსს არც თავები თავი გამორჩენია: მართალია ძუნწად, მაგრამ სამაოდ ხელშესხებად გაგეცნო თავები წარსული საქმიანობა. ეს, ალბათ, იმიგომ, რომ წარმოგენილი პროექგის სამეღიცინოსათვის მეგი ღამაჯეგნილა მიეცა.

ყოველ შემთხვევაში, საქმე ღაწყებულია, ხოლო მისი გაგრძელება და წარმაგებით ღაგვირგვინება ღამოკიღებული არა მარგო უცხოელებე. ქართველ რკინიგზელებს გამოცღილება ღა მონღობა არ აკლიათ. ღანარჩენი – ენახოთ.

ელგუჯა ლეჯანიძე.

სჩრამა: ღვარცოფგამგარის მშენებლობა ხარაგაულ-მარელისის გაგსარნენგა. მუბუღლოგრე ანბორ მანჩხაშელი.

გურამ ქიმერიძის ფოგო.

რეგიონი

გზა იმედისა

10-12 ივლისიდან გზის მონაკვეთი თითქოს ღიღი არაფერია, მანქანა მას რამღენიმე წუთში გაღის, მაგრამ ახალქალაქი-ნინოწმინდის ამ პაგარა გზის მონაკვეთს სულ სხვა ღაგეთოგა ენიჭება. ყველაზე არ ჩაბრძანებული ქვეყნის პრეზიდენგი მის გახსნაზე. ყველაზე არ შეიყარა ამიერ-იმიერი მის ღასალაგად...

ამ გზის პაგარა მონაკვეთს ადგილობრივი მოსახლეობა „ეგვირთობის გზას“ ეძახის. მე მას „იმედის გზას“ ვღაპრქმევღი. მართლაც, ამღენი ნერვიული და შეუღლის შემხვედრი, ქვეყნის აღმშენებლობაში ღაღებული ეს პაგარა აგარა მომავლის იმედად ბრწყინავს და ახალი შენების ეგაპის ღასაწყების აუწყებს ქვეყანას. საქართველოში შენების, ქვეყნის გაძლიერების ეამი ღაღგა.

ჯჭირს ერს ღღეს, მათხოვრად აქვს მოსახლეობის ნაწილს ხელი გაწვღილი, ღაღუვებია ამ ქართველო ღა ჯიჯგნიან მის ნაწილებს ყვავ-ყორნები. ჯერ ბოლომღე არ ღამწყვარა მიღა მგრობა ღა შველი, მაგრამ ღვთის მაღლით, იმედი ცოცხლობს აღამიანი. იმედი ღა სიყვარულია ცხოვრების არსი...

იმედის თვალი უკვე ხედავს განახლებულ გზაგკეცილს წალკამე გამავალს. სომხეთიღან თბილისზე გაველით, ბაღუმისა ღა ფოთის გენ-მიქჭირან ღაგეთოგული მანქანები, ამიგომ ღა ევროპის ხიღან ქცევა ქვეყანა ჩვენი ღა მუმგაღმუქრულ კავკასიას პაგიეთ შეპყრეს მთელი მსოფლიო. იმედით ცოცხლობს აღამიანი, ღა ამ იმედის ხორცშესხმის ღასაწყისად ჯვეწევნება ეს პაგარა, სულ ათკილომგრიანი გზის ნაგლეჯი.

სამხეე-ჯავახეთში ერის რჩეულ შეილებთან ერთად პრეზიღენგის ჩამობრძანებამ ფრთები შეასხა აღგილობრივ მოსახლეობას, შემართება გაუთკეცა. ტკივილი შეუნელა და ძალღონე შემაგა. ღღი გარდაქმნები ელის რეგიონს. ვეყერა, რომ საქართველოს ეს ძარძვილი კუთხე აყვავეების ეამს ღააღწევს. აქ უმთავრესად ღღეს სიმხეე ხანლაგებენ, თუმცა აჭარიღან ჩასახლებულ ქართველთა რიცხეი ღღითი ღღე იზრღება. რუსი ღუხობორები წელში იმართებიან, ქიმთა სიღეით ჯაბხაენილი მათი მოძმენი უბრწყინვალ ეაყეებენ კერეებს. ეს მართლაც ბიბლიური ზხრე ძმობისა და შეგობრობის მიწად იქცევა. ბაჯაღლო ოქროს ხრულ ოვალით თუ შეხედა აღამიანმა, თუ არ იცის მან ოქროს ფასი, უბრალო ჯიროად მოეჩვენება. ზოეი ვერ ხედავს ამ ხმარის სიკეთეს, ან არ სურს მისი ამეეგარად ხილეა. ბეჩავებს ბოქმა უმღერეეს ეონებას ღა უბრმავებს მზერას. შეცოდებას ღირსი თუ არიან ასეთნი, ღმერთო, აუხილე მათ თვალები!

რამდენიმე ღღე ღაეყავით სამცხე-ჯავახეთში, ეთხილეი, რა ალმაცერესი ხელებოდა ხალხი ღა ჩაბრძანებულ პრეზიღენგს, ქვეყნის პირეელ პირს, რომლის გამორეა ყველგან იმედს ხორცშესხმის ღასაწყისს ნიშნავს. ზეიმი იყო ამ მხარეში და ამ ხაზეიმო შეხვედრებში ისახეობოდა და იკეეთებოდა ზეალისნიერი ღღე. ქრებოდა უნღობლება და მკკიღრებული ერთობა, ეერიცებოდა ბინდი და გზას უთმობდა რიგრიგს. გზა ხომ შენების ღასაწყისია...

თეიმურაზ ჟანტურიშეილი.

გვწერენ

გულს იმედი ჩაგვესახა, მაგრამ...

ჩვენი საზოგაღოგებრიობა ღღეს განსაკუთრებული ყურაღღებით აღევნებს თვალს საქართველოს მთაანეთში შექმნილ რთულ ეკონომიურ და სოციალურ-ეკონომიკურ სიგუაციას.

ეუნრაფს, მაგალითად, წეიმაან ამინღში უხატემოღ მოეღინება ღერი და ისეღა ცუღი გზა კიღევ ეურო გაეეალი ხღება. ახეა სოფელ ჭოორის მახლობლაღაც. ხაღე ღერეოი ტყის ჭრამ გამოწეეა. ასე რომ არ გაერძელეეს, ამ აღგილებში ტყეების გაჩეხეა სახრეოდ ენება გაჩერღეს.

„მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განეითარების შესახებ“ კანონპროექგსა ეულს იმედი ჩაეეესახა, ხაღაც II თავის 7 (1) მუხლში ნათქეამია: „ხის ჭრა ისეთ აღგილებში, ხაღაც არსებობს ეროზიის, მეწყერების, თოვლის, წვეთის საფრთხე, მკაცრ ღაცეას ექვემღებარება“.

ბოლო წლების მოვლენებმა კიღევ ეურო გააეარესა მთის სოციალურ-ეკონომიკური ეითარება. აქაურები ეღაებიან მიწის გაღახსნაღას ამერეულებს ღა ხაბაბიც აქეთ – კანონპროექგის IV თავის მე-15 მუხლში წერია: „სოფლები, რომლებიც მაღალმთიან რეგიონს მიეკუთენებიან, თავის უფლებით მიწის გაღასახაღისაგან“.

მიმაჩნია, რომ კანონპროექგი ხასწორეოდ ღასახეეწი ღა მახეებია.

შექმნილი ეითარების შესაცელად აუცილებელია კომპლექსური კანონმღერი პირობების შექმნა, რომელიც გააეჯპობეს მოამბი მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიკურ და მაგრალიგურ-კულგურულ მღგომარეობას. მხოლოდ ასეთ მუშაობას ძალუძს ხახეკეთი გაღეცეა მოახღინოს მთაანი რეგიონების მოსახლეობის მიერცეილ პრიეილზე, ღემოკრაეულ მღგომარეობასა და სოციალურ ეთარებაზე.

მაია რეხვიაშეილი.

კავშირგაბმულობა

ბაზა არის, გვექნება კავშირიც

ღამანგრეველმა მიწისძერამ აერაცხელი მიანი მიაყენა სახხერის რაიონს. ხიხლი ღაკარგა საწრეელოს, მიწასთან გასწორღა საეკნოგან ქარგეხილები გაღარჩენილი ჯრეშის მონასგერი, ეღერძი ღა მოღინახე. ღაინგრა ან ძნიშნეელოენ ღაზიანღა საცხოვრებელი ღა საზოგაღოგებო ობიექგი...

მიწისძერას ეერც კავშირგაბმულობის რაიონეეი საწარმოს შენობა გაღაერჩა. ამ ღარეის მაშინეღლა მინახაცრმა ოლეგ კეჭელაეამ ღა რაიონის ყოფილმა თავეკაცმა ბესიკ ქუთათელაძემ ექვსი წლის წინ ჩაეყარეს საყუძეელი სახხეიჯინო კავშირგაბმულობის საწარმოს ახალშენებლობაზე, მაგრამ ეანეითხოვნით წლებში ყოეელივე ბროგრესეი ღასაბრღა ღა ეს მშენებლობაც ღაეწეების მღეგი.

გაშოხღა ხანი. „ეხმს ქვაღა მიმოყანტვეს, მოაეეკ ქამი შეკრებილ ქვაღა...“ კავშირგაბმულობის სამინისგროს სამშენებლო სამმართველომ მთაწეენეთი ეერ ღაიმორჩილა. ამ ღარეის მაშინეღლა ოლეგ კეჭელაეამ ღა რაიონის ყოფილმა თავეკაცმა ბესიკ ქუთათელაძემ ექვსი წლის წინ ჩაეყარეს საყუძეელი სახხეიჯინო კავშირგაბმულობის საწარმოს ახალშენებლობაზე, მაგრამ ეანეითხოვნით წლებში ყოეელივე ბროგრესეი ღასაბრღა ღა ეს მშენებლობაც ღაეწეების მღეგი.

გაშოხღა ხანი. „ეხმს ქვაღა მიმოყანტვეს, მოაეეკ ქამი შეკრებილ ქვაღა...“ კავშირგაბმულობის სამინისგროს სამშენებლო სამმართველომ მთაწეენეთი ეერ ღაიმორჩილა. ამ ღარეის მაშინეღლა ოლეგ კეჭელაეამ ღა რაიონის ყოფილმა თავეკაცმა ბესიკ ქუთათელაძემ ექვსი წლის წინ ჩაეყარეს საყუძეელი სახხეიჯინო კავშირგაბმულობის საწარმოს ახალშენებლობაზე, მაგრამ ეანეითხოვნით წლებში ყოეელივე ბროგრესეი ღასაბრღა ღა ეს მშენებლობაც ღაეწეების მღეგი.

ბაბა არის, გეექნება კავშირიც – იმედოენებენ სახხეირელები.

სოზარ ჯუბატაძე, „სრ“ სა. კორ.

საქართველოს რესპუბლიკა
№276-277, კვირა-ორშაბათი, 25-26 ოქტომბერი, 1998 წელი.

ვითხოვ სიტყვას

გვინდა ძლიერი ეკონომიკა? განვავითაროთ მცირე მეწარმეობა!

ტრივიალური ჭეშმარიტებაა: საზოგადოების არსებობის და განვითარების საფუძველი არის მატერიალური წარმოება. ნებისმიერი საზოგადოება, ადრე თუ გვიან, დაიღუპება, თუ იგი არ აწარმოებს, არ ჰქმნის პროდუქციას.

როგორც დიდ, ისე მცირე წარმოების აღორძინება-განვითარებას კაპიტალი სჭირდება. დიდს – დიდი, პატარას – პატარა. ჩვენნაირმა ღარიბმა ქვეყანამ სწორედ ამ პატარა, მცირე წარმოების აღორძინება-განვითარებით უნდა დაიწყოს და შემდეგშიც დომინანტი მას მიაკუთვნოს.

წარმოების აღორძინება მცირე მეწარმეებმა უნდა ითავონ. სამწუხაროდ, საქართველოში თვით „მეწარმეობის“ ცნება არ არის სათანადოდ გააზრებულ-გაცნობიერებული. კანონებში მეწარმეობად არა მხოლოდ მატერიალური დოვლათის წარმოებაა ჩათვლილი, არამედ ყველა სხვა დანარჩენი საქმიანობაც, თუ იგი მოგებაზეა ორიენტირებული. ასეთი მიდგომით გამოდის, რომ სათამაშო ბიზნესიც (მაგ. პოკერ-კლუბი, კაზინო და სხვა) მეწარმეობაა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციების წარმოებაც. ჩემი აზრით, ასეთი განმარტება სწორი არაა. მეწარმეობად, როგორც თვით სიტყვის ფუძე – წარმოება გვამცნობს, უნდა ჩავთვალოთ მხოლოდ და მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოება, მეწარმედ – მხოლოდ პროდუქციის მწარმოებელი (წარმოება წარმოებაა, თამაში კი თამაში!). ამიტომ ყოველივე ამას თავისი სახელები უნდა დავარქვათ.

საკანონმდებლო დონეზე საჭიროა მცირე მეწარმეობა გაემიჯნოს მსხვილ მეწარმეობას და დაუკანონდეს მას ისეთი შეღავათები, რომლითაც იგი მთელ საზღვარგარეთში სარგებლობს. თავი რომ დავანებოთ ინფორმაციას, რომელიც გვამცნობს მცირე საწარმოთა დომინირებულ მდგომარეობას და გამოჩენილ სპეციალისტთა და ექსპერტთა შეფასებებს, იმაში მაინც ყველა ვართ დარწმუნებული, რომ სანამ ქვეყანაში არ შეიქმნება კონკურენტუნარიანი მეურნე სუბიექტების კრიტიკული მასა, მანამ სრულყოფილი კონკურენცია და სრულყოფილი „ეკონომიკური ცხოვრება“ არ გვექნება. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ თავისუფალი მცირე მეწარმეობის განვითარებით, რომელსაც შეეძლება კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება. ამის გარდა, ვიცით ისიც, რომ მცირე საწარმოები ქმნიან დამატებით სამუშაო ადგილებს, სწრაფად გამოისყიდიან ხარჯებს, ოპერატიულად რეაგირებენ ბაზრის მოთხოვნაზე და ა.შ.

თუ ამოქმედდება თავისუფალი მცირე მეწარმეობის შესახებ ისეთი კანონი, რომელიც სტიმულს მისცემს მცირე მეწარმეს, მაშინ საქართველოს თითქმის ყველა რაიონსა და სოფელში ამოქმედდება მცირე ჰესები და ენერგეტიკული კრიზისიც ავტომატურად მოიხსნება. შემდეგ ჯაჭვური რეაქციით ამუშავდება სხვა საწარმოებიც.

ამის მიუხედავად, დღემდე საქართველოში მცირე მეწარმეობის განვითარებას სათანადო ყურადღება არ ექცევა. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 7 მარტისა და 1993 წლის 6 აგვისტოს ორი დადგენილება კერძო მეწარმეობის მხარდაჭერის შესახებ სრულიადაც ვერ ავსებს იმ ვაკუუმს, რომელიც მის სამართლებრივ უზრუნველყოფაში არსებობს. საჭიროა კანონი „თავისუფალი მცირე მეწარმეობის შესახებ“, რომელიც მცირე მეწარმეობას აღიარებს საქართველოს ეკონომიკის წვრილ-საქონლური წარმოების სექტორად და დაარეგულირებს მის საქმიანობას.

კანონში ერთხელ და სამუდამოდ უნდა განისაზღვროს მცირე საწარმოთა კრიტერიალური ნიშნები და მათი პარამეტრები. ასეთ ნიშნებად მიგვაჩნია მუშაკთა რიცხვი, გამოშვებული პროდუქციის მოცულობა, საათობრივი ანაზღაურება (რომელიც შეესაბამება მინიმალურ საარსებო ვალას) და ძირითადი ფონდების მოცულობა. ამ უკანასკნელის მაქსიმალური ზღვარი საწარმოს მხოლოდ გახსნის დროისთვის უნდა დავუწესოთ, შემდეგ მისი ზრდის შეზღუდვის გარეშე. მატერიალური წარმოების სფეროში მცირე საწარმოდ უნდა ჩაითვალოს საწარმო, რომელშიც მუშაობს არა უმეტეს 50 კაცისა. მაქსიმალურ ზღვრად 100-კაციანი პარამეტრის მიჩნევა მცირე საწარმოთა რიცხვში მოახვედრებს ახლანდელ საწარმოთა აბსოლუტურ უმრავლესობას, რის გამოც შეუძლებელი იქნება მათზე იმ შეღავათების გავრცელება, რომელსაც ჩვენ გთავაზობთ და რომელიც თავისუფალი მცირე მეწარმეობის განვითარების ერთადერთ სტიმულად გვესახება.

კერძოდ, ჩემი აზრით, საჭიროა რეგისტრაციის დღიდან მცირე მეწარმე ოთხი წლით მთლიანად გავათავისუფლოთ ყოველგვარი გადასახადებისაგან (გარდა ხელფასზე დარიცხული საშემოსავლო და სოცდაზღვევის გადასახადებისა, რომლებიც შესაბამისად არა უმეტეს 15 და 10 პროცენტი უნდა იყოს). რეგისტრაციიდან მე-5 წლის დასაწყისში მცირე მეწარმე გადაიხდის მიწისა და ქონების გადასახადის განაკვეთის 25 და მოგების გადასახადის 10 პროცენტს, მეექვსე წლის დასაწყისში მიწისა და ქონების გადასახადის განაკვეთის 50 და მოგების გადასახადის 20 პროცენტს, მეშვიდე წლის დასაწყისში – მიწისა და ქონების გადასახადის 75 და მოგების გადასახადის 30 პროცენტს, მერვე წლის დასაწყისში კი მიწისა და ქონების გადასახადის 100 და მოგების გადასახადის 40 პროცენტს. შემდეგ ეს გადასახადები ამ დონეზე დარჩება ფიქსირებულად.

მიგვაჩნია, რომ მცირე მეწარმეთა დაბეგვრა ასეთი რეაწლიანი შეღავათიანი რეჟიმით მცირე საწარმოთა განვითარების ბუმს გამოიწვევს. ამით გადაიჭრება მოსახლეობის დასაქმების პრობლემა, და რაც მთავარია, სახელმწიფო ბიუჯეტიც არ დაზარალდება. არ დაზარალდება იმიტომ, რომ ამით დამატებით დასაქმდება დაახლოებით 1 მილიონი კაცი, რომელთა მარტო საშემოსავლო გადასახადი ჩვენს მიერ შემოთავაზებული 15-პროცენტიან განაკვეთზე ანგარიშით ბიუჯეტს მისცემს 900 მილიონ ლარ შემოსავალს, ხოლო სოცდაზღვევის 10-პროცენტიანი ანარიცხები სოცუზრუნველყოფის ფონდს შეავსებს 600 ათასი ლარით.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა იციან, რომ ყოველი 10 ახლად გახსნილი მცირე საწარმოდან ერთი თუ მუშაობს, ყველა დანარჩენი ქაღალდზე რჩება. იმიტომ, რომ ვერ აიღეს შეღავათიანი სესხი, ვერ დაიქირავეს შენობა და საჭირო ტექნიკური საშუალებები. ეს დიდი ტრაგედიაა. თუ ჩვენი ქვეყანა საბოლოოდ დაადგა საბაზრო ეკონომიკის აღმავლობის გზას, უნდა ვიცოდეთ, რომ საბაზრო ეკონომიკის საფუძველი არის თავისუფალი მცირე მეწარმეობა, რომელიც სახელმწიფოს აქტიური ხელშეწყობის გარეშე ვერ განვითარდება. ამის მაგალითს მთელი მსოფლიო იძლევა.

ასეთია ამ საკითხზე ჩვენი – თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის აზრი, ასოციაციისა, რომელიც შეიქმნა იმისთვის, რომ სისტემური და კოორდინირებული საქმიანობა აწარმოოს საქართველოში მცირე მეწარმეობის განვითარებისათვის. ამჟამად ვმუშაობთ კანონპროექტზე „თავისუფალი მცირე მეწარმეობის შესახებ“ და მცირე მეწარმეთა მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაზე.

ზაირა ლუდუშაური,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, საქართველოს თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

რეგიონი

ახლა მიმინების უფლება მხოლოდ ტყეს აქვს

დოსიე: როსტომ დეკანოიძეს ახლახან ოთხი ათეული წელი შეუსრულდა. დაიბადა საჩხერის რაიონის სოფელ მერჯევში, აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ – საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, მეტყევე ინჟინრის სპეციალობით. 1981 წელს საჩხერის მექანიზებული სატყეო მეურნეობის ოსტატად გაამწესეს. მას შემდეგ „ტყიდან ფეხი არ მოუცვლია“, მისი ჰაერით სუნთქავს და ცოცხლობს. მუშაობდა ჯერ კვერეთის, შემდეგ ჭალის სატყეოების უფროსად, შვიდი წელია საჩხერის სატყეო მეურნეობას თავკაცობს და 50 ათას ჰექტარ ტყეს პატრონობს.

– ბატონო როსტომ, საუბარი მტკივნეული თემით მინდა დავიწყო. პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ნათქვამ სიტყვებს მოგაგონებთ: „...ტყეები, რომელიც საქართველოს ტერიტორიის თითქმის ნახევარია, ჩვენი წინა თაობების მონაპოვარია, მათ შემოგვინახეს საუკუნეების განმავლობაში... ჩვენ კი დავერიეთ, დავჩეხეთ და გაგვაქვს, ვეზიდებით. კატეგორიულად ვაყენებ საკითხს: იმ რაიონის გამგებელი, რომელიც დაუშვებს უკანონო ჭრას, თავის ადგილზე არ უნდა იყოს...“ თქვენ რას გვეტყვით?

– ეს სამართლიანი მოთხოვნა უპირველესად ტყის დაცვის მესვეურთ უნდა გვესმოდეს. მართლაც, ძნელბედობის წლები ჰქონდა ტყეს და ყველაზე მეტად სავალალოა, როცა ჭირი უჭირისუფლო აღმოჩნდება. სამწუხაროდ, ტყეს მტერი საჩხერეშიც ჰყავს. ლიცენზიის მქონე ტყის რეწვით დაინტერესებულ ფირმებს ზოგჯერ ხელი აკრძალულ ზონაში „წაუცდებათ“ ხოლმე. მიუხედავად შიგასაუწყებო კონტროლის გაძლიერებისა, შარშან და წელს ჩვენი ზონის ტყეებში 494 კუბმეტრი წიფლის უკანონო ჭრების ფაქტი დავაფიქსირეთ. დამნაშავე ტყის მცველები სამსახურიდან დავითხოვეთ და პასუხისგებაში მივეცით. თუმცა, ვიცით, ეს საუკეთესო გამოსავალი არ არის და ვერც თავს მოვიწონებთ.

– მაშ, თქვენი აზრით, რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომ ტყე ბრაკონიერებისაგან ვიხსნათ?

– წლეულს მეტად დროული და მნიშვნელოვანი კანონი გამოიცა „საქართველოს ტერიტორიაზე ტყით სარგებლობის მოწესრიგების შესახებ“. იგი სხვა აქტუალურ საკითხებთან ერთად საქართველოს ტყეების დაცვითი ფუნქციების შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას ითვალისწინებს, ტყის ფონდის მიწებზე არსებულ ტყეებში კრძალავს მერქნის დამზადებას. თუ კანონს შევასრულებთ (იგი კი აუცილებლად უნდა შესრულდეს), ყველა უხერხულობას მოგვიხსნის და ჩიხიდანაც გამოგვიყვანს.

– გავიხსენოთ წარსული. დიდი ილია ტყის გადარჩენისათვის სამი პრობლემის გადაჭრას მოითხოვდა – „ტყეების წესიერად მოხმარებას და საბოლოოდ დაზოგვას, ტყეების შემოსავალს ხაზინის სასარგებლოდ და სამართლიანი, გაუჭირვებელი ტყით სარგებლობას მცხოვრებთათვის...“ როგორ წყვეტდით ამ პრობლემებს საჩხერის რეგიონში?

– გულახდილად გეტყვით, ცუდად. არა მხოლოდ საჩხერეში, მთელ ქვეყანაში ხე-ტყით სარგებლობის მექანიზმი სწორად ვერ გვქონდა გააზრებული. წლეულს ქვეყნის პრეზიდენტმა ამ დარგში წესრიგის დასამკვიდრებლად არაერთი დადგენილება და განკარგულება გამოსცა; მისი დავალებით სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტმა 1997-2005 წლებისათვის დარგის აღორძინებისა და მისი შემდგომი განვითარების სახელმწიფო პროგრამა შეიმუშავა; პრეზიდენტის თაოსნობით აღდგა გაზაფხულსა და შემოდგომაზე გამწვანება-გატყიანების ერთთვიური რეიდის მოწყობის ტრადიცია დევიზით: „დედაბუნებას – ახალი სიცოცხლე“. ცხადია, ჩვენც გამოვფხიზლდით და ახალი მოთხოვნების დარად ვიცავთ ტყეს, ვასრულებთ აღდგენა-განახლების სამუშაოებს. კვერეთის, მოხვის, ჭალის, ჯალაბეთის, ცხამის, ოტრიისა და ლიჩის სატყეოებში წაბლის, ფიჭვისა და აკაციის ათასობით ნერგი დავრგეთ. „მოდინახეს“ ფერდობი 3 ჰექტარზე 35 ათასამდე ძირი ნერგით შევმოსეთ, მოვაწყეთ ნაყოფმომცემ მცენარეთა სანერგე 0,3 ჰექტარზე.

ჩვენი სატყეოს ბაზაზე შეიქმნა და რამდენიმე თვეა მუშაობს უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი ხის გადამამუშავებელი საამქრო (12 ათასი კუბმეტრი წლიური წარმადობით), სადაც ამზადებენ ავეჯის დეტალებს. საწარმო თანდათან მოღონიერდება და ადგილობრივი ბიუჯეტის ერთ-ერთი შემავსებელი წყარო გახდება. დასაქმდება 200-მდე მუშა, რომელთა თვიური ანაზღაურება 150-200 ლარს მიაღწევს. შარშან ჩვენმა სატყეო მეურნეობამ სახელმწიფო ბიუჯეტში 50 426 ლარი გადარიცხა. ხე-ტყის გადამამუშავებელ საამქროს ძალუძს ხუთჯერ გააუმჯობესოს ეს მაჩვენებელი.

სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დეფიციტმა და სიძვირემ ტყეს დიდი ზიანი მიაყენა. ამიტომ, ვცდილობთ, შეშით პირველ რიგში დევნილები, საბიუჯეტო დაწესებულებები, მარტოხელები და ინვალიდები დავაკმაყოფილოთ. ნუ გვიწყენენ, თუ ყველა მცხოვრები ტყეკაფვისათვის ბილეთს ვერ მოიპოვებს.

უთუოდ კარგი შედეგები მოაქვს პრეზიდენტის ინიციატივით აღდგენილ ტყეების ყოველწლიურ დათვალიერებას. ახლახან რეგიონში სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის მუშაკები გვეწვივნენ. ყველა სატყეო უბანი დაათვალიერეს და კონკრეტული სამოქმედო პროგრამაც შემოგვთავაზეს.

– კიდევ რისი გაკეთება გწადიათ აქაურ მეტყევეებს?

– მალე დამხმარე მეურნეობებს აღვადგენთ (50 ოჯახი ფუტკარი უკვე გვყავს). ჩვენს ტყეებში რკო და წაბლი ბლომადაა, რაც მეღორეობის დარგის ასაღორძინებლად ჩინებულ პირობებს ქმნის. ამ შესაძლებლობას უთუოდ გამოვიყენებთ. და კიდევ, მინდა ტყეს ერთი პატრონი და კომპეტენტური გულშემატკივარი შემოწმებელი ჰყავდეს. თუ ეს პრობლემა გადაწყდება, ძირითადი საქმიანობისთვის მეტი დრო დაგვრჩება და საერთო სატკივარსაც ეშველება.

ესაუბრა
სოზარ კუპატაძე,
„სრ“ საკ. კორ.

სურათზე: როსტომ დეკანოიძე კვერეთის სატყეო უბნის მუშაკებს აცნობს ტყის დათვალიერების შედეგებს.

ღვაწლი

კვლავ ახალგაზრდულად გამოიყურება, ბევრი სითბო და სიკეთე იღვრება მის დიდ ცისფერ თვალებში. მინდა საუკეთესო სიტყვებით შევამკო პიროვნება, რომელმაც დიდი ამაგი დამდო და წარუშლელი კვალი დატოვა ჩემს ცხოვრებაში. მაგრამ ამის მოყოლა, ალბათ, სხვებს ნაკლებად აინტერესებთ, ვიტყვი მხოლოდ ერთს – ყველას შემწე და მეოხი, გულითადი და მოსიყვარულეა. ნამდვილად მასზეა ზედგამოჭრილი უფლის მოწოდება, „რაც კი გაუკეთეთ ერთ ჩემს მცირე ძმათაგანს, მე გამიკეთეთ“ (მათეს სახარებიდან). ღმერთის მფარველობა არ მოაკლდება ასეთ ადამიანს.

ვნების სიმძაფრე შენებაშია...

უმთავრესი მაინც ის გახლავთ, რომ გივი კვიჭიძეს ქვეყნის წინსვლისა და თბილისის ალმშენებლობის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის. ერთი ჩვენი კოლეგა არჩილ ციცქიშვილი მას ნამდვილ „ალმშენებელს“ უწოდებს და ამის საფუძველიც აქვს. მისი უშუალო მონაწილეობითა თუ ხელმძღვანელობით აშენებულია თბილისის თითქმის ყველა საცხოვრებელი მასივი, დაახლოებით 12 მილიონი კვადრატული მეტრი, ე.ი. 360 ათასი ბინა, რაც ბევრად აღემატება ქუთაისსა და ბათუმს ერთად აღებულს. ეს თითქმის დღევანდელი ჩვენი დედაქალაქის ნახევარს უდრის. ამ ორიოდე თვის წინათ პრეზიდენტის განკარგულებით მშენებლობის დარგის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილის, ნაყოფიერი სამეურნეო საქმიანობისა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის გივი კვიჭიძე ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო გივი კვიჭიძის მოღვაწეობა „თბილქალაქმშენის“ მე-14 ტრესტის მმართველად მუშაობის პერიოდში – 1971-82 წლებში, მაშინ, როდესაც ბინათმშენებლობის არნახული აღმავლობა დაიწყო და მთელი ქალაქის მასშტაბები მოიცვა. მალე იგი „თბილმშენის“ მმართველად, საქართველოს მშენებლობის მინისტრის მოადგილედ დააწინაურეს. ჩინებულ ორგანიზატორსა და გამოცდილ წინამძღოლს უფრო ფართო ასპარეზი მიეცა თავისი ნიჭისა და უნარის გამოსავლენად. არც შემცდარან, დაუღალავი შრომითა და არაჩვეულებრივი მონდომებით – სართულები სართულებს ემატებოდა, მოსახლეობა სულმოუთქმელად ელოდებოდა გაფართოებას, თავისი ახალი ჭერის დალოცვას. ახალსახლობა ღვითიდღე მატულობდა და პირველი სასმისით მშენებლებს ადღეგრძელებდნენ. სამშენებლო პროცესი რთულია და შესაბამისად მას მრავალი მეთვალყურე ჰყავს. ბატონი გივი კვიჭიძე სიამოვნებით იხსენებს მშენებლობის საქმეთა ყველა ნიუანსის მცოდნე მაშინდელი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს რევაზ ფრუიძეს, მშენებლობის მინისტრებს გრიგოლ ვაშაკიძეს, ვლადიმერ გოგოლაძეს, თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანს იპოკრატე შევარდნაძეს, რომელიც იმ დროს მშენებლობას კურირებდა.

მახსოვს, – იგონებს გივი კვიჭიძე, მაშინ ახალი სერიის ცხრასართულიან მსხვილპანელიან სახლებს ვაშენებდით. მშენებლობაზე ხშირად მოდიოდა ბატონი იპოკრატე. მაოცებდა მისი ალღო, ყურადღებით მოსმენა იცოდა, ანალიზისა და ზუსტი დასკვნების გამოტანის შესაშური უნარი ჰქონდა. თუ დარწმუნდებოდა, რომ ნაკლი და ხარვეზები შენი მიზეზით არ იყო გამოწვეული, ვითარების გამოსასწორებლად ყველაფერს იღონებდა, აუცილებლად დაგეხმარებოდა. ამიტომ მისი მოსვლა კი არ გვაშინებდა, პირიქით, გვიხაროდა.

ერთხელ კი, მორიგი სტუმრობის დროს, სიხარულის ნაცვლად დიდი ნერვიულობა გადავიტანეთ. ასეთი წესი ჰქონდა – მოულოდნელად დაგვადგებოდა თავზე, ზუსტ დროს არასოდეს გვეტყოდა, ალბათ იმიტომ, რომ ერიდებოდა ზედმეტ ფუსფუსს და შეწუხებას, ტრადიციულად უფროსების ვიზიტს რომ ახლდა თან, ბატონმა იპოკრატემ ასე არ ისურვა. იმ დღეს მარტო წამოვიდა, ფეხით ჩამოიარა კორპუსები.

მოდის ათვალიერებს და უცებ რომელიღაცა მუშამ მშენებარე სახლიდან გაუფრთხილებლად სამშენებლო ნარჩენები გადმოყარა, ჩვენი სტუმარი ბეწვზე გადარჩა. ჩვენ შევნიშნეთ, მაგრამ უკვე გვიანი იყო. უხერხულობისაგან ადგილზე გავშეშდით. ბატონი იპოკრატე გაღიმებული მოგვიახლოვდა, სახეზე სიმწრის ოფლი რომ შეგვენიშნა, სიცილით გვითხრა – მე სულაც არ შემშინებია, მაგრამ მაშინვე ის გავიფიქრე, რამე რომ მომსვლოდა, რა ამბავი ატყდებოდა, ჩემი ადგილისათვის ალბათ ზოგიერთები ერთმანეთს დახოცავდნენო. ასე იუმორში გაატარა ის უსიამოვნო შემთხვევა და პირიქით ჩვენ დაგვამშვიდა. რა თქმა უნდა, ასეთი ადამიანების გვერდით დგომა კიდევ უფრო მეტ ძალასა და ენერგიას მატებდა მის საქმიანობას. გივი კვიჭიძეს მიაჩნია, სადაც სახლი არ შენდება, ოჯახის კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე არ ფიქრობენ, – იქ არც ოჯახია და არც სახელმწიფო. მიუხედავად იმისა, რომ საბინაო მშენებლობის მაშინდელი ტემპის შედარება შეუძლებელია დღევანდელთან, მას მაინც ყოველთვის მიაჩნია, რომ თბილისი ჯერ კიდევ ბევრად ჩამორჩებოდა თანამედროვე საბინაო მშენებლობის ნორმებსა და სტანდარტებს. მთელი სიმწვავით იდგა მშენებლობის ხარისხი, გეგმის შესრულებისათვის „იერიშობანა“ და „მიწერების“ პრობლემა. რაც შეიძლება სწრაფად და ბევრის აშენების დავალება. ეს ლოზუნგი ძალზე ტკენდა გულს. ამ ჯადოსნური წრის გასარღვევად მთელი შესაძლებლობით იბრძოდა, მაგრამ მაშინდელი ცხოვრების წესით, სისტემის „დაუწერელი“ კანონებით მანკიერებას ისე ჰქონდა ფესვები გამჯდარი, რომ იძულებული იყო დარღვევებზე ზოგჯერ თვალი დაეხუჭა. ამის შესახებ კარგად იცოდნენ „ზევით“ – პირდაპირ არ გეტყოდნენ, მაგრამ მიგანიშნებდნენ, ყველაფერი იღონე, როგორც გინდა ისე მოიქეცი, მხოლოდ გეგმა აუცილებლად შეასრულეო. ასე რომ, მშენებლობასაც ჰქონდა თავისი დაუწერელი „შავი“ კანონები. მშენებელი თავის პროფესიაზე უკეთ დიპლომატიის ხელოვნებას უნდა დაუფლებოდა, – ესწავლა ბეწვის ხიდზე სიარული და ათასი სხვა რამ... გივი კვიჭიძე მაინც არ უშინდებოდა სიძნელეებს, მაგრამ ბოლო პერიოდში საქმიანი მხარდაჭერა მოაკლდა. მისი საყარძლისკენ ბევრს გაექცა თვალი... ბევრი მეცადინეობა დასჭირდათ მაშინდელ ხელისუფალთ იმისათვის, რომ პროფესიონალი მშენებლის, ჩინებული ორგანიზატორის მუშაობაში ხარვეზი ეპოვნათ, მაგრამ, როგორც იტყვიან შეუძლებელი არაფერია... „თბილმშენი“ დატოვა და შვიდი წლის მანძილზე პირველად წავიდა შვებულებაში. იყო ტკივილი, მცირედი შეყოვნება ცხოვრების გზაზე, მაგრამ კვლავ აღდგინება, რადგან, როგორც გივი კვიჭიძე ამბობს, ჩემი პროფესიის თაყვანისმცემელი ვიყავი და ცხოვრებაში შენების გარდა სხვა დიდი მიზანი არა მქონიაო. ამიტომაც დათანხმდა შეთავაზებულს – „თბილრემმშენის“ უფროსად დანიშნეს. და უცებ „აყვავება“ აქაც დაიწყო. გამოცდილი ორგანიზატორის წყალობით თუ ტრესტის მთლიანი დატვირთვა 9 მილიონი მანეთი იყო, ერთ წელიწადში 21 მილიონამდე ავიდა. მიაჩნია, რომ ეს მაშინდელი თბილისის აღმასკომის თავმჯდომარის ირაკლი ანდრიაძის დამსახურებაც იყო, რადგან მან დიდი ნდობა გამოუცხადა ტრესტს და ისეთი საქმეების გაკეთება დაავალა, რასაც მანამდე სარემონტო ორგანიზაციები არ ასრულებდნენ.

ძველი პროფესიონალიზმი ისევ წამოიმართა. გივი კვიჭიძემ დაიწყო ძველი თბილისის ისტორიული უბნების – ლესელიძის ქუჩის, აბანოთუბნის, ავლაბრის და სხვა ადგილების განახლება-რეკონსტრუქცია, მუსკომედიის თეატრის უნიკალური შენობის აგება, მაგრამ შემდეგ უსახსრობის გამო, მშენებლობა შეჩერდა. ახლა ისიც ზიანდება, რაც გაკეთდა და თუ დროზე გულშემატკივარი არ გამოუჩნდა, ამ შენობიდან არაფერი დარჩება.

„თბილრემმშენის“ გარდა გივი კვიჭიძე შპს „აზიმუტში“ მუშაობს, ახლა თანამედროვე სტანდარტების მიხედვით აშენებენ სახლებს. რა თქმა უნდა, ეს ძველ მასშტაბებს ვერ შეედრება, მაგრამ ხვალინდელი დღის იმედი არ დაუკარგავს. გარდა ამისა, დიდი გამოცდილების მქონე მშენებელი საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ბატონმა ალექსანდრე კუჭუხიძემ თავისთან მიიწვია. იგი ერთხმად აკადემიკოსად აირჩიეს.

ამ დღეებში გივი კვიჭიძემ სამოცდაათს გადააბიჯა, მაგრამ თავს მოხუცად სულაც არა გრძნობს. იგი სავსეა ენერგიით, ცხოვრების ხალისითა და მშენებლობის ურყევი რწმენით. ვნების სიმძაფრე ხომ, როგორც გურამ რჩეულიშვილი ამბობს, „შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში“.

ლალი ძინძლაძე.

გამოცდილება

ძლიერ ეკონომიკას შრომა-დაფასებული ადამიანები ქმნიან

ამერიკის საშინაო შემოსავლის სამსახური იუწყება, რომ იმ გადამხდელთა რიცხვი, რომელთა შემოსავალმა 1995 წელს 200 ათასი და მეტი დოლარი შეადგინა, 1,3 მილიონია. ეს მაჩვენებელი 1994 წელთან შედარებით 14 პროცენტით გაიზარდა. საგულისხმოა, რომ 1977 წელს 1600-დან მხოლოდ ერთ ამერიკელს შეეძლო განეცხადებინა, რომ მისი შემოსავალი 200 ათას დოლარს შეადგენს. ახლა კი, როგორც უწყების წარმომადგენელმა დონ რობერტსმა თქვა, ასეთი შემოსავალი აქვს ყოველ მეასე ბეგარის გადამხდელს. ამასთანავე, თქვა მან, იმ ადამიანებს, რომლებიც დიდ მოგებას ნახულობენ, სამსახურს უხდიან შემოსავლის დაახლოებით 35 პროცენტს, მაშინ როცა გადამხდელთა ნახევარზე მეტი იხდის 15 პროცენტზე ნაკლებს.

საერთოდ, 1995 წელს მოსახლეობის ყველაზე მდიდარი სეგმენტის მიერ გასტუმრებულმა საშემოსავლო გადასახადებმა შეადგინა საერთო მოსაკრებლების დაახლოებით 1,1 პროცენტი, ანუ – 182,5 მილიარდი დოლარი. საშემოსავლო გადასახადისათვის თავის არიდება შეძლო ძალზე დიდი შემოსავლის მქონე მხოლოდ 998 კაცმა. ისინი სრულიად ლეგალურად მოქმედებდნენ და გამოიყენეს შეღავათები, რომლებიც მათ მიენიჭათ გარკვეულ სიტუაციებში, მაგალითად, საქველმოქმედო საქმიანობის შედეგად ან ინვესტიციებისათვის გათვალისწინებული თანხების სესხის დროს. ამ ჯგუფმა 1995 წელს გამოიმუშავა დაახლოებით 600 მილიონი დოლარი. დანარჩენ მაღალშემოსავლიან გადამხდელთა საერთო შემოსავალმა იმ წელს შეადგინა დაახლოებით 640 მილიარდი დოლარი.

კერძო საწარმოების მფლობელებმა, ფერმერების გამოკლებით, 1996 წელს 176,8 მილიარდი დოლარი მოგება ნახეს, რაც 4,4 პროცენტით მეტია 1995 წლის მაჩვენებელთან შედარებით. მცირე საწარმოთა შემოსავალი კი შეადგენს 843,2 მილიარდ დოლარს. 1995 წელს 4,5 მილიონი კორპორაციის მოგება გაიზარდა 24 პროცენტით წინა წელთან შედარებით და შეადგინა 714,2 მილიარდი დოლარი. შემოსავალმა გადააჭარბა 1,4 ტრილიონ დოლარს, საშემოსავლო გადასახადის საერთო თანხამ კი 156,4 მილიარდ დოლარს, რაც 14 პროცენტით მეტია 1994 წლის მაჩვენებელთან შედარებით.

ასეა, ძლიერ ეკონომიკას შრომა-დაფასებული მოქალაქეები ქმნიან.

სერგო ხარაზიშვილი.

იპარავენ

„თელასს“ მხედველობიდან გამორჩა...

ყოველგვარ გასაჭირს შეგუებული, იძულებით გამობრძმედილი და უხელფასოდ დარჩენილი ჩვენი მოსახლეობა უკვე აქედანვე მკაცრი ზამთრის „მკაცრი“ გრაფიკის პირობებში გადასატანად ემზადება.

ისე, კაცმა სიმართლე რომ თქვას, სადღეისოდ შექმნილ მდგომარეობაში ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად ჩვენც (მოსახლეობასაც) წვლილი მიგვიძღვის, მაგრამ დარგის ამ უკიდურეს მდგომარეობამდე მიყვანის საქმეში „ლომის წილი“ მაინც ზოგიერთ იმ ახლადგამოჩეკილ „მეწარმესა“ და „ბიზნესმენზე“ მოდის რომლებისთვისაც მთავარი ამოსავალი წერტილი დღეს მხოლოდ პირადი მეთი განისაზღვრება.

მათ მიერ ვითომდა „გაუთვითცნობიერებლად“ მითვისებული დენის ღირებულების გადაუხდელობამ განაპირობა სწორედ შექმნილი მდგომარეობა, რამაც საგრძნობლად უკან დასწია დარგი და დაგვაზარალა ჩვენც.

ეს რომ ასეა, ამას ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის ოპერატიული სარეიდო ჯგუფების მიერ დროის მცირე მონაკვეთში გაწეული საქმიანობაც ცხადყოფს. შემოწმების შედეგად მათ დებიტორული დავალიანება გამოუვლინეს 285 ობიექტს, რამაც ფულად გამოსახულებაში საკმაოდ გვარიანი თანხა – 2 315 529 ლარი შეადგინა. ამას გარდა ელექტროენერგიის დატაცების ფაქტზე (ელექტრომრიცხველზე სახელმწიფო დამღის გაყალბების, მრიცხველის გვერდის ავლით დენის მოხმარებით, მისი გაჩერებით და სხვა) იქნა მხილებული 243 ობიექტის ხელმძღვანელი. მათ მიერ მიყენებული ზარალი კი რომ დაჯამდეს, ზემოთმოყვანილ ციფრზე ნაკლები ნამდვილად არ იქნება.

ამ ღონისძიებების შედეგად მარტო დავალიანებების მქონე 152 ობიექტი გამოირთო ქსელიდან. სულ კი მათი ხვედრი 510 ობიექტმა გაიზიარა. დეპარტამენტის მიერ განხორციელებულმა ამ აქციამ ადგილობრივი ენერგოკომპანიებისა და საქსელო საწარმოების ხაზინას ერთდროულად 179 152 ლარი შემატა.

რეიდებმა სხვადასხვა სახის ტექნიკური დარღვევებიც (უნებართვოდ განხორციელებული ორმაგი კვება, გადაჭარბებული სიმძლავრის მოხმარება, უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესების უგულებელყოფის ფაქტები და სხვ.) გამოავლინა.

სამწუხაროდ, მომხმარებელთა მხრივ თვითნებობის ფაქტებიც მრავლად იყო. 58 ობიექტი, რომელიც ადრე გამორთული და დალუქული იყო, ქსელზე უნებართვოდ მიერთებული აღმოჩნდა.

ამავე პერიოდში დეპარტამენტის მუშაკების მიერ დედაქალაქში შემოწმებული 826 ობიექტიდან ენერგეტიკოსების დავალიანება (საერთო თანხით 878 087 ლარი) აღმოაჩნდა 287-ს. შემოწმებულთაგან თითქმის ყოველი მესამე დენის დატაცების ფაქტზე იქნა მხილებული.

ისე, გულწრფელად რომ ვთქვათ, არა მგონია, ყოველივე ეს „თელასის“ რაიონული სამსახურების ხელდაუსმელად ხდებოდეს. „საქენერგოდან“ „თელასისათვის“ მიწოდებული ელექტროენერგიის საკმაოდ დიდი ნაწილი სადღაც რომ იკარგება, ესეც ფაქტია.

უამრავ სხვა ფაქტებთან ერთად ალბათ ესეც ჰქონდა მხედველობაში ჟურნალისტ ოთარ ხუციშვილს, როცა თავის მწვავე, მაგრამ სამართლიან შენიშვნაში „ლევი თელასის“ გამდიდრებაზე წერდა და რომელიც „თელასის“ ხელმძღვანელობას რატომღაც „მხედველობიდან გამორჩა“.

მათ ასევე რატომღაც უყურადღებოდ რჩებათ მათივე მუშაკების მიერ ხელდასმული მეორე ხაზები, რომლის მფლობელებიც აქაოდა გარკვეულ საზღაურს ვიხდითო, დენს მოუფრთხილებლად, უყაირათოდ ხარჯავენ, რასაც, რასაკვირველია, არავითარი გამართლება არა აქვს. სახელმწიფო კი სხვა ყველაფერთან ერთად ამასაც მშვიდობიანად იტანს.

თეიმურაზ კინწურაშვილი.

– იმ კაცს რატომ მიუსაჯეს 2-ჯერ ნაკლები?
– ის 127-ვოლტიან ძაბვას იპარავდა, შენ კი 220-იანს.

მხატვარი ვახტანგ კუცია.

მთა

ერთი რაიონში არის მაღალმთიანი სოფელი მთისკალთა, რომელიც მარადა მთის კალთებზე შეფენილი.

აქ ძირითადად ხსირგლაძეები ცხოვრობენ, ამიტომ ხსირგლაძეების სოფელსაც ეძახიან. აქაური გახლდათ ცნობილი პედაგოგი, ბრწყინვალე ლიტერატორი და უბადლო თამადა სპირონ ხსირგლაძე.

ხსირგლაძეებს ბევრ ხხეა სოფელსა და ქალაქშიც შეხვედებით, ყველა მათგანის ძარი და ფესვი მთისკალთიდან მოდის.

ისინი ბევრნი არიან, კარგი გვარის ხალხია, ღმერთმა ამრავლოსო.

არცთუ დიდი ხნის წინათ ამ სოფელს ბრაჯალძალი ერქვა, მაგრამ გამოუწნეხეს ძალადმაქნილნი ნათლები – კომუნისტები და ჯალათნათლეს – მთისკალთა დაარქვეს.

იცით, რატომ?

ამ სოფლის თავში, მთის კონცხზე, დგას წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

დგახო, ვამბობთ, თორემ 1991 წლის ბარალის ძლიერმა მიწასმერამ მიწა-სმერამ მიწასთან გაასწორა. აქაურებს იმრიგად, ამ ეკლესიის მრავალძალიანობის (ანუ ძლიერების) გამო დაუქმეფიათ ბრაჯალძალი სოფლისთვის. კომუნხალებს სწორედ მისი მრავალძალიანობის შესახებ არხეინი ლეგენდის გაქარწყლება უნდოდათ და სოფელი გადანათლეს.

აქაურები იმ ვარაუდსაც ვამოქმედებ, ალბე, სულ თავიდან, სოფელს სხვა სახელი რქმევიათ, მაგრამ კერძოდ რა – გადმოგვმითაც არავინ იცის.

ეს ქართული ხურთოძოძღერების ძველი მეიერმეტე საუკუნეში აუშენებიათ. აქედან შეიძლება დავასკვნათ, ეს სოფელი უფრო ადრინდელია, რადგან, ასეთ შემთხვევაში ეკლესიას შესთხოვდა, ანდა, ქვეყნის მშვიდობიანობას ემუდარებოდა?

ჩვენამდე ლეგენდად მოსული ეს ამბავი თუ მართალი არ არის, მეფე თამარი თავის ნაწნავებს ეკლესიას არ შესწირავდა, მის ძლევრებაში დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო.

შეიძლება ეს ლეგენდა ხალხის მიერვა შექმნილი თავისი სავიცარი მეფის განდიდებისათვის. თამარ მეფეზე ხომ ძალიან ბევრი ლეგენდა არსებობს.

იმის დასადასტურებლად, რომ ამ ეკლესიის დიდი ძალა აქვს, კიდევ ერთ ძველისძველ ლეგენდას ჰყვებიან ბრაჯალძალელები:

ჯალალედინი საქართველოს რომ შემოსევია, ეცხლებია და მახველით უნდოდა ავთარეყო ივერთ ქვეყანა, მაგრამ გაჰკერებია, ვერა და ვერ ახერხებდა ჩანაფიქრის განხორციელებას. გაშრატებულა და გაავებულს მრავალძალის ეკლესიის სიახლოვეს მიხგომია და მიწასთან გასწორება გადაუწყვეტია, რადგან ქართველთა ლაშქრის უძლეველობას ამ ეკლესიის ძლიერებას მიაწერდა.

და მუქარაზე წამოსულა თავისი ჯარით.

ეკლესიის გალმა დამიწერილი მთის ფრაგმენტი მოსდგომია.

ძლიერ ნასლიანი დღე ყოფილა. წინ გზა იყო თუ არა, ვერ შეუნიშნავთ და მთელი ჯარი კლდეზე გადაჯლეკია, ამოყლეკილა.

შეკრთალა, შემნებულა ჯალალედინი.

დარწმუნებულა ეკლესიის ძლიერებაში, მისული ქუდმოხდილი, ეკლესიის წინ შუხლი მოუყრია, პატიება უთხოვია, სამსხვერპლოც თქოსი ხარი და ერთი ძროხა მიუწირავს. შეუხსნია ხმალი და ისიც ეკლესიისთვის დაუტოვებია – ოღონდ აქედან ცოცხალმა გავაღწიო, სალაშქროდ აქეთ პირს აღარასდროს ვიზამო.

შეიძლება ეს ლეგენდაც გამოგონილიაო. მაგრამ ცხადია, ამ ეკლესიის ძალა და ძლიერება დღესაც სწამს აღამიანებს.

რა არის ამაში ცუდი?

ცუდი ის არის, როგორც უკვე ვთქვით, ძლიერმა მიწისძვრამ მიწასთან გაასწორა ეს ღირებული ძეგლი და დღესაც არ აკლდება მლოცველი. მის ღელთაბაზე, გალავნის ნანგრევებზე, ეკლესიის ნაშთებზე ხშირად ნახავთ ხალხს, რომელიც ლოცულობს, ანთებს სანთლებს, ტოვებს ფულს, ზოგი ხელსაც იბანს ეკლესიის ნანგრევებში ამოსული წყაროს წყლით.

ერთი სიტყვით, სამეზაერო სამსახური (რომელიც სხვათა შორის, რაც ნაგზნობისათვის მომგებიანი არასოდეს ყოფილა) ხალხის საკეთილდღეოდ მუშაობს და არც არასოდეს მოაკლდება ეკლესიებზე ზრუნვა.

დღეთ ვკლაშვილს მიაჩნია, რომ სამეზაერო მოძრაობაც შეიძლება მომგებიანი გახდეს. ამისათვის, უპირველესად, ადამიანებში უნდა აღმოვფხვრათ უფასოდ მეზაერობის მოსურნეები. ამით შეეშინებელებიც გაიწირება და მომსახურების პირობებიც გაუჯობესდება. სამწუხაროდ მუშობა მოწიწებულს რეანიმობის თითქმის ყველა ვეზაწალმა სასიკეთო ცვლილებები განიცადა – შეკეთდა, აშენდა და დამშენდა.

სამეზაერო სალაროებში კომპიუტერული სისტემა შორეულ ოცნება აღარ არის, ხოლო ცხობითა ბიურომ მომსახურება უფასო გახდა. მალე აქაც ტექნიკური სიახლეებია მოსალოდნელი.

ერთი სიტყვით, სამეზაერო სამსახური (რომელიც სხვათა შორის, რაც ნაგზნობისათვის მომგებიანი არასოდეს ყოფილა) ხალხის საკეთილდღეოდ მუშაობს და არც არასოდეს მოაკლდება ეკლესიებზე ზრუნვა.

ალბათ დადგება დრო, როცა მეზაერობა ყოველნაირად სასიამოვნო გახდება ადამიანებისათვის. როგორც დღეთ გელაშვილი ამბობს, სამოსახელო ბეური სიახლეა დაკეთებული. რკინიგზა გრძელუადილად კვლავ დაღმას დარჩება ერთადერთი და მუდმივად ეკონომიკურად მომგები სატრანსპორტო საშუალებად.

ეკატერინე ჩიგია.

გურამ ქიმერიძის ფოტო.

რკინიგზა

საიმედოც და კომფორტულიც

დღეს ხანი არ არის, რაც დავით გელაშვილი საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის სამგზავრო სამსახურის უფროსად დანიშნეს, მაგრამ პროფესიონალმა რკინიგზელმა ბევრ რამეს უკვე დააყო თავისი ხელი. ეს საუბარი სწორედ იმ საკითხებს ეხება, რომლებიც მოგვარდა ან უახლოეს ხანში უნდა მოგვარეს.

– ბაზულის მიწურულს სერიოზული ცვლილებები აღინიშნა, – ამბობს ბატონი დავითი, – სწრაფი გემშილი მიმდინარობს რკინიგზაზე სალაინტერეს სამუშაოები. მომავალი წლისათვის მოელ გზაზე მოძრაობის საშუალო სიჩქარე საათში 60 კილომეტრამდე გაიზრდება და სამგზავრო მატარებლები გაცილებით მოკლე დროში გაველენ დანიშნულების ადგილზე. მაგალითად, თუ დღეს ბათუმიდან გზას მატარებელი 10-12 საათში ფარავს, 7-8 საათიც საკმარისი იქნება, 2000 წლისათვის ნაგარაუდევია ელექტროთანამედროვე გაბის მატარებლების შემოყვანა სამღვარეთის ქვეყნებიდან. უახლოეს მომავალში დაგეგმილია ბათუმისა და ურეკის სადგურების მშენებლობა. ამასთან, საქართველოს რკინიგზის თითქმის ყველა ვაგზალში სასიკეთო ცვლილებები განიცადა – შეკეთდა, აშენდა და დამშენდა.

სამეზაერო სალაროებში კომპიუტერული სისტემა შორეულ ოცნება აღარ არის, ხოლო ცხობითა ბიურომ მომსახურება უფასო გახდა. მალე აქაც ტექნიკური სიახლეებია მოსალოდნელი.

ერთი სიტყვით, სამეზაერო სამსახური (რომელიც სხვათა შორის, რაც ნაგზნობისათვის მომგებიანი არასოდეს ყოფილა) ხალხის საკეთილდღეოდ მუშაობს და არც არასოდეს მოაკლდება ეკლესიებზე ზრუნვა.

დღეთ გელაშვილს მიაჩნია, რომ სამეზაერო მოძრაობაც შეიძლება მომგებიანი გახდეს. ამისათვის, უპირველესად, ადამიანებში უნდა აღმოვფხვრათ უფასოდ მეზაერობის მოსურნეები. ამით შეეშინებელებიც გაიწირება და მომსახურების პირობებიც გაუჯობესდება. სამწუხაროდ მუშობა მოწიწებულს რკინიგზის თითქმის ყველა ვაგზალში სასიკეთო ცვლილებები განიცადა – შეკეთდა, აშენდა და დამშენდა.

ალბათ დადგება დრო, როცა მეზაერობა ყოველნაირად სასიამოვნო გახდება ადამიანებისათვის. როგორც დღეთ გელაშვილი ამბობს, სამოსახელო ბეური სიახლეა დაკეთებული. რკინიგზა გრძელუადილად კვლავ დაღმას დარჩება ერთადერთი და მუდმივად ეკონომიკურად მომგები სატრანსპორტო საშუალებად.

ეკატერინე ჩიგია.

გურამ ქიმერიძის ფოტო.

ეკლესია, თამარ მეფის ნაწნავები და ჯალალედინის ხმალი

ვაჭრობა

ღიმილი უფასოა, მაგრამ ძვირად ფასობს

ანუ დახლში მხოლოდ ქალები არიან

30 წლის წინათ ბელარუსის მაღაზიის პირველად რომ ვეწვეე, გაოცებული ავეცი-ავიხედ-დავიხედე. ვერ მივხვდი დახლი რაკომ დაგოთს გამყოფებს და ასე გულთბილად ვის მიხედურად გამიღიმჩნენ. თურმე ნუ იტყვით, მე – წვეულებრივი მომხმარებელი ვყოფილვარ მათი ყურადღების ობიექტი.

იმდენი ღიმილი აფრქვიეს, იმდენი ფუფუნებას ჩვეს ირგვლივ, რომ საბჭოთა ტურისტს წილხვედრი იარაღი სულ იმ მაღაზიაში დავგიტოვე.

მას შემდეგ ჩვენი ვაჭრობის მუშაკებთან ურთიერთობა ჯოჯოხეთად მეჩვენებოდა.

მეგონა კერძო საკუთრების ფორმა მაინც შეიცვლა მათ მუშობის სტილს, მაგრამ ნურას უკაცრავად დახლებთან ეკუღლებია, მოკუნტულე გოლოვებაი ან ლოყადაღეძაგი, ჩასუქებული დედაკაცები დგანან.

პირველი კატეგორია ძალღადაც არ გვგდებს, თავდაუნებებით რადღასაც „გაჩხინთავს", მეორე კი მეტისმეტადაც პასუხებით გამასპინძლდება.

ბაზრობებზე? – ნუთარ ალოთაეთ!

– რა ღირს ქურა? ვეკითხები „ლეწერაძის" ბაზრის წინ მდგომ ქალაგანს.

– რა ვიცი? უჩემოდ მოგეკი და თვალებს მაბრიალებს.

– ქურა რა ღირს?

– ქალო, მარცხენა ფეხზე ხომ არა აშფარხარ.

– აი, ეს, რა ღირს. გინებაზეც ნუ ბავშვივით თითს ვაღებ ქერას.

– მაწა დაგიყარე, ალეგა თუ გინდა, ვეღარ ვგყვი?

– ალეგა კი არა, ქურა აქვია.

– ქალო, მთელი საქართველო ალეგას ეძახის და რაღა შენთვის არის ქურა!

მე მოთმინების ეკარგა, გიმეილენი – ალეგინეკი და ასე, ყოველ ფეხის ნაბიჯზე უკადესი ბაზრობები და ყურადღების მღვანებში, ამორჩეული მაქეს ერთად და ავიღე თბილები, სადაც არც ცნობისმოყვარე მომხმარებლის კითხეი ეღიზიანებთ, არც საქონლის შეჩერეის პრაქტიკაა, არც ბომბ-წონის კონკურენცია.

კიდეე კარგი, ღღეს ჩვენში ვაჭრობის ეკარგა ისეთ ღონეზეი, რომ თყნა და მაქრის ფხეზეი, კარაქე და საპონი, ტყემალი და პორსახეები, ყველაფერი ერთ დახლზე ყრია, თორემ სად არის ამდენი ღეთისნერგი გამყოფელის აღმოჩენის ღრო და ენერგია.

„ღიმილი უფასოა, მაგრამ ძვირად ფასობს", ასე მოძღერაღნენ კომპანიები ვაჭრობის შუშაკებს.

საშობრისენი ეი არ იქნება, ნაკლებენაკლო ობიექტების შეპაკრინებმა ამაშიც რომ მიბაძონ კომპანიებს.

ლეილა კოშპაძე.

მხატვარი ვახტანგ კუმია

სარედაქციო საბჭო:

თემურ ბასილია (საბჭოს თავმჯდომარე), ელგუჯა ლებანიძე, თამაზ მალლაკელიძე, რუსლან რუსია, ზურაბ ტყემალაძე, ნოდარ ძიძიგურია, ოთარ ხუციშვილი (რედაქტორი), ვახტანგ გელაშვილი (ტექნიკური რედაქტორი).

ღიმილის დოზა

მხის მამალი დაუბერდა, ქათმებს აღარ უელევს. ადგა და ჯეელი მამლაყინწა იყიდა. სხედან მამლები ქანდარაზე, და ახაკოვინ მამლაყინწას ეუბნება:

– აი, შენ ჯეელი ხარ, მაგრამ შე მაინც ეერ დამეწევი.

– მოდი, ხანაძლეო – კიდეე დაეუეა და ეოდეე გაეისწრებ!

გაიქნენ. გაიხის ბებერი, მაისეეს ჯეელი. დაინახა მხამ, სდაეა ხელი ჯეელს და კისერი მოუტიხა:

– რა არი კაცო, რა ხდება, მეხანე მამალი მოსდეს და ყველა „ცისერი" არ გამოდგა?!

* * *

სტამბაღლეიი პაიეინგს ეუბნება:

– მისმინეი, შეეიღლიათ, დაიყვირით, ბორშაინანის რომ ჩაერთავ?

– კი შეშიძლია, მაგრამ რაგომ?

– ნახეეთ სააათი ფუხეურთი იწყება, მე კი მისაეიწინა კიდეე ოთხი კაცი მეკლიება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

№276-277, კვირა-ორშაბათი, 25-26 ოქტომბერი, 1998 წელი.

ჩვენი ეზო

ბევრ ჩვენგანს დღესაც ახსოვს ამ ფოტოზე აღბეჭდილი ახალბედა ჟურნალისტის პირველი ჭაშნიკი, ჩვენს გაზეთში შედგა მისი დებიუტი, აქ გაიარა პირველი ჟურნალისტური წრთობა, აქედან იწყება საინტერესო შრომისა და პროფესიული ძიების წლები.

ოთხ ათეულ წელზე მეტია საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ქალბატონი გულნარა ბახტაძე თავისი მაღალმხატვრული პუბლიცისტური წერილებით, ნარკვევებითა და მოთხრობებით პრესის ფურცლებიდან ცხოვრების თანადროულობას ეხმიანება. მის ნაწერებში თვალნათლივ გამოსჭვივის მასში უხვად დავანებული ის უშურველი სიკეთე, სიყვარული და სათნოება, რომელიც ადვილად იკვლევს გზას ადამიანის გულისაკენ. ამიტომაც შემოუნახავს მკითხველის მეხსიერებას დღემდე მისი ნარკვევებისა და მოთხრობების წიგნები: „მე და დედა“, „ღამის მაყარი“, „ლილისფერ გზებზე“, „კანფეტის რიგში“, „როცა ასეთი სიყვარულია“...

მისი ცხოვრების ყველაზე ნაყოფიერი წლები მაინც ჟურნალ „დროშასთანაა“ შესისხლხორცებული. ჟამთა სრბოლამ მეტი კდემამოსილება და სიდარბაისლე შესძინა მისი კალმის ნაყოფს.

ახლახან ქალბატონი გულნარა ბახტაძე პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდა, რასაც სულითა და გულით ვულოცავთ. გვჯერა, ეს მოთხრობაც, რომელიც ავტორმა ებრაელი და ქართველი ხალხის ურთიერთმეგობრობის 26-საუკუნოვან იუბილეს მიუძღვნა, მკითხველს კვლავაც სიამოვნებას მიანიჭებს.

გმადლობთ ამ სიყვარულით სავსე გულისათვის, ჩვენო სათნო ქალბატონო და კოლეგავ!

ურიის მერცხალი

სახლი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით, სახელმწიფოს არ ეკუთვნოდა, ებრაელის – სიმონ (სიმა) ხახმიაშვილის საკუთრება გახლდათ. ომამდე ამ კაცის არსებობა არ მახსენდება, მაგრამ იმ უპურო, უშაქრო, უშეშო წლებში თუ ვინმე სიამით მომაგონდება, ეს ბატონი სიმაა. სიმა და მისი ტურფა – რახილი, ცოლ-ქმარს ქალიშვილი არ გასჩენიათ, ორი ბოკვერი ეზრდებოდათ – დავითი და იზრაელი.

ოთხი მდგმური ჰყავდა სიმონს. ფართო, ჭერმაღალ, გერმანელების აშენებულ ბინებში ცხოვრობდნენ გობრონიძეები, პახალოვები, მანდენოვები და ჩვენ. მანდენოვების სასადილო ოთახი იმოდენა იყო, შიგ ცხენი გაჭენდებოდა. თვითონ ხახმიაშვილები თბილისის ძველ უბანში, ჩახრუხაძეზე, ერთ ღარიბ ბაითში მოკალათებულიყვნენ.

პატარა ეზოში იდგა ჩვენი სახლი და აქაურობა საბურთაოდ რომ არ ჰყოფნიდა ბავშვებს, ქუჩაში გადიოდნენ. ქუჩა კი ისე მოკლე და ვიწრო იყო, თავში რომ გამოჩნდებოდა ვინმე აქეთკენ მომავალი, ბოლოში ხედავდი.

– ურია მოდის! ურია მოდის! – დასჭექდა გობრონიძეების ოთარიკო სიმონის დანახვაზე. ურია მოდის! – აჰყვებოდნენ დანარჩენები და სახლისკენ გამორბოდნენ. გარეთ მოფუსფუსე მდგმურები მაშინვე მიატოვებდნენ საქმეს და ოთახებში შეცვივდებოდნენ.

ეზოში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდებოდა. ერთ გრძელ ლურსმანზე ჩვარივით ჩამოკიდებულ კარს რის ვაი-ვაგლახით, ფრთხილად შემოაღებდა ჭაღარა, ხანშიშესული, სანდომიანი გარეგნობის მამაკაცი, ზამთარ-ზაფხულ თავზე ეხურა გრძელკეპკიანი ქუდი, ფეხზე ეცვა შინდისფერი ცხვირგრძელი ფეხსაცმელები – მაშინ რომ მაკასინებს ეძახდნენ, მშვენიერი კოსტუმი, ხალათი და მისი შესაფერისი ჰალსტუხი ეკეთა ყელზე. ხელში სადაფის ღილებით მოჭედილი ჯოხი ეჭირა. უკან მოსდევდა გიმრისთვალება, ოქროსთმიანი, ფუნთუშასავით სავსე ქალი, ისიც საგანგებოდ გამოპრანჭული, აბრეშუმის შარი-შურით იქცევდა ყურადღებას, – ნაირ-ნაირი ზინზილაკები ეკიდა ყელზე, ხელზე თვალისმომჭრელი ოქროს სამაჯური, თითზე ბადახშისთვლიანი ოქროს ბეჭედი წამოეცვა.

დადგებოდა ცოლ-ქმარი ცარიელ ეზოში, სიმონი მოჰყვებოდა:

– ჰა, დაიმალეთ ხომ? ბაბული! ვითომ შენი ქმარი ამ კვირა დღეს შინ არ არის? დავიჯერო რაჟდენას აბრეშუმის ფაბრიკაში მაყუთი ვერ უშოვნია? ბინის ქირას ეგ არც მშვიდობიანობის დროს იხდიდა, კაცო, ამ კარებს მაინც ვერ შეაკეთებს? ვნახოთ და, თავზე დაეცეს ვინმეს.

– მარუსია, მარუსია! მოჰყვებოდა ძახილს რახილი, – გააღე კარი! დაგენაცვლე, ეს მე ვარ. საკაბე მოვიტანე, უნდა დამიჭრა.

დედაჩემს იშვიათად თუ დაიგულებდით სახლში, ჰოსპიტალში ათენებ-აღამებდა. ჩვენ კატო გვივლიდა – ბებიას უფროსი და, ურია მოდისო, რომ გაიგონებდა, სახლში შეგვერეკავდა.

– ჩვენ რატომ ვემალებით? ქერივ-ობლებს ომის დამთავრებამდე ვაცლიო, ასე არა თქვა? გაგვიღე კარი! – ვიბრძოდით და-ძმანი.

– თქვენ ახლა კი ვიცი, რათ გიხარიათ მაგათი მოსვლა, წუწკებო... მე არა მაქვს მაგის თავი, შემიკლავს ნარდის თამაშით. ვიდრე არ დარწმუნდებოდა – წავიდნენო, გარეთ არ გაგვიშვებდა. მაგრამ თუ ამ წყვილს დედა შინ დახვდებოდა, სულ სხვა სურათი გადაგვეშლებოდათ თვალწინ.

– სიმა ძვირფასო, რახილ! – Влюбленный антропос, – შესძახებდა დედა მათ დანახვაზე. – ჩემო კარგებო, მოდით, როგორ ხართ? ბიჭები როგორ არიან? – შინ შეიპატიჟებდა. მაშინვე თეთრ სუფრას გამოიტანდა, მაგიდაზე გადააგებდა და თუ რამე ჰქონდა საჭმელი, ზედვე დააწყობდა.

– რახილ, გასინჯე, ნახე რა გემრიელია, მუხუდოს ფქვილისაგან დავამზადე, კვერცხი მაგას არა აქვს, შაქარი და ცხიმი, მაინც გემრიელია...

რახილი თავის ძვირფასი ჩანთიდან „პიშკებ-პერაშკებს“ ამოაწყობდა, ბატიბუტს, ტიანუშკებს, ნუგას, ფოჩიან კამფეტებს, ყიყლიყო მამლებს დაყრიდა მაგიდაზე.

– თქვე წუწკებო, ამისთვის არ იკლავდით თავს? – გვეტყოდა კატო, – ისიამოვნეთ.

– რახილი კრუსუნით მიირთმევდა ნამცხვარს. მერე მანდენოვებთან გადავიდოდა. სიმონ ბატონი ნარდს წაავლებდა ხელს, მოდი ვითამაშოთო! – ეძახდა დედას.

– ნიძლავი? რაზე? მე კვატის ყალია მომენატრა, თუ მოვიგე ხვალ ვახშმად მომართმევ.

– შენ თუ წააგე, ლიმონის ლიქიორი უნდა დამიმზადო, ძალიან მომეწონა, დუშაში კამათელო...

ჩვენ აივანზე ყიყლიყო მამლებს შევექცეოდით და გვესმოდა:

– მატყუებ, დასვი კამათელი, მეტს არ გეთამაშები.

– არა ჩემმა მზემ, ერთი ხელიც და მეტი არა და იცოდე, თუ მომიგე, სახლის ქირა მიპატიებია. ოთხი წლის სახლის ქირა, ხუმრობ შენა? შვილებს გეფიცები, არ გადაგახდევინებ.

– კარგი, გეთამაშები, ოღონდაც სამ ხელს და თუ მოგიგებ, ოთხივე მდგმურს ათავისუფლებ გადასახადისაგან.

– ეს ხომ ძალიან ბევრია, შე უღმერთო, შენა.

– მაშინ არ გეთამაშები...

– ჰო, კარგი, კარგი, გააგორე...

და იყო ქვების ჩახა-ჩუხი, დაუნდობელი ბრძოლა... დედა როცა შეატყობდა, რომ ხელი არ მოსდიოდა, ისევ მოჰყვებოდა...

– ქურდი ხარ, ბიჭო, დასვი კამათელი. ამდენი დუშაში ერთად ვის გაუგია?

– არა ჩემმა მზემ, გეფიცები, თუ ვტყუოდე, შენთვის რაც მინდოდეს, ცამი ავარდეს და თავში დამეცეს.

– ისევ წყვილი? შენ თაღლითი ხარ, жулик, настоящий... და დედა ნარდს აშლიდა.

რახილის გულიანი კისკისი მთელ ქუჩას ეფინებოდა.

– მოგიგე, დაგენაცვლე, მაგრამ კვატის ყალიას მაინც შეგისრულებ. მშვიდობა იყოს და მალარიჩი ჩემზეა. ბინის ქირაც მიპატიებია ყველასათვის. რახილ, დაგენაცვლე, მორჩი შენს საქმეს? წავიდეთ...

ცოლ-ქმარი სიცილ-ხუმრობით ტოვებდა აქაურობას.

– ოჰ! რა მამაძაღლია, როგორი ეშმაკი, წაგება არ უყვარს. გრაფინი ლიქიორი მიაქვს და ისე უხარია, გეგონება ლიქიორის ქარხანა მოიგოო. მამა აბრამის ბატკანი არც რახილია, ერთი თვის ბინის ქირაში სამ კაბას აკერინებს მანდენოვას. ოთხი ჭირიანი მდგმურის კაპიკები რას უშამს მაგათ? ფულის მეტი რა აქვს ბობოლა ვაჭარს?

– რას ერჩი, რას გადაეკიდე? ღმერთმა მისცეს, კეთილი ადამიანია, ჭირშიც და ლხინშიც გვერდში დაგიდგება. მაგის ხელით მოზიდული შეშა არ არის, ოთხი ზამთარი რომ გვათბობს? შენ, მეც და მთელ სახლს, რას ჩააცივდი?

– არც შენ ხარ მისთვის ჩვეულებრივი მდგმური, მის შვილებს თან ჰყვები, სკოლაო, უმაღლესიო, თუ რამ გაუჭირდებათ, შენთან მორბიან საშველად.

– მართლაც რას გადავეკიდე? გაგიგონია, კაცი ჭკვიანი იყოს და იმაზე ედავებოდე, სულელი რატომ არ ხარო?

– რაც მთავარია, გამტანი და უღალატოა, დეიდაჩემო, – უღალატო – იცი, შენ, რას ნიშნავს ეს? – ეტყოდა დედა.

ჩვენს თვალწინ ერთი წელიწადი მეორეზე მოდიოდა... გავიდა ოთხი უპურო, უშაქრო, უშეშო ზამთარი. ომსაც მოეღო ბოლო. პატარები დავიზარდენით, უფროსებს ასაკი დაეტყოთ. სიმონ ბატონი ახლა ათასში ერთხელ თუ დაგვენახვებოდა. ცალად დარჩა და გარეთ აღარ გამოდიოდა. რახილის დალუპვის შემდეგ ბინას ბიჭები დაეპატრონენ და ქირასაც ისინი კრეფდნენ. შვილები არ გავდნენ მამას, სიტყვაძუნწები იყვნენ, ხუმრობა არ უყვარდათ, არც ნარდის თამაში. საქმიანი და მომთხოვნი იყვნენ.

ერთ მშვენიერ დღეს მანდენოვებმა ბინა მიიღეს და ჩვენგან გადასახლდნენ, სულ მალე ახალმოსახლენი გვეწვიენენ – სიმას უფროსი ვაჟი დავითი, ცოლ-შვილით. ორი ღამე არ ჰქონდათ გათენებული ამ სახლში, რომ დილაადრიან დაგვადგა თავზე დავითი და გარეთ გამიძახა, პირი ყურებამდე დაეღო, თვალები უბრწყინავდა.

– მოდი აქ! რაღაც უნდა გიჩვენო, ახალი მობინადრე მოგვემატა, მაღლა აიხედე, შუშაბანდის კარის თავზე არაფერს ხედავ?

– მერცხალი? შენ შემოგევლე! – შევძახე მე. – „დღეს მერცხალი შემოფრინდა, ჭიკჭიკითა შემომძახა, გაზაფხული, გაზაფხული, გულს იმედი ჩამესახა“.

– შეხედე, რა გულდაგულ მუშაობს, ბუდეს ქსოვს, დაგენაცვლე.

– ეს კარგის ნიშანია, იტყვიან, მერცხალი თუ ბუდეს მიაკრავს სახლზე, სახლს ლხინი დაებედებაო, – ვუთხარი მე.

– ეს ჩვენი მერცხალია, ურიის მერცხალი არ გაგიგონია? სადაც წავა ურია, მერცხალიც იქ მისდევს. ეს ჩახრუხაძიდან გადმომყვა. ჩემია, ჩემი მფარველი ანგელოზია!

– გფარავდეს, – ვუთხარი მე. – იგი ყველას გვჭირდება. შენ ხომ უცილობლივ, – მინდოდა მეთქვა, მაგრამ თავი შევიკავე, დავითს ხუმრობა არ უყვარდა.

ძმები ხახმიაშვილები ჩარჩობდნენ, ყიდულობდნენ, ყიდდნენ. ფოჩიან კანფეტებს კი არა, უცხოური მარვალ-კოსტუმები, ჩასაცმელ-დასახურავი, შეკერილი კაბები, წამლები, რა არ ემოვებოდათ. ფრთხილობდნენ ძმები – „ჭერიების“ ეშინოდათ. საბჭოთა მილიცია დასდევდა ქორ-ვაჭრებს. თუ „ჩაავლებდა“, საერთო ენა უნდა გამოენახათ მილიციასთან, თუ არა ციხე ემუქრებოდათ. სამჯერ გადარჩნენ ხახმიაშვილები. მეოთხედ ვეღარ დაიყაბულეს „ჭერიები“.

– კუჭი არა გაქვს, ძმაო? ჭამა ხომ გინდა? აპა, მაყუთი, ჭამე და ჩვენც შეგვარგე, – იხვეწებოდა დავითი.

არ გასჭრა მაყუთმა. მეტად „მაღალი ზნეობის“ აღმოჩნდნენ საბჭოთა მილიციელები და გაკრიფეს ყველაფერი ხახმიაშვილებიდან.

ისევ გამოჩნდა სიმონ ბატონი ჩვენს ეზოში. ადრინდელივით პეწიანი კი არა, ფერგადალეული, უჰალსტუხოდ, გაცვეთილი კოსტუმი ეცვა, დამტვერილი ფეხსაცმელი.

დედა ძველებურად შეეგება.

– სიმა, ჩემი სიმა, როგორ დამეკარგე, დაბერდი ლომო? კიბის სამი საფეხური ვერ ამოგივლია? ამოდი მარდად, ნარდი უნდა გეთამაშო, კვატის ყალია მომენატრა.

– ეჰ, დაგენაცვლე, რა მენარდება. უნდა მიშველოთ, თამარ, შენი გოგო მჭირდება. შვილო, ხომ გახსოვს ბიცოლა რახილი? – შემეკითხა. – ხომ გინახავს იმის კისერზე ზიზილპიპილოები, ხელზე ბეჭედი, სამაჯური?

– დიახ, დიახ, – დავეთანხმე მე.

– ჰოდა, უნდა გამომყვე, დაგენაცვლე, სასამართლოში და დაგვიმოწმო, რომ ეს ნივთები დავითის შეძენილი არ არის.

– სიმა, გენაცვალე, ამ ბავშვის სიტყვას ყურს ვინ დაუგდებს? მე წამოვალ.

– ჩვენც წამოვალთ, ჩვენც დაგემოწმებით, – მოჰყვნენ მეზობლები.

– არა ეს გოგო მჭირდება. ამას დაუჯერებენ. ეს გოგო ისეთ სამსახურშია, იქნება შეშინდნენ კიდევაც.

– ღმერთო ჩემო, ამან ვინ უნდა შეაშინოს? იქნება თვითონ გათავდეს შიშისაგან. მე წამოგყვები, – არ ეშვებოდა დედა.

– დამიჯერე, დეგენაცვლე, შენი ლამაზი თვალები და ტაფლიანი ენა საქმეს ვერ გაამშვენიერებს. დღეს სხვა დროა, თუ გინდა ანგარიში გაგიწიოს ვინმემ, უნდა ეშინოდეს შენი. ჩემმა მზემ ასეა.

ასე და ამგვარად წარვდექი მოწმედ სტალინის სახელობის რაიონის სასამართლოში.

* * *

– თქვენი სახელი გოგონა? გვარი, წლოვანება, მისამართი.

მე სული ამოვითქვი და ვუპასუხე.

– როდის დაამთავრეთ უნივერსიტეტი?

– შარშან.

– მუშაობთ სადმე?

– გაზეთ „კომუნისტში“. მანამდე უშტატო კორესპონდენტი გახლდით გაზეთ „ნორჩი ლენინელის“, „სახალხო განათლების“, „ლიტერატურული გაზეთის“, „ლელოსი“, „ნიანგის“.

– ოჰო, ეს არ ხუმრობს, „ჩიტ კორესპონდენტი“ ხართ? – თქვა მოსამართლემ, ირგვლივ მჯდომთ გადახედა და ჩაიცინა.

ყველას გაეღიმა.

– კეთილი და პატიოსანი, რით ადასტურებთ, რომ ჩამორთმეული განძეულობა დავით ხახმიაშვილის არ არის?

– დავითის დედა, ქალბატონი რახილი ატარებდა ამ სამკაულებს, სამაჯური, საათი ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში აჩუქა რძალს – მზიას, – ვთქვი მე და ვიგრძენი ხმა როგორ ამითრთოლდა.

– კეთილი და პატიოსანი. ავეჯზე რას იტყვით? საიდან აქვს ხახმიაშვილებს ანტიკვარული ავეჯი, როკოკოები, მოკოკოები?

– ეს ქალბატონი რახილის მზითევია. ესტერს – თავის შვილიშვილს უსაჩუქრა.

– ნამდვილად იცი, რომ ეს საწოლი ქალბატონ რახილის საკუთრებაა?

თვითონ მინახავს ამ საწოლში. ადრე ეს საწოლი ჩახრუხაძეზე, იმ ბინაში ედგათ.

მარტო ნებივრობდა თუ მეუღლეც ეწვა გვერდით?

დარბაზში სიცილი გაისმა.

– დიახ, დიახ, ნამდვილად ერთად იწვნენ, – დავუდასტურე მე.

დარბაზი ახარხარდა.

– მანქანაზე რას იტყვით, ვისია?

– ბატონ სიმასი. ეს მანქანა დიდი ხანია ნაყიდი აქვს. ადრე თვითონ დაატარებდა.

– ახლა მიპასუხეთ, როგორ სწავლობდით სკოლაში? წაკითხულის გაზეპირება კარგად შეგეძლოთ ხომ?

ამ შეკითხვისათვის მზად არ ვიყავი და შევყონდი.

– სხაპასხუპით პასუხობდით გაკვეთილს? ალბათ ხუთიანებს ღებულობდით.

– დიახ, – ვუპასუხე მე.

– ჰოდა, მეც ხუთიანს გიწერთ ამ პასუხებში. თავისუფალი ხართ „ჩიტ კორესპონდენტო“. და თქვენც ხახმიაშვილებო, – გამოაცხადა მოსამართლემ.

დარბაზში ტაშმა იქუხა.

ალაქლაქებული გამოვვარდი გარეთ. აივანზე დედა და სიმა შემეგებნენ. დედას ჩავეკარი. ეზო კი არა, მთელი ქუჩა მოსულიყო ხახმიაშვილების დასაცავად. – ყოჩაღ, ყოჩაღ, მესმოდა ირგვლივ.

– ყიყლიყო მამლები ჩემზე იყოს, დაგენაცვლე, – დამპირდა თვალცრემლიანი სიმა.

ძმები მათთვის ჩვეული სიდინჯით მომიახლოვდნენ, ხელი ჩამომართვეს, ერთი ძმა ხომ გყავს? ამის შემდეგ ჩვენც ძმებად გვიგულეო.

ხახმიაშვილებს უკლებლივ დაუბრუნეს ყველაფერი.

ამასობაში ებრაელთა მასიური მიგრაცია დაიწყო ისრაელში. არც ხახმიაშვილებმა დააყოვნეს, გაჰყიდეს ყველაფერი და ერთ საღამოს დაგვემშვიდობნენ. ის დღე იყო და მერცხალიც გაქრა ჩვენი ეზოდან.

ბატონი სიმონი არ გაჰყვა შვილებს. ჩემი სამშობლო აქ არის, სადაც დავიბადე და გავიზარდეო, ჩემს მამა-პაპასთან, ჩემი რახილის გვერდით უნდა დავიმარხოო.

ძმები ხახმიაშვილებიდან ერთხელ თუ ორჯერ წერილიც მივიღეთ, გვეპატიჟებოდნენ ისრაელში.

მერე, ვიდრე ჩვენს მშობლებს სული ედგათ, მესმოდა: დავითი ისრაელშია, იზრაილი – ამერიკაში, ესტერი გათხოვდა, ჯამბულმა ცოლი მოიყვანა, მზია – ბებიაა.

სახლი, ხახმიაშვილებს რომ ეკუთვნოდა, ახლაც დგას. სხვა პატრონი ჰყავს. მდგმურებიც სხვები არიან... ძველებიდან ერთი შემორჩა – ჩემი ძმა გიორგი – ოთხმოც წელს მიტანებული. აქაურობის ხშირი სტუმარი ვარ.

ახლა ვდგავარ ჩვენს ძველ ეზოში, ვუყურებ შუშაბანდის კარებზე მიკრულ ბუდეს, ამდენი ხანი რომ შემორჩა და მესმის დავითის ხმა:

– ეს ჩვენი მერცხალია – ურიის მერცხალი, სადაც მივდივართ, იქ მოგვდევს.

დღეს ჩვენში დიდი სამზადისია. ებრაელები და ქართველები ოცდაექვსსაუკუნოვან ძმობას იზეიმებენ. მსოფლიოს ყველა კუთხიდან დაიძრნენ ჩვენკენ თბილისიდან წასული ებრაელები. თქვენ? რას აპირებთ ხახმიაშვილებო? დავიჯერო, გულმა აქეთკენ არ გამოგიწიათ? სადა ხართ, ბიჭებო?

უეცრად თითქოს ქარი ამოვარდაო, მიწიდან რაღაც მოწყდა და ჰაერში აფარდა.

– მერცხალი?! – შევყივლე მე.

მერცხალმა თავზე გადამიქროლა, სამჯერ წრე მოხაზა ეზოში, დასჭყივლა და შუშაბანდის კარს მიაწყდა.

– მერცხალი, მერცხალი! – ტაში შემოეკარი.

– ეს ჩვენი მერცხალია, სადაც წავალთ, იქ მოგვყვება, – ჩამესმა დავითის ხმა.

– დავით! შენა ხარ? ჩამოხვედით? – აქა ხართ, ბიჭებო?

ბუდეზე შემომჯდარი მერცხალი ჭიკჭიკით იკლებდა ეზოს.

გულნარა ბახტაძე.

თბილისელები

თანადგომით გამორჩეული

სულ რაღაც 6 წელიწადია, მას ვიცნობ, – იმ დღიდან, როცა სომხეთის ერთ-ერთი პედაგოგიური სასწავლებლის სტუდენტმა ჩემმა ქალიშვილმა გადაჭრით მოიწადინა, გადმოსულიყო თბილისში და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გამხდარიყო.

ნინოწმინდაში სომხური საშუალო სკოლადამთავრებული ჩემი ქალიშვილისათვის ნანატრის აღსრულება მხოლოდ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტს შეეძლო, სადაც სომხური ენისა და ლიტერატურის და ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებები ამ კურსს წარმატებით უძღვებიან.

აი, ასე და ამგვარად დაიწყო ჩემი მეგობრობა ბატონ ვახტანგ სართანიასთან, დასახელებული სასწავლებლის რექტორთან. და ეს მეგობრობა დღემდე გრძელდება.

ახლა, როცა ჩემმა ქალიშვილმა წარმატებით დაამთავრა უნივერსიტეტი და ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის ნინოწმინდის სომეხ მოზარდებს, კიდევ უფრო განმიმტკიცდა აზრი იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყანაში ქართული ენის, სახელმწიფო ენის სწავლება და განვითარება ჭეშმარიტად სახელმწიფო საქმედ იქცა. მე წილად მხვდა ბედნიერება, 1992-95 წლებში შემესწავლა მრავალი პროექტი თუ პროგრამა ამ მიმართულებით (იმ წლებში საქართველოს პარლამენტის წევრი ვიყავი), და ახლოს გავცნობოდი მრავალი სპეციალისტისა თუ მეცნიერის აზრს, მომესმინა მათი საჯარო გამოსვლები და „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონის შექმნის თანამონაწილეც ვყოფილიყავი.

კარგად მახსოვს, 1994 წლის პარლამენტის ერთ-ერთი კომისიის გადაწყვეტილება – ახალქალაქში შექმნილიყო პედაგოგიური უნივერსიტეტის ფილიალი; გადაწყვეტილება, რომელიც ქალაღდის ჩიტსა თუ ნავს უფრო ჰგავდა, რომელსაც „არც ცურვა შეეძლო და, მით უმეტეს, არც ფრენა...“ ბევრმა იფიქრა – მორჩა, გათავდა, სულ რაღაც ორი-სამი წელი და სამცხე-ჯავახეთის, წალკის რაიონისა თუ სხვა რეგიონების სომეხი ახალგაზრდობა სრულყოფილად დაეუფლება ქართულსო...

არადა, ამ დროს ერთადერთი ვახტანგ სართანია იყო, საეჭვო თეორიული მსჯელობების გვერდის ავლით, რაღა თქმა უნდა, სახელმწიფო პროგრამის კვალდაკვალ, საკუთარი ინიციატივითა და პასუხისმგებლობით გაბედულად რომ შეუდგა პრაქტიკულ საქმიანობას და კომპაქტურად დასახლებული რეგიონებიდან ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მოსამზადებლად მიიღო უნივერსიტეტში ნიჭიერი ახალგაზრდები იმ აუცილებელი პირობით, რომ ყოველი მათგანი მშობლიურ მხარეს დაუბრუნდებოდა დამთავრებისთანავე და ამ მეტად საშურ სამსახურს იქ შეუდგებოდა. ბატონმა ვახტანგმა ასეთი პედაგოგების მოსამზადებლად ყოველწლიურად მისაღები კონტინგენტი თანდათან გაზარდა. ისიც ვთქვათ, რომ ამ ინდივიდუალურმა მცდელობამ თავისი პირველი ნაყოფი უკვე გამოიღო... დღეს სხვადასხვა ეროვნების ჩვენი მოქალაქეებისათვის სახელმწიფო ენის შესწავლისათვის გატანილ პირველ სერელში პირველი კეთილი მარცვალი უკვე მოხვდა. ვითომ პატარა საქმეა ეს? ხალხს სწყურია ენის სწავლა და სასოებით ელის მასწავლებელს! არადა, რა ხშირად გაისმოდა ოპოზიციის მხრიდან – ამ უმაღლურ უმცირესობებს არ უნდათ ქართული ენის სწავლა, მათ სულ სხვა რამე უდევთ გუნებაშიო და ა.შ. და ა.შ.

ამგვარი პროვოკაციული გამოხდომების საპირისპიროდ ბატონ ვახტანგს და ყველას, ვინც მას მხარში უდგას სულ სხვა აზრი აქვს – გონივრული, წინდახედული და, რაც მთავარია, კონსტიტუციური. და სართანიას ჩანაფიქრის პირველი ნაყოფიც, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, სწორედ მისი სახელმწიფოებრივი აზროვნების წყალობაა.

ვახტანგ სართანია იმ ტიპის ხელმძღვანელი არ არის, დამთავრების დიპლომს ხაზგასმული პომპეზურობით რომ გადასცემს კურსდამთავრებულს და მერე აღარც მოიკითხავს და არც ახსოვს. უნივერსიტეტში დაწვრილებით იციან, ვინ სად მსახურობს, ვის როგორი წარმატებები აქვს, ანდა, ადგილზე ვის რა პრობლემა შეექმნა და როგორ შეიძლება მათთვის დახმარების ხელის გაწვდენა.

შემთხვევითი არც ის არის, რომ თვითონ კურსდამთავრებულებიც ხშირად აკითხავენ მშობლიურ სასწავლებელს, მასწავლებლებისაგან საჭირო რჩევებსაც იღებენ, კეთილად იხსენებენ სტუდენტობის წლებს და მათი საქმიანი ურთიერთობა ასე გრძელდება წლიდან წლამდე. ამ და მსგავს ურთიერთობებში რექტორი თავადაც მონაწილეობს.

– ბატონო გიორგი, – მირეკავს, – იქნებ სექტემბერ-ოქტომბერში ჩვენი პედაგოგების ერთ ჯგუფთან ერთად ჩავსულიყავით სამცხე-ჯავახეთს და ჩვენს

საბაზო სკოლებში „ჩვენები“ მოგვენახულებინა?... ვნახოთ, როგორ ართმევენ თავს საქმეს და, თუ საჭიროა, მეთოდური დახმარებაც გავუწიოთ...

ვუსმენ და მიხარია. აი კაცი, რომელსაც დაუოკებელი სურვილი აქვს, ჩაწვდეს ყოველი აღზრდილის სულსა და გულს, გაითავისოს მათი სიხარული თუ ტკივილი.

– ...ჩემი კაბინეტის კარი არ იხურება, როცა დაგჭირდებით, გაბედულად შემოდით...

– ბატონო ჭოლა (ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანს მიმართავს) გთხოვთ, უყურადღებოდ არავინ დაგვრჩეს...

– ქალბატონო ემა (ფილოლოგიის ფაკულტეტის სომხური ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე), საიუბილეო თარიღების საბოლოო სიას როდის წარმომიდგენთ?...

ბევრს ზრუნავს ჭაბუკებისა და ქალიშვილების არა მარტო სწავლა-აღზრდისათვის, არამედ ყოფითი პრობლემების მოსაგვარებლად.

– ჯერჯერობით ვერ გადაგვიწყვეტია მათი „დასახლების“ პრობლემა; ამ ფაკულტეტის სტუდენტები, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, „სტუდენტური ქალაქის“ ბინადარნი უნდა გავხადოთ. საერთო საცხოვრებლის აღდგენა თითქმის გადაუდებელი საქმეა და განათლების სამინისტრო და მერია თუ დროულად შეგვეწევიან, მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის...

თუ ადამიანი თავის დაწესებულებაში საკუთარი ოჯახის უფროსივით ტრიალებს, მისი უნდა გჯეროდეს. მისთვის საქმეში მსხვილმანი და წვრილმანი არ არსებობს... ამასწინათ სომხურმა სათემომ თხოვნით მიმართა ცნობილი თბილისელი მომღერლის, ალბერტ ამადანიანის (სხვათაშორის, ალბერტიც ამავე უნივერსიტეტდამთავრებული კადრია) ფრიადოსანი ქალიშვილისათვის გადასახადის განახევრებაზე. ბატონი ვახტანგის პასუხი ასეთი იყო: – რას ბრძანებთ, მამის ავადმყოფობის ამბავი რომც არ ვიცოდე, განა ფრიადოსნებს უყურადღებოდ დავტოვებთ?

სულ ახლახან ნიჭიერი ყმაწვილის, გარიკ პეტროსიანის ჩარიცხვის საკითხიც გადაგვიწყვიტა. წვრილმანია? სხვისი რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენთვის წვრილმანი სულაც არ არის და მადლიერებიც ვართ.

მოდი და ნუ დაიჯერებ, რომ დედაქალაქიდან შორი, სომხებით კომპაქტურად დასახლებული რაიონებიდან 4-5 წლის წინათ თუ არც ერთი მოსწავლე არ ჩამოდიოდა თბილისში სწავლის გასაგრძელებლად, დღეს მათმა რიცხვმა 50-ს გადააჭარბა და მათ შორის 40 პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდენტია.

– ახალი საქართველოს აღმშენებლობის საქმე მხოლოდ ქართველების კი არა, თანაბრად ყველა ჩვენი მოქალაქის ვალია, – უყვარს ხოლმე ამის ხაზგასმა ბატონ ვახტანგს.

პროფესორი ვახტანგ სართანია – რექტორი, ორგანიზატორი, საზოგადო მოღვაწე –ცხოვრების შუაგულში მოტრიალე ის კაცია, ვისაც პატივს ოღენ თანამდებობით და მეცნიერული წოდებებით არ მიაგებენ. ხომ გახსოვთ, როგორი ერთსულოვნებით მისცა მას ხმა საქართველოს პარლამენტმა, როცა ეროვნული ბანკის გამგეობის წევრად ირჩევდნენ! მაგრამ საქართველოში, ალბათ, ცოტამ თუ იცის, ერევნის პედაგოგიური ინსტიტუტის 75 წლის საიუბილეოდ წარმოთქმულ მის სიტყვას ერევნის ოპერისა და ბალეტის თეატრში როგორი ოვაციით შეხვდა დამსწრე საზოგადოება. დარბაზმა უმალ იგრძნო, რომ მის წინაშე ერთგული ძმა და მეგობარი იდგა.

ვახტანგ სართანია უაღრესად ყურადღებიანი, მზრუნველი და წრფელია. მახსენდება: 1994 წლის მკაცრი ზამთარი უკვე ბრჭყალებს აჩენდა. რექტორს მოსვენება დაეკარგებოდა. ფიქრობდა, უნივერსიტეტის მცირეხელფასიან პროფესორ-მასწავლებლებს და, საერთოდ, ყველა თანამშრომელს რითი დახმარებოდა, რა ეღონა. გადაწყვიტა რექტორისათვის არცთუ „სასურველი“ ტვირთის ზიდვა. ნინოწმინდის და ახალქალაქის გამგებელთან, რ. არზუმანიანთან და ს. დარბინიანთან მოლაპარაკების შემდეგ არ ითაკილა სურსათის შესაძენად ჯავახეთს ჩასვლა და იაფად ყველის თუ კარტოფილის ჩამოტანა. მსგავსი დახმარებისთვის ამგვარი „საქველმოქმედო საუბრები“ წელსაც გვექნება...

ესეც „წვრილმანია“? კი ბატონო, მაგრამ გაიხსენეთ იმ წლების სიდუხჭირე და დამეთანხმებით, რომ ამას წვრილმანი არა და არ ჰქვია. თავისი თანამშრომლების სოციალურ-საყოფაცხოვრები პირობების გაუმჯობესებისათვის იგი ყოველთვის ერთგულად იღვწის.

ბოლო ხანს, ხშირად ამყვება ხოლმე ფიქრი საქართველოს დღევანდელობასა და მომავალზე; ვგრძნობ, საქართველოს პრეზიდენტს რა ენითუთქმელი ძალისხმევითა და რუდუნებით უხდება საქმის კვალში დგომა. მას კიდევ არა ერთი და ორი საჯილდაო ქვა აქვს ასაწევი საქართველოს გადასარჩენად, ყველა ჩვენგანის სასიკეთოდ. და თუკი საქართველოს ხვალინდელი დღისათვის გაშლილი ფრონტის ფონზე თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორს ბატონ ვახტანგ სართანიასაც წარმოვიდგენთ, უმალ დავადასტურებთ, რომ იგი ახალი, ერთიანი, ჭეშმარიტად დემოკრატიული საქართველოს მშენებელთაგანია, სახელმწიფო კურსის ყოველ ნიუანსის გამგები და საქმეში ჩახედული მოღვაწე...

მე მჯერა ბატონი ვახტანგის არჩეული გზისა, მე მწამს მისი მამულიშვილობისა.

ჟორა სნხჩიანი,
საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის რეფერენტი, საქართველოს სომეხ მწერალთა კავშირის „ვერნატუნის“ გამგეობის თავმჯდომარე.

ქალბატონები დედაქალაქიდან ნინოწმინდაში ავიდნენ...

საზოგადოება „თბილისელის“ ქალთა საკრებულოში ჩინებული მანდილოსნები არიან. ამ ბოლო დროს განსაკუთრებულ ზრუნვის საგნად კი ნიალისყურის ქედის გაყოლებით, ჯავახეთის ზეგანზე, ზედ საქართველოს საზღვარზე მდებარე ნინოწმინდის რაიონის სოფელ სპასოვკის მოსახლეობა იქცა.

სპასოვკის სახელი, ეს რამდენიმე წელია, გახმიანდა. აქ დაფუძნებულ აჭარაში მეწყერების ზონიდან გამოხიზნული ღორჯომელებსა და ცხინვალიდან ადგილნაცვალ ოჯახებს პრობლემები საკმაოზე მეტი აქვთ და მათი მოგვარების ერთ-ერთი ყველაზე გულმხურვალე მზრუნველი „თბილისელის“ ქალთა საკრებულო გახლავთ.

ამბობენ, ის რა სოფელია, სადაც ორი სალოცავი არ დგას – ეკლესია და სკოლაო. ერთიც და მეორეც უმეტესად ისეთ ადგილზეა ხოლმე წამომართული, კაცის მზერა ყოველი მხრიდან რომ სწვდება.

თავიდან სპასოვკაში ქართულმა სკოლამ მისთვის შესაფერის შენობაში ვერ დაიდო ბინა. არც იყო ასეთი შენობა. სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის გიგლა ბარამიძის, ნინოწმინდის გამგებლის რაფიელ არზუმანიანის და მათი ხელშემწყობი გუნდის მცდელობით, ბოლოს და ბოლოს მოგვარდა კიდეც ეს საქმე. ამ რაიონში პირველი ქართული საშუალო სკოლის დაფუძნებაში დიდია საქართველოს პრეზიდენტის ხელშეწყობა. სპასოვკელებს ახსოვთ ყველა, ვინც მათზე იზრუნა: პარლამენტარები ალექსანდრე ბალიაშვილი, მამუკა არეშიძე, გამომცემლობების „განათლების“, „ლამპრის“ ხელმძღვანელობით; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის, აგრარული უნივერსიტეტის რექტორები როინ მეტრეველი, ვახტანგ სართანია, ნაპოლეონ ქარქაშაძე, ბათუმის პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორი ნური ვერძაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის დირექტორი მერაბ ბერიძე, სხვები და სხვები.

„თბილისელის“ ქალთა საკრებულოს წევრები სკოლის მშენებლობის დამთავრებისთანავე ჩავიდნენ სპასოვკაში და ამის შემდეგ აქაური სკოლა მათი მუდმივი საფიქრალი გახდა.

საკრებულოს ყველა კეთილი საქმის თაოსანი საკრებულოს თავმჯდომარე ნინო კილურაძე გახლავთ. თავად არქეოლოგია, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი. შემოკრეფილი ჰყავს თანამოაზრენი – ჩვენი საზოგადოების გამორჩეული ქალბატონები. მათ შორის არის თბილისის 53-ე სკოლის დირექტორი ლამარა მარგველაშვილი, რომელმაც საჩუქრები, წიგნები, სასწავლო ნივთები, ტანსაცმელი თუ ნავთქურები სპასოვკელებს ჩაუტანა. სპასოვკაში ჩავიდნენ ნანული აბესაძე, ნანა მაჭავარიანი, თამილა მაკარაძე, ქეთევან ხუციშვილი და სხვები.

საკრებულოში ინახება სამცხე-ჯავახეთის მხარის გუბერნატორის გიგლა ბარამიძის ბარათი, რომელშიც ნათქვამია: „... ის, რომ ჯავახეთისადმი – საქართველოს ამ ძირძველი კუთხისადმი ზრუნვა ყოველი ქართველის ვალია, – ეს კიდევ ერთხელ შევიგრძენით თქვენი, ქალთა საკრებულოს უაღრესად კეთილშობილური მისიით ჩამობრძანებისას ნინოწმინდის რაიონის სოფელ სპასოვკის სკოლაში“.

ახლაც, სასწავლო წელი დაიწყო თუ არა, ლამარა მარგველაშვილმა, კვლავ ჩაიტანა სასკოლო ინვენტარი, კვების პროდუქტები, ტანსაცმელი და სხვა საჩუქრები. ამჯერად ნინო კილურაძეს ახლდა ექიმთა ჯგუფი – თბილისის მე-13 ბავშვთა პოლიკლინიკის ექიმი-პედიატრი ქეთევან ფირცხალაიშვილი, მე-11 პოლიკლინიკის რევმოკარდიოლოგი ინესა ანტონიანი და პედიატრი ფიული ჩხაიძე, წალკის რაიონის საავადმყოფოს ოტორინოლარინგოლოგი გრიშა თოფურია, საკრებულოს წევრი, ფსიქიატრი თამილა მაკარიძე. მათ ორი დღე დაჰყვეს სპასოვკაში, მიიღეს 200-მდე პაციენტი. გასცეს მედიკამენტები. ამ საქმეში საკრებულოს დიდად დაეხმარნენ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე მარინე ლუდუშაური, თბილისის საგზაო პოლიციის სამსახურის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების სახელმწიფო ინსპექტორი ვასილ უნდილაშვილი, საზოგადოება „კერძო მეწარმეს“ წარმომადგენელი გია გიორგაძე, თბილისის პოლიციის უფროსი სოსო ალავიძე, 53-ე სკოლის მშობელთა კომიტეტის წევრები ეკა მასურაშვილი, ბიჭი მაჭავარიანი, პროფესორი შოთა ჯაფარიძე და სხვები.

დღეს ამ ქართული სოფლის სკოლაში 70 ბავშვი სწავლობს, მათ უკან 70 ოჯახია მშობლებით, უკვე სპასოვკაში დაბადებული პატარა და-ძმებით.

ამ სოფელში დაფუძნებულთ აქვთ კარმიდამო, საკუთარი მეურნეობა. მათ ახლა არც შიათ და არც წყურიათ, მაგრამ ხელშეწყობა გამუდმებით სჭირდებათ. ეს კარგად აქვს გათავისებული საზოგადოება „თბილისელის“ ქალთა საკრებულოს.

ამ შესანიშნავ მანდილოსნებს ქვეყნის ყველა გასაჭირი მიაქვთ გულთან. წლეულს ორჯერ ჩავიდნენ ზუგდიდში. გალიდან ლტოლვილთათვის საკვები და ტანსაცმელი, სხვა საჭირო ნივთები ჩაიტანეს.

მაცხოვარი ბრძანებს: „ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ“.

ამ პრინციპით მოქმედებს საზოგადოება „თბილისელის“ ქალთა საბჭო.

ნათელა ფაილოძე.

სურათებზე: სპასოვკის ქართული საშუალო სკოლის მოსწავლეები; თბილისის მე-11 პოლიკლინიკის პედიატრი ფიული ჩხაიძე პატარა პაციენტებთან.

მოვლენამდე

თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავას, ვნახოთ, რომ ხელა რაგიმი და განსაკუთრებით საერთაშორისო ორგანიზაციები (შეიარაღებულებ ფორმები ფაქტობრივად და პოლეტიკურად სამხედროთა უქმნის მსოფლიო თანამეგობრობის პრაქტიკულად ყოველი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, უფლებებსა და ბებულებას და საბოლოოდ ამ პრობლემის ქლიბაზეც მშეიდობის ე პრობრესს. თავიდა დამხერვული შეღეგების შესაბამისად ამ მოლენას სამართლიანად შეგიძლია უწოდოთ XX და XXI საუკუნეების პოლეგიკური „შავი ქარ". რომელსაც ეროობლივად უნდა ებრძოლნენ მოწინავე. ძლიერ და მთა მოსის დსთ ქვეყნები, რაც, როგორც ჩვენთა აღვნიშნეთ, ჯერჯერობით არ მეიმჩნევა.

ამ წინააღმდეგობების დაძლევის გზები, სახელმწიფოთა მეთაჯინების საბჭოს გაღაწყვეტილებების თანახმად, უნდა დაღესილ, მოძებნის საეციალური სახელმწიფოთაშორისო ფორუმის ფარგლებში, რომელიც მოწოდებულა, შეაჯეროს მთლიანად ქვეყნების პოზიციები და მიღგომები უმთავრესი, სტრატეგიული მიმართულებით, ატრეთვე, განსარიელოს დსთ მთელი სტრუქტურის, მისი ორგანოების, საქმიანობის ხალისა და მეთოდების ამეკარი რეფორმირება და გრანდიოზმასეა, რომელიც თითქოსდა ახალ სულს, ახალ სიცოცხლეს შთაბერავს მას.

თუმცა, უკვე ახლავე ჩანს, რომ ამ ამოცანების გაღაწყვეტა პრაქტიკულად დაუძლეველ დაბრკოლებებთან არის დაკავშირებული, რაც არა სებიეტური, არამედ ობიექტური მიზეზებითაა განპირობებული. უკვე კომინიციის ღა უფრო მპიერად კი მოსკოვის სამიტებმა გამოაელინეს დსთ ბედსაღმეს, მასი დანიშნულებისა და ამოცანებისადმი თანამეგობრობის ჩვენი ქვეყნების მეთაურთა პრინციპულად განსხვავებული მიდგომები. სამიგ ეაშეთის (ფაქტობრივად, კი ოთხი ქვეყნის – ყაზახეთის, რუსეთის, ბელორუსის, ყირგიზეთის) მიერ ჩრდეენილი დოკუმენტების პროექტები, რომლებიც დსთ ფარგლებში ღრმა ინტეგრაციას (პრაქტიკულად შეეროვნული სტრუქტურის შექმნას) თვალისწინებდა, პრაქტიკულად არც კი განხილეს. ამან პრეზიდენტ ნურსულთან ნაბრაძეს უკიდურესი გაღიზიანება გამოწვია, რომელმაც განაცხადა:

„სხლთა უარესად ჩაგარდა, ვიდრე კომინოლეში. ისევ იყო საუბარი რაღაც-რაღაცეებზე, ღაღლეთ მამაპენი და დაეიმალეთ. მე უკვე ხალეებად მჯერა ანი შესაძლებლობისა". მან მოსკოეის სამიტს უხაენი და უკუნ უწოდა.

ჯერ კიდეე სამიტის დაწყებამდე ე. წ. „ლრმა ინტეგრაციისა" და ზეუოვნული სტრუქტურების შექმნისადმი თავეიანთ უაღრესად ნეგატიურ დამოკიდებულება გამოხატეს აზერბაიჯანისა და თურქმენეთის პრეზიდენტებმა ჰეიდარ ალიეეზე და საფარშრაგ ნაამიევმა. ს. ნაამოვა, შეეხო რა მოთმეაღლ სპეციალურ ფორუმზე გახსნილეელ პრობლემებს, აღნიშნა, რომ ფორუმს განახლება, როგორც „ხალის ეკით შეხედნა", რომლითაც ყველა კონკრეტულ გადაწყვეტილებებს. ს. ნაზარეა განაცხადა, რომ მხარს უჭერს იმ აზრსმდ მოქმედ წესეებს, რომელშიც დაფიქსირებულია თანამეგობრობის **საკონსულტაციო** ხასიათი. ამას წინათ, აშკენაზეი კრედიტგებული უცხოური მისიების ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე კი დასძინა, რომ: „ჩვენ არ დავთანხმდებით მარეგლირებელი სტრუქტურების შექმნაზე. ჩვენ მხარს ვუჭერთ დსთ, როგორც საკონსულტაციო ორგანოს ფარგლებში ორმხრივ და მრავალმხრივ პარტნიორობასო" და თავისი სიტყვების გასამართლებლად დაიმოწმა ბ. ელცინის გამოსაქმებში: „არავის არავის არ უნდა ავალდებულებდეს".

როგორც სავარმრაგ ნაამოვმა განაცხადა, უეჩსრტების გაიანგარიშებით, ერთიან ხაბაკო კავშირში მუსლის შემთხვევაში თურქმენეთი 300 მლნ. აშშ ღოლარს დაკარგებს, ხოლო „ერთიანი ეკონომიკური სივრცის" შექმნის შემთხვევაში რესპუბლიკა „იძულებული გახდება ესხი პარტნიორებისაგან (ცხადია, უპირველესად ვოსკის) შეიძინოს მოქეეულება ტექნოლოგიები და მოწყობილობა, რაც გახაგები მიზეზების გამო ხელს არ აძლევს რესპუბლიკას".

უკრაინის პრეზიდენტი ლ. კუჩმა საკონსულტაციო ორგანოდ აღიქვამს დსთ და გამამაღლერებულ შეფასებას აძლევს დსთ-ში საქმიანობის დამეეელებულ პრაქტიკას. კერძოდ, განამარკეეე რა დსთ-საღმი უკრაინის დამოკიდებულების ახეეტებს, ლ. კუჩმამ განაცხადა:

„ჩვენ არა ვართ დამხმარე დსთ-ში მიმღინარე ეენრგიდანეულ პროცესებში. ეს კითხე ხეტის უნდა დაესეას. ეს არა ვარ იმის მომხრე, რომ დსთ დაიშალოს, თუმცა ისე უნდა აღვნიშნოთ, რომ დსთ, რა თქმა უნდა, ვერ ეეწყვეტს ეკეეთან ურთიერთობებს, ვინაიდან ეს ეკეეთი ჩვენი ტრადიციული სტრუქტურაა. რუსეთისაგან დამოუკიდებლობის მოპეეებისა და ეეროპასთან ინტეგრაციის სწრაფვა (ეარდა ბელორუსისა) ბევრად აღემატება ახალ, თანამშრომლობის სეეეულს. ცენტრალიზებული ძალებსა ამკარად ანიხა თავი როგორც ეკონომიკურ, ასევე ფინანსურ სტრუქტურებში.

